



საბჭოთა სამართალი

№ 1

იანვარი—თებერვალი
1966 წელი
გამოცემის XIII

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

ზ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების შედეგები	3
ა. მენაბდე — სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების აქტები	4
ა. გაბიანი — სიმფერაღელში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების ზოგიერთი საკითხი	10
ვ. სტრემოვსკი — წინასწარ გამოძიების დროს ბრალდებულის უფლებების უზრუნველყოფის შესახებ	18
ან. გელოვანი — სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების სწორი გაგებისათვის	26

კომენტარები ახალ კანონმდებლობაზე

ნ. ლორთქიფანიძე — შეგებებული სარჩელი საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სა- მართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით	37
ბ. კვარაცხელია — კანონის ენის შესახებ	48

მოთხრობა

აკ. გელოვანი — ქედანის ტრაგედია	54
ს. ჯორბენაძე — გერცელ ბაზოვი — იურისტი	61


კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ივ. სურგულაძე — ქართული სამართლის ისტორიის შესანიშნავი ძეგლი	64
თ. შავგულიძე — მონოგრაფია მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ	70
გ. დევიდარიანი — საინტერესო გამოკვლევა	76
მმაჩის ორგანოების პრაქტიკა	77
არბიტრაჟის პრაქტიკა	80

ახალი კანონმდებლობაში

ცვლილებანი შრომის კანონმდებლობაში	83
ოფიციალური მასალა	85
გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე	88
ნ. წერეთელი — ერთი მოუფიქრებელი წერილის გამო ინფორმაცია	90
91	91
ვ. გოგუაძე — მოკლე ცნობები	94

1-2999





СОДЕРЖАНИЕ

Итоги выборов народных судей	3
А. Менабде — Акты советов министров СССР и союзных республик	4
А. Габiani — Некоторые вопросы применения наказания за преступления, совершенные в состоянии опьянения	10
В. Стрёмовский — Об обеспечении прав обвиняемого на предварительном следствии	18
Ан. Геловани — К правильному пониманию умышленного тяжкого телесного повреждения	26

КОММЕНТАРИИ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Н. Лорткипанидзе — Встречный иск по новому гражданско-процессуальному кодексу ГССР	37
Г. Кварацхелия — Об языке закона	48

РАССКАЗ

Ак. Геловани — Трагедия Кедани	54
С. Джорбенадзе — Герцель Баазов — юрист	61

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Ив. Сургуладзе — Замечательный памятник истории грузинского права (О книге «Судебник царевича Давида», издание текста и исследование Д. Пурцеладзе)	64
Т. Шавгулидзе — Монография об ответственности за взяточничество (О книге В. Макашвили и Г. Ткешелиадзе «Ответственность за взяточничество»)	70
Г. Девдариани — Интересное исследование (О книге Т. Цагурия «Гражданская ответственность за причинение увечья или смерти работнику»)	76
Практика органов ЗАГС-а	77
Практика арбитража	80

НОВОЕ В ЗАКОНОДАТЕЛЬСТВЕ

Изменения в трудовом законодательстве	83
Официальный материал	85
Известный ученый и общественный деятель	88
Н. Церетели — По поводу одного непродуманного письма	90
Информация	91
В. Гогуадзе — краткие заметки	94

შპ. № 766
ტირაჟი 5700
შპ 02941

სარედაქციო კოლეგია

- ო. კაციტაძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
პ. ბერძენიშვილი, ი. დლიძე, გ. ინწკირველი,
მ. ლომიძე, ვ. მაიხურაძე, თ. წერეთელი,
ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—9-09-62

გადაეცა წარმოებას 24/II-66 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 1/III-66 წ. ანაწყოების ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინს ქ. № 14
Полиграфкомбинат издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების

შედეგები

დიდი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში ჩაიარა სახალხო მოსამართლეთა არჩევნებმა საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში.

დღის თორმეტი საათისათვის საქართველოს სსრ-ში ძირითადად დამთავრდა სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებისათვის ხმის მიცემა.

ამომრჩეველთა რაოდენობა შეადგენდა 2.633.872-ს. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 2.633.363 ამომრჩეველმა.

სახალხო მოსამართლეთა კანდიდატების სასარგებლოდ ხმა მისცა ამომრჩეველთა 99,92 პროცენტმა.

არჩეულია 153 სახალხო მოსამართლე, აქედან 24 ქალია, რაც შეადგენს მოსამართლეთა 15,7 პროცენტს.

ანლად არჩეულ მოსამართლეთა რიცხვი შეადგენს 41 კაცს.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს აქტები

ა. მენაბდე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა სამართლის ნორმათა სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების აქტებს. მინისტრთა საბჭოების სამართალმემოქმედებით საქმიანობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების სრულყოფისათვის. მინისტრთა საბჭოს ყველა აქტი უნდა გამოძღვინარეობდეს სახელმწიფო და სამეურნეო მშენებლობის ინტერესებიდან და შესაბამებოდეს კანონს.

მინისტრთა საბჭო, გამოხატავს რა თავის ნებას იურიდიული აქტის სახით, მოქმედებს საბჭოთა ხალხის სახელით. ეს ავალდებულებს საბჭოთა მთავრობას განსაკუთრებული სერიოზულობით მოეპყრას თავისი ყველა სამართლებრივი აქტის როგორც ნორმატულის, ისე ინდივიდუალურის, დამუშავებას, გაფორმებას, გამოცემას და შესრულებას. მინისტრთა საბჭოს აქტები უნდა პასუხობდნენ მოთხოვნებს ფორმის მხრივ, იყვნენ მიზანშეწონილნი და დროულნი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 66-ე მუხლი აწესებს, რომ მინისტრთა საბჭო გამოსცემს დადგენილებებს და განკარგულებებს მოქმედი კანონების საფუძველზე და მათ შესასრულებლად. ამავე კონსტიტუციის 81-ე მუხლი აწესებს, რომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭო გამოსცემს დადგენილებებს და განკარგულებებს. საქართველოს სსრ კონსტიტუციის 46-ე მუხლი აწესებს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო გამოსცემს დადგენილებებს და განკარგულებებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე.

საბჭოთა კონსტიტუციაში აღნიშნულია მინისტრთა საბჭოს სამართლებრივი აქტების მხოლოდ ორი სახე — დადგენილება და განკარგულება. კანონი ზუსტად არ მიუთითებს თუ რა პირობების დაცვაა საჭირო სათანადო აქტის მიღების დროს, რის გარეშე ისინი არ არიან კანონისმიერი, ესე იგი არ წარმოშობენ საჭირო სამართლებრივ შედეგს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭო დადგენილებებს გამოსცემენ ჩვეულებრივ სახელმწიფო მმართველობის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხებზე. ამ დადგენილებებს, როგორც წესი, აქვთ ნორმატული ხასიათი, ისინი მიიღებიან კოლეგიალური წესით მინისტრთა საბჭოს სხდომაზე, მათ ხელს აწერენ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და საქმეთა მმართველი.

მინისტრთა საბჭოს განკარგულებები კი, დადგენილებებისაგან განსხვავებით,

მიიღებიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების მიერ ერთპიროვნულად მიმდინარე საკითხებზე, როგორც წესი, ინდივიდუალური საკითხის გადასაწყვეტად; ისინი არ ატარებენ ნორმატულ ხასიათს.

დადგენილების განკარგულებისაგან განმასხვავებელი ზემოაღნიშნული კრიტერიუმში, თუმცა თეორიულად დასაბუთებულია, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის როდი ხერხდება მისი დაცვა. სინამდვილეში მინისტრთა საბჭოს როგორც დადგენილებათა, ისე განკარგულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიცავს ერთდამიხვე დროს სამართლის ნორმასაც და ერთგვრადი ხასიათის ინდივიდუალურ განაწესს. ხშირად ძნელი ხდება ნორმატული აქტის გამოიყვანა სამართლის ნორმის გამოყენების აქტისაგან. მაგალითად, სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებათა შორის დიდი ხვედრითი წონა აქვთ იმ აქტებს, რომლებიც ეხება სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისა და რეკონსტრუქციის, მოწყობილობის ახალი სახეების და სხვა ტექნიკური პროდუქციის შექმნისა და გამოშვების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ორგანიზაციულ საკითხებს. ასეთი აქტების ნორმატული ხასიათის განსაზღვრა მრავალ შემთხვევაში დაკავშირებულია გარკვეულ სიძნელებებთან, რამდენადაც საერთო მითითებებთან ერთად ისინი შეიცავენ განსაზღვრულ მოცულობითს მაჩვენებლებს, ვალდებულებათა შესრულების ვადებს და სხვ.¹

ც. ა. იამპოლსკაია წერს, რომ ხშირად სამართლის ნორმები და ინდივიდუალური დანაწესი, შეადგენენ რა გარკვეულ საკითხზე ორგანიზაციულ ღონისძიებათა ერთიან გეგმას, განუყრელად უკავშირდებიან ერთმანეთს, და უმართებულო იქნებოდა მოგვეთხოვა საერთო შინაარსის გამო ორგანულად შერწყმული მუხლების გაცალკევება, დაყოფა ორ აქტად — ნორმატულად, ინდივიდუალურად.² ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ მთავრობის აქტების ეს ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული სახე საჭირო არ არის. უდავოა, რომ ისინი ორივე საჭიროა. აუცილებელია მხოლოდ მათი შინაარსის და იურიდიული ფორმის უფრო ზუსტი განსაზღვრა. სათანადო დებულებით უნდა დაწესდეს, რომ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი მიიღებიან კოლექციალური წესით და არიან ნორმადამდგენნი; განკარგულებანი კი არიან მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების აქტები და ატარებენ მხოლოდ ინდივიდუალური დანაწესის ხასიათს, ესე იგი არ არიან ნორმა დამდგენნი; რომ განკარგულებით დაუშვებელია დადგენილების გაუქმება.

ასეთი წესის შემოღება და დაცვა მხოლოდ გააუმჯობესებს მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაობას, მთავრობის აქტების გაფორმებაში შეიტანს დიდ სიზუსტეს, რასაც უადრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მთელი სისტემის მუშაობის სრულყოფისათვის. გაურკვევლობა საკითხში, თუ როდის, რა შემთხვევაში უნდა გამოიცეს დადგენილება და როდის განკარგულება, მხოლოდ ძნელებს მუშაობას, მას ზოგჯერ დარღვევამდეც მიყვება. მაგალითად, არა ერთი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებას აუქმებს ან ცვლის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის განკარგულება. მაშასადამე, მთავრობის ნორ-

¹ См. А. Ф. Щербанов. Некоторые вопросы теории нормативных актов в связи с систематизацией советского законодательства («Советское государство и право», 1960, № 7, стр. 143).

² См. И. А. Ямпольская. О правовых актах Совета народного хозяйства («Советское государство и право», 1957, № 11, стр. 88).

მატული აქტი, მიღებული კოლექტიურად, უქმდება ერთპიროვნული განკარგულებით. ეს დარღვევა შედეგია მინისტრთა საბჭოს აქტების გაფორმების საკითხში არსებული უზუსტობისა და გაუარესებლობისა.

არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დადგენილებას და განკარგულებას აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა¹. არ შეიძლება აგრეთვე დავეთანხმოთ ამავე ავტორების შემდეგ მსჯელობას: იმ შემთხვევაში, როდესაც ერთდამივე საკითხზე არსებობს გამოცემული ერთდამივე სახელმწიფო ორგანოს მიერ ორი დებულება, რომელთაგანაც ერთი დამტკიცებულია დადგენილებით, მეორე კი განკარგულებით, მოქმედად უნდა ჩაითვალოს ის, რომელიც მიღებულია გვიან, მიუხედავად იმისა თუ სად არის ის მოცემული — დადგენილებაში თუ განკარგულებაში².

როგორც ვხედავთ, ამ „თეორიით“ ისმება ტოლობის ნიშანი დადგენილებასა და განკარგულებას შორის. ვფიქრობთ, რომ ეს არ არის სწორი. დადგენილება, როგორც ნორმატული აქტი, მიღებული კოლექტიური წესით, არ შეიძლება გაუტოლოთ განკარგულებას, მიღებულს ერთპიროვნული გადაწყვეტილებით. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილეების ერთპიროვნული განკარგულებისათვის უპირატესობის მინიჭება მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიმართ ეწინააღმდეგება კანონს და სოციალისტური დემოკრატიის პრინციპებს.

გარდა დადგენილებისა და განკარგულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აფორმებს თავის გადაწყვეტილებებს ოქმის წესით. ეს არის მინისტრთა საბჭოს აქტების მესამე სახე, რომელსაც ხშირად ნორმატული ხასიათი აქვს. ეს აქტები, როგორც წესი, არ ქვეყნდება. არის შემთხვევა, როდესაც „ოქმი“ აუქმებს მინისტრთა საბჭოს დადგენილებას. ასეთი სახის აქტები კანონით ან მის საფუძველზე მიღებული დებულებით არ არის გათვალისწინებული. საჭიროა თუ არა მინისტრთა საბჭოს აქტების ასეთი სახე? ვფიქრობთ, რომ ყველა ის საკითხი, რომელიც წყდება ოქმის წესით, შეიძლება გაფორმდეს კანონიერი წესით — დადგენილებით ან განკარგულებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს არა აქვს დებულება. მისი ორგანიზაცია, შემადგენლობა, კომპეტენცია საქმიანობის წესი ზოგადად განსაზღვრულია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა რომ იყოს დებულება, რომელიც უფრო ვრცლად განსა-

¹ См. П. Г. Мишунис и Н. В. Миронов. О юридической природе актов изд. высшими испол. и распор. орг. («Советское государство и право», 1957, № 8, стр. 24). ამავე სტატიაში ავტორი წერს, რომ „განსხვავება სსრ კავშირის მთავრობის აქტისა მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობის აქტთან არ აბათილებს უკანასკნელს“ (გვ. 30). ეს მტკიცება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის კონსტიტუციის და სსრ კავშირის მოკავშირე რესპუბლიკების ორგანოების ურთიერთობის პრაქტიკას. სსრ კავშირის კონსტიტუციის 67 მუხლი აწესებს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი და განკარგულებანი სავალდებულოა შესასრულებლად სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ამავე კონსტიტუციის მე-20 მუხლი ადგენს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მოკავშირე რესპუბლიკის კანონი ეწინააღმდეგება საერთო-საკავშირო კანონს, მოქმედებს საერთო-საკავშირო კანონი. აქედან უდავოა, რომ როდესაც მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დადგენილება ან განკარგულება ეწინააღმდეგება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას ან განკარგულებას, მაშინ მოკავშირე რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება უნდა გაუქმდეს, კანონით დადგენილი წესისამებრ.

² იქვე, გვ. 25.

ზღვრავდა მინისტრთა საბჭოს სტრუქტურასა და ფუნქციებს. ასეთი დებულება დახმარებას გაუწევდა არა მარტო მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაებს, არამედ სხვა მუშაებსაც, და რესპუბლიკის მთელ მოსახლეობას მისცემდა ნათელ წარმოდგენას მინისტრთა საბჭოს საქმიანობისა და მისი სამართლებრივი აქტების შესახებ.

დებულება აგრეთვე გაითვალისწინებდა ზომებს ზედმეტი მიმოწერის შესამცირებლად, ხელს შეუწყობდა საქმის წარმოების შემდგომ სრულყოფას. საქმის წარმოების მხრივ მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაობა სასურველად სანიმუშო იყოს ყველასათვის.

დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის სრულ ინფორმაციას საბჭოთა მთავრობის მოღვაწეობის, მისი ყველა დადგენილებების შესახებ. ნორმატიული აქტების დროული პუბლიკაცია ხელს უწყობს მათ სწორად გაგებას და ერთგვაროვან გამოყენებას ყველა სახელმწიფო ორგანოს, საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქეთა მიერ. ამიტომ სასურველია, რათა მინისტრთა საბჭოს ყველა აქტი სათანადოდ გაფორმდეს და გამოქვეყნდეს არა მხოლოდ სპეციალურ კრებულებში, რომელნიც ფართო მასისათვის ნაკლებ ხელმისაწვდომია, არამედ პრესაშიც. მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მთავრობის მთელი მოღვაწეობის შესახებ, კიდევ უფრო აამაღლებს სამართლებრივი ნორმების როგორც შემდგენლების, ისე მათი შემსრულებლების პასუხისმგებლობას, ხელს შეუწყობს სოციალისტური დემოკრატიისა და კანონიერების შემდგომ სრულყოფას და განმტკიცებას.

ცალკე უნდა შეეჩერდეთ უმაღლესი პარტიული ორგანოების და მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებებზე. ასეთ დადგენილებებს (მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირი მინისტრთა საბჭოსი) ზოგიერთი ავტორი ჰსწინს იმით, რომ „ისინი იძლევიან საშუალებას უზრუნველყოფიან სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მოქმედებათა შეთანხმებულობა პარტიულ ორგანოებთან სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა მნიშვნელოვან საკითხზე. ეს აქტები იურიდიული ძალის თვალსაზრისით სავალდებულოა არა მარტო საბჭოთა ორგანოებისათვის, არამედ სკკპ პარტიის ორგანოებისათვისაც, აგრეთვე ყველა საბჭოთა მოქალაქისათვის“¹. ეს მსჯელობა არ არის დამაჯერებელი. განა პარტიულ ორგანოებთან არაერთობლივად მიღებული საბჭოთა მთავრობის დადგენილებები, ყველა საბჭოთა ნორმატიული აქტი, საბჭოთა კანონები ნაკლებად ავტორიტეტული და ნაკლებად სავალდებულოა ყველასათვის და მათ შორის პარტიულ ორგანოებისათვისაც? რასაკვირველია, არა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილებები წარმოადგენენ ერთდროულად პარტიულ დირექტი-

¹ П. Г. Мишукин и Н. В. Миронов, Там же, стр. 27—28.

ვას და სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოს ნორმატიულ აქტს, არსებითად ისინი არიან ერთიანი პარტიულ-სამართლებრივი ნორმები.

მაგრამ არის კი საჭირო ასეთი ნორმები? „თანამედროვე პირობებში, — წერს ვ. მ. კორელსკი, — პარტიულ-სამართლებრივი ნორმები წარმოადგენენ კომუნისტურ მშენებლობაში სახელმწიფო ორგანოებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მოღვაწეობის კოორდინაციის ქმედით საშუალებას. სწორედ ამ დადგენილებებში ყველაზე უფრო ნათლად ვლინდება ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური და სამეურნეო ხელმძღვანელობის ერთიანობა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი მნიშვნელოვანი სამეურნეო ღონისძიება, განხორციელებული საბჭოთა სახელმწიფოში, არის იმავე დროს პოლიტიკური ხასიათის ღონისძიება... სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი აქტების რიცხვის გაზრდა — კომუნისტური პარტიის მზარდი როლის კონკრეტული გამოვლინებაა...“¹.

ჩვენ არ შეგვიძლია გავიზიაროთ ვ. მ. კორელსკის აზრი, რადგან ის ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ეწინააღმდეგება ლენინურ მოძღვრებას პარტიის ხელმძღვანელი როლისა და ამ ხელმძღვანელობის განხორციელების მეთოდებისა და ფორმების შესახებ. პარტია ახორციელებს არა მარტო იდეურ, არამედ კონკრეტულ ოპერატიულ ხელმძღვანელობას საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ერთიანი სისტემის ყველა ნაწილის მიმართ. პარტია ხელმძღვანელობს ამ სისტემის ყველა ორგანოს, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივის ფორმირებას და წარმართავს მათ საქმიანობას. საერთო-სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის ყველა ნაწილი, არის რა იარაღი ხალხის ხელში, ასრულებს ხალხის ნებას, განუხრელად ხელმძღვანელობს პარტიის დადგენილებებით, ასრულებს მათ. ყველა დაწესებულების და, ორგანოს ყოველი ნორმატიული აქტი, მიღებული კანონის საფუძველზე, სარგებლობს მაღალი ავტორიტეტით; პარტია თვითონ ხელმძღვანელობს და უზრუნველყოფს მათ შესრულებას. ყველა ისინი ასახავენ პარტიის ნებას.

საბჭოთა სახელმწიფოში კანონის შესაბამისი და მის საფუძველზე მიღებული ყველა სხვა ნორმატიული აქტი გამოიცემა სათანადო სახელმწიფო ორგანოების მიერ და არა პარტიული ორგანოების მიერ. ეს წესი ვ. ი. ლენინის მიერ იყო შემოღებული, და არ არის არავითარი აუცილებლობა მისი შეცვლისა. პარტია ახორციელებს თავის ურყევ ხელმძღვანელობას სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ორგანოს მიმართ, მოითხოვს იმათაგან იმუშაონ პარტიულად, შეასრულონ პარტიის გადაწყვეტილებები, განუხრელად იხელმძღვანელონ პარტიის გენერალური ხაზით, პროგრამით; მაგრამ პარტია თავისი ორგანოების სახით არასოდეს არ ცვლის სახელმწიფო აპარატის არცერთ ორგანოს.

პარტია წარმართავს ხალხის ენთუზიაზმს შრომის ნაყოფიერების ამაღლე-

¹ «Известия Высших учебных заведений. Правоведение», 1965 № 2, 83-85, 27, 28.

ბისათვის ბრძოლაში. მუშაობის კომუნისტური მეთოდების განვითარებაში. კოლექტივიზმით, დემოკრატიზმით უნდა იყოს გამსჭვალული მთელი ჩვენი საქმიანობა, საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ნორმატული აქტი. პარტიის პროგრამა მოითხოვს საბჭოთა კანონის ავტორიტეტი ავიყვანოთ მიუწვდომელ სიმაღლეზე. საბჭოთა კანონი, ყველა სამართლებრივი აქტი — საბჭოთა ხალხის ნების გამოხატულებაა და ის უნდა იყოს ურყევი. ეს აუცილებელი პირობაა სოციალისტური წყობილების განმტკიცებისათვის. ნორმატული აქტების ავტორიტეტის ამადლების ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი მართებულად გაფორმება.

საჭიროა დადგინდეს სათანადო ორგანოების მიერ ამ აქტების გამოცემის ზუსტი წესი და განუხრელად იქნეს იგი დაცული.

სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეუარებლის ზომიერითი საკითხი

ა. გაზიანო

სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განხორციელებისათვის აუცილებელია ყველა იმ გარემოების გამოვლენა და შეფასება, რაც ჩადენილი ქმედობისა და დამნაშავეს პიროვნების საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს ახასიათებს. ეს გარემოებებია პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი. მათ რიცხვს ეკუთვნის პირის სიმთვრალე დანაშაულის ჩადენის მომენტში.

საბჭოთა კრიმინალისტიკების უმრავლესობას მიაჩნია, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში სუბიექტის სიმთვრალის ფაქტს შეიძლება ქობდეს როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა¹.

იმისათვის, რომ თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად იქნას გადაწყვეტილი საკითხი პირის სიმთვრალისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი თუ შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობის მინიჭების შესახებ, საჭიროა მოიძებნოს რაიმე მყარი კრიტერიუმი. ამგვარ კრიტერიუმს, ჩვენის აზრით, შეიძლება წარმოადგენდეს დამნაშავე პირისა და მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი.

თუ პირის სიმთვრალე დანაშაულის ჩადენის მომენტში მეტყველებს მისი პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, ეს მდგომარეობა განხილულ უნდა იქნას როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაულის ჩადენის მომენტში სუბიექტის სიმთვრალე თავისთავად არ მეტყველებს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედობის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, არამედ პირიქით, პიროვნების შედარებით ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე მიუთითებს, ამ მდგომარეობას უნდა მიეცეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა. შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, როდესაც დამნაშავეს სიმთვრალე არც ზრდის და არც ამცირებს პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. ამგვარ შემთხვევებში სიმთვრალეს არ შეიძლება მიეცეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა.

დანაშაულის სიმთვრალეში ჩადენა მეტწილად შეიძლება წარმოადგენდეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას. ლოთობა თავისთავად უარყოფითად ახასიათებს პიროვნებას, მიუთითებს მის ანტისოციალურ განწყობილედ-

¹ ამ საკითხის შესახებ არსებობს სხვა შეხედულებაც, რომელიც ამტკიცებს, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტში პირის მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის ფაქტს შეიძლება მიეცეს მხოლოდ დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა (იხ. И. И. Карпец, Отягчающие и смягчающие обстоятельства в уголовном праве, М., 1959, გვ. 66) პროფ. ი. ი. კარპეცის მიერ ამ თვალსაზრისის დასაცავად მოტანილი არგუმენტები, ჩვენის აზრით, მოკლებულნი არიან დამაჯერებლობას.

ბაზე. უფრო მეტ უარყოფით შეფასებას იმსახურებს ის პირი, ვინც დანაშაული სიმთვრალეში ჩაიდინა.

განსაკუთრებით მკაცრ გაკიცხვას იმსახურებენ პირები, რომლებიც სიმთვრალეში იდგნენ სატრანსპორტო დანაშაულს. როგორც ცნობილია, ტრანსპორტის მუშაკთა მიერ თავიანთი მოვალეობის მთვრალ მდგომარეობაში შესრულებას ბევრ შემთხვევაში მოსდევს მძიმე ავარიები, ადამიანთა მსხვერპლი. სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ არაერთხელ მიუთითა, რომ „ტრანსპორტის მუშაკის მიერ მთვრალ მდგომარეობაში თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება წარმოადგენს ისეთ ვარემოებას, რომელიც ხიფათს უქმნის მოძრაობის სისწორესა და უსაფრთხოებას“¹. სსრ კავშირის ქალაქებში, დასახლებულ პუნქტებში და გზებზე მოძრაობის წესების 22-ე მუხლის „ა“ პუნქტი მძღოლს უკრძალავს ტრანსპორტის საშუალებათა მართვას თუნდაც უმნიშვნელო სიმთვრალის მდგომარეობაში.² ასევე ეკრძალებათ სამსახურებრივი მოვალეობის სიმთვრალეში შესრულება რკინიგზის, ავიაციის და ფლოტის მუშაკებს.

ამგვარი მკაცრი მოთხოვნა სატრანსპორტო საშუალებათა მართვის დროს ალკოჰოლური სასმელების მიღებისაგან თავის შეკავებისა გამომდინარეობს იქიდან, რომ ეს საქმიანობა დაკავშირებულია გარშემომყოფთათვის მომეტებულ საფრთხესთან, ამიტომ იგი განსაკუთრებულ სიფრთხილესა და დისციპლინიზებულობას მოითხოვს. ზემოაღნიშნული საქმიანობის შესრულება სიმთვრალეში უკვე თავისთავად უქმნის რეალურ საფრთხეს კანონით დაცულ ინტერესებს და პიროვნების ანტისაზოგადოებრივ, ამორალურ განწყობილებაზე მიუთითებს.

ამგვარად, სატრანსპორტო დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს ბრალეული პირის სიმთვრალეს დანაშაულის ჩადენის მომენტში უეჭველად უნდა მიეცეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა.

სატრანსპორტო დანაშაულთა გარდა, პირის სიმთვრალეს უნდა მიეცეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა აგრეთვე გარშემომყოფთათვის მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა სხვა სახის დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს.

მომეტებული საფრთხის წყაროს ცნებას განსაზღვრავს საბჭოთა სამოქალაქო სამართალი. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 90-ე მუხლში ნათქვამია, რომ ორგანიზაციები და მოქალაქეები, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია გარშემომყოფთათვის მომეტებულ საფრთხესთან, პასუხს აგებენ არაბრალეულად მიყენებული ზიანისათვის. ამ მუხლში მოცემულია იმ ორგანიზაციებისა და მოქალაქეების სანიმუშო ნუსხა, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია გარშემომყოფთათვის მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან. ნუსხაში დასახელებულია: სატრანსპორტო ორგანიზაციები, სამრეწველო საწარმოები, ავტომობილთა მფლობელები და სხვა. კანონმდებლის მიერ ამ ორგანიზაციებზე და მოქალაქეებზე არაბრალეულად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრება გამომდინარეობს იმ ინტერესების მაქსიმალურად დაცვის აუცილებლობი-

¹ იხ. Сборник постановлений Пленума и определений коллегий Верховного Суда СССР, 1943, 83. 40.

² იხ. Правила движения по улицам городов, населенных пунктов, и дорогам СССР, 1965, 83. 7.



დან, რომელთაც შეექმნათ დაზიანების ან განადგურების მომეტებული საფრთხე!.

ცხადია, რომ იმ პირებმა, რომლებიც სამსახურებრივი მოვალეობით ან რაიმე სხვა გზით დაკავშირებულნი არიან მომეტებული საფრთხის წყაროსთან, უნდა გამოიჩინონ მაქსიმალური ყურადღება და წინდახედულება იმ სიკეთის მიმართ, რომელთაც ისინი უქმნიან ამა თუ იმ საფრთხეს.

მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენების პროცესში მაქსიმალური ყურადღებანიობისა და დისციპლინირებულობის კატეგორიული მოთხოვნის ერთ-ერთ უხემ დარღვევას წარმოადგენს ამ დროს დათრობა. მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან დაკავშირებული ფუნქციების შესრულება ნასვამ მდგომარეობაში ბრალეული პირის წინასწარი შეცნობით საფრთხეს უქმნის გარშემომყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ან კანონით დაცულ სხვა სიკეთეს, ამიტომ ამ პირის ამორალურ, ანტისოციალურ განწყობილებაზე მიუთითებს.

ყოველივე ზემოაღნიშნული იძლევა საფუძველს ვამტკიცოთ, რომ სატრანსპორტო დანაშაულთა გვერდით მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან დაკავშირებული სხვა დანაშაულებრივი ქმედობებისათვის სასჯელის დანიშვნის დროს ბრალეული პირის სიმთვრალე საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენის მომენტში სასამართლოს მიერ უნდა განიხილებოდეს, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება.

ბრალეული პირის სიმთვრალე დანაშაულის ჩადენის მომენტში განხილულ უნდა იქნას როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება სამსახურებრივი მოვალეობის ან პროფესიული ფუნქციის შესრულებისას ისეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, რომელიც დაკავშირებული არ არის მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან, მაგრამ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სოციალისტურ თუ პირად ქონებას.

ამ შემთხვევაში, ისევე როგორც მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენების დროს, ბრალეული პირის სიმთვრალე მის უპასუხისმგებლობაზე, ანტისაზოგადოებრივ განწყობილებაზე მიუთითებს, რაც სასამართლოს საფუძველს აძლევს, პიროვნებისა და მის მიერ ჩადენილი ქმედობის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროებიდან გამომდინარე, შეუფარდოს სუბიექტს უფრო მკაცრო სასჯელი.

მაგალითად, ქირურგიული ოპერაციის გაკეთება არ წარმოადგენს მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან დაკავშირებულ საქმიანობას.¹ მიუხედავად ამისა, ოპერატორის სიმთვრალეს, თუ კი მის მიერ გაკეთებულ ოპერაციას დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა, სასამართლომ უნდა მიანიჭოს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა.

ნათქვამიდან გამომდინარე, ჩვენის აზრით, არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს რსფსრ-სა და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართ-

¹ იხ. Е. А. Флейшиц, Обязательства из причинения вреда и из неосновательного обогащения, М. 1951, გვ. 132.

² მომეტებული საფრთხის წყაროთი სარგებლობა რიგ შემთხვევებში შეიძლება არ იყოს დაკავშირებული სამსახურებრივი მოვალეობის ან პროფესიული ფუნქციის შესრულებასთან (იხ. Б. С. Антимонов, Гражданская ответственность за вред, причиненный источником повышенной опасности. М. 1952, გვ. 72).

³ ამ საკითხის შესახებ იხ. Б. С. Антимонов, ციტ. ნაშრომი, გვ. 48.

ლის კოდექსის პოზიცია ხსენებულ საკითხში.¹ ეს კოდექსები სიმთვრალეს ანიჭებენ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული დაკავშირებული იყო მომეტებული საფრთხის წყაროს გამოყენებასთან. საკითხის ამგვარი გადაწყვეტისას სიმთვრალეს ვერ მივანიჭებთ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობას მთელ რიგ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბრალეული პირის სიმთვრალე უთუოდ მეტყველებს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედობის მომეტებულ საზოგადოებრივ საშიშროებაზე.

მეორეს მხრივ, არ იქნებოდა სწორი იმის მტკიცება, რომ პირის სიმთვრალე სამსახურებრივი მოვალეობის ან პროფესიული ფუნქციის შესრულების დროს ყველა შემთხვევაში შეიძლება განხილულ იქნას როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება. ამასთან დაკავშირებით, არ შეიძლება სწორად იქნას მიჩნეული ლიტვისა და ესტონეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსების პოზიცია ხსენებულ საკითხში. ეს კოდექსები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევენ მთვრალ მდგომარეობაში ყოფნას ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია სამსახურებრივი მოვალეობის ან პროფესიული ფუნქციის შესრულების დროს, რითაც გაუმართლებლად აფართოებენ სიმთვრალის, როგორც პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების ფარგლებს.

ჩვენის აზრით, არ არსებობს იმის საფუძველი, რათა ყველა შემთხვევაში, როდესაც დანაშაული ჩადენილია სიმთვრალეში სამსახურებრივი მოვალეობის ან პროფესიული ფუნქციის შესრულების დროს, ვიმსჯელოთ ბრალეული პირისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაზრდილი საზოგადოებრივი საშიშროების შესახებ. პირის სიმთვრალე სამსახურებრივი მოვალეობის ან პროფესიული ფუნქციის შესრულების დროს, ცხადია, შრომის დისციპლინის დარღვევას წარმოადგენს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ კი სპირტიანი სასმელების მიღება არ არის დაკავშირებული ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სოციალისტური თუ პირადი საკუთრებისათვის საფრთხის შექმნასთან, სწორი არ იქნება სუბიექტის სიმთვრალეს მივანიჭოთ პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა.

მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ ქრთამის მიღების შემთხვევაში მისი სიმთვრალის ფაქტს, რაც უშუალო კავშირში არ არის ჩადენილ დანაშაულთან, არ შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების მნიშვნელობა.

ამგვარად, იმისათვის, რომ სიმთვრალე ვცნოთ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, საკმარისი არ არის დანაშაულის ჩადენა სამსახურებრივი ან პროფესიული საქმიანობის შესრულების დროს. ამას გარდა აუცილებელია ბრალეული პირი ალკოჰოლის მიღებით საფრთხეს უქმნიდეს ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან სოციალისტურ თუ პირად ქონებას².

პრაქტიკამ დაგვანახა, რომ სიმთვრალისათვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობის მინიჭების საკითხის გადაწყვეტამ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებში და

¹ იხ. რუსთა-ს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის მე-10 პუნქტი.

² ყოველივე ზემოთ თქმული ეხება აგრეთვე ისეთ შემთხვევებს, როდესაც დანაშაული ნარკოტიკული მოწამვლის მდგომარეობაშია ჩადენილი.



არა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში, არასახარბიელო შედეგებამდე მიგვიყვანა. მაშინ, როდესაც ჩვენს ქვეყანაში მძიმე დანაშაულთა უდიდესი ნაწილი სიმთვრალეშია ჩადენილი, არანორმალურად უნდა იქნას მიჩნეული ის მდგომარეობა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსები ამ საკითხის გადაწყვეტისას დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან. მაგალითად, ზოგიერთი სისხლის სამართლის კოდექსი პირის სიმთვრალეს დანაშაულის ჩადენის მომენტში ყველა შემთხვევაში მიიჩნევს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად (სომხეთისა და მოლდავეთის სსრ სისხლის სამართლის კოდექსები), მაშინ როდესაც სხვები პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხაში სრულიად არ უთითებენ სიმთვრალეს (საქართველოს, აზერბაიჯანის და სხვა სსრ სისხლის სამართლის კოდექსები). შექმნილი მდგომარეობა უეჭველად უარყოფით გავლენას ახდენს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის შეფარდების პრაქტიკაზე მთელი ქვეყნის მასშტაბით და არ შეესაბამება დანაშაულობასთან ბრძოლის ამოცანებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 34-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„დანაშაულის ჩადენა ალკოჰოლური თრობის ან ნარკოტიკული მოწამვლის მდგომარეობაში ისეთი სამსახურებრივი, პროფესიული ან რაიმე სხვა საქმიანობის შესრულების დროს, რაც დაკავშირებულია საფრთხესთან ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სოციალისტური თუ პირადი ქონებისათვის“.

ამგვარი ფორმულირება, ჩვენის აზრით, მოიცავს ყველა იმ შემთხვევას როდესაც დანაშაულის ჩადენა მთვრალ მდგომარეობაში უეჭველად მეტყველებს ბრალეული პირისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე. მისი პრაქტიკულად გამოყენება უზრუნველყოფს სწორი დასჯითი პოლიტიკის განხორციელებას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული ალკოჰოლური თრობის ან ნარკოტიკული მოწამვლის მდგომარეობაში ჩაიდინეს.

* * *

სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის დამატებითი სასჯელის დანიშვნის საკითხი.

ჩვენის აზრით, სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის დროს რიგ შემთხვევებში მიზანშეწონილია ძირითადი სასჯელების გარდა გამოყენებულ იქნას ცალკეული დამატებითი სასჯელები.

იმ პირთა მიმართ, რომლებმაც დანაშაული სიმთვრალეში ჩაიდინეს, ზოგჯერ მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნას დამატებით სასჯელად გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის შესრულების აკრძალვა. სასჯელის ამ ზომის გამოყენება, ჩვენის აზრით, მიზანშეწონილია იმ შემთხვევებში, როდესაც დანაშაული ჩადენილია ისეთი სამსახურებრივი, პროფესიული, ან რაიმე სხვა საქმიანობის შესრულების დროს, რომელიც დაკავშირებულია საფრთხესთან ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სოციალისტური თუ პირადი ქონებისათვის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 241-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის (რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის 211, 212 მუხ.) სიმთვრალეში ჩადენის შემთხვევაში, გარდა ძირითადი სასჯელისა, მიზან-

შეწონილია ბრალეულ პირს შეეფარდოს ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა.¹ ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევის შეფარდების მიზანშეწონილებას იმ პირთა მიმართ, რომლებმაც სატრანსპორტო დანაშაული სიმთვრალეში ჩაიდინეს, განაპირობებს გარშემომყოფთა იმ მომეტებული საფრთხისაგან მაქსიმალურად დაცვის ამოცანა, რომელსაც არაფხიზელ მდგომარეობაში ტრანსპორტის მართვა უქმნის მათ სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან კანონით დაცულ სხვა რაიმე სიკეთეს. ამიტომ, ჩვენის აზრით, სასამართლოებმა სიმთვრალეში ჩადენილი სატრანსპორტო დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის ყველა შემთხვევაში ძირითად სასჯელს უნდა შეუერთონ ტრანსპორტის მართვის უფლების ჩამორთმევა გარკვეული ვადით.

შემდეგ, იმ პირებს, რომლებმაც დანაშაული სიმთვრალეში ჩაიდინეს, რიგ შემთხვევებში მიზანშეწონილია შეეფარდოს დამატებითი სასჯელის სახით გადასახლება ან გასახლება. სასჯელის ამ დამატებითი ღონისძიების შეფარდება ძირითადად საჭიროა იმ შემთხვევებში, როდესაც დადგინდება, რომ დანაშაული სისტემატურ ლოთობასთან არის დაკავშირებული და რომ ამ ნიადაგზე ბრალეულ პირს წარსულში მრავალგზის დაურღვევია სოციალისტური თანაცხოვრების წესები.² ცხადია, რომ გადასახლება და გასახლება ამ პირებს შეიძლება შეეფარდოს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამის შესახებ სპეციალურად არის მითითებული კანონში (საფუძვლების 24-ე მუხლი).

სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის ზოგ შემთხვევებში შესაძლებელია დამატებითი სასჯელის სახით შეფარდებულ იქნას მშობლის უფლების ჩამორთმევა. ამ დამატებითი სასჯელის გამოყენება მიზანშეწონილია იმ პირთა მიმართ, რომლებიც სიმთვრალეში სისტემატურად სცემენ და შეურაცყოფას აყენებენ თავიანთ შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს, არ ზრუნავენ მათზე, აბამენ თავიანთ შვილებს ლოთობასა და დანაშაულებრივ საქმიანობაში და ასე შემდეგ. მშობლის უფლების ჩამორთმევის შეფარდების მიზანშეწონილება მსგავს შემთხვევებში გამომდინარეობს ამგვარ პირთა გამხრწნელი ზემოქმედებისაგან მათი არასრულწლოვანი შვილების დაცვის აუცილებლობიდან.

საილუსტრაციოდ მოგვყავს მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან: კ-ვ-პროფესიით ექიმი, სისტემატურად ლოთობდა. მეუღლის სიკვდილის შემდეგ სრულიად შესწყვიტა ზრუნვა თავისი ოთხი შვილის აღზრდაზე. ამის გამო ორი უფროსი შვილი ოჯახიდან წავიდა. დარჩენილ ორ უმცროს შვილს კ-ვ. სისტემატურად სცემდა და აწინებდა. ერთხელ მისმა უმცროსმა ვაჟმა გენადიმ შემთხვევით გატეხა ცარიელი ბოთლი და მამის შიშით ფარდულში დაიმალა. კ-ვ-მ იგი იპოვა და ისე სასტიკად სცემა, რომ გენადიმ გრძნობა დაჰკარგა. ამის შემდეგ იგი ორი თვის განმავლობაში იწვა საავადმყოფოში ტვინის შერყევის დიაგნოზით.


ქ. მაიკოპის მე-3 უბნის სახალხო სასამართლომ კ-ვ-ს მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა და მშობლის უფლების ჩამორთმევა.³

აღსანიშნავია, რომ ზემოთ განხილული შემთხვევებით არ ამოიწურება სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის დამატებითი სასჯელების შეფარდების პრობლემა. ჩვენ შევჩერდით ყველაზე უფრო დამახასიათებელ შემთხვევებზე,

¹ იხ. Г. А. Мендельсон, Ю. М. Ткачевский, Алкоголизм и преступность, М., 1959, 88, 89.

² იხ. იქვე, გვ. 90.

³ იხ. იქვე, გვ. 57.



სადაც დამატებითი სასჯელების გამოყენება, ჩვენის აზრით, აუცილებელია. სოსხლის სამართლის კონკრეტული საქმის მასალების შესწავლის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია სხვა შემთხვევებშიც სცნოს მიზანშეწონილად ბრალეული პირისათვის ზემოთ დასახელებული ან რომელიმე სხვა დამატებითი სასჯელის შეფარდება¹.

* * *

იშვიათ გამონაკლის შემთხვევებში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირის სიმთვრალეს დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობაც, თუკი იგი მეტყველებს ბრალეული პირისა და მის მიერ ჩადენილი ქმედობის შედარებით ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე. ამგვარად, იმ პრობლემის გადასაწყვეტად, თუ კონკრეტულად რა შემთხვევებში შეიძლება მიენიჭოს სიმთვრალეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა, საჭიროა დადგინდეს იქნას, სახელდობრ რა შემთხვევებში მეტყველებს სუბიექტის ამ მდგომარეობაში ყოფნა მისი პიროვნებისა და ჩადენილი დანაშაულის შედარებით ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებაზე.

ჩვენი აზრით, სიმთვრალეს შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა ისეთ შემთხვევებში, როდესაც სუბიექტი სპეციალურად დაათვრეს სხვა პირებმა დანაშაულებრივ საქმიანობაში მისი ჩათრევის მიზნით². აღსანიშნავია, რომ ამ თვალსაზრისს იზიარებს ჩვენი სასამართლო პრაქტიკა.

მაგალითი: 17 წლის კულდრინი, პროფესიით ზეინკალი, ხელფასის მიღების დღეს უფროსმა ამხანაგებმა ნედელინმა და სვინცოვმა დაათვრეს არაერთ, წაიყვანეს ქალაქის პლიაჟზე და წააქეხეს, რათა მას მოეპარა დამსვენებელთა ნივთები. სასამართლომ კულდრინისათვის სასჯელის შეფარდების დროს მის სიმთვრალეს დანაშაულის ჩადენის მომენტში მიანიჭა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა³.

შემდეგ, სიმთვრალეს შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა, თუ დადგინდება, რომ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენება მოცემული პირისათვის ერთეულ, გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს და რომ ამ მდგომარეობაში საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა არ მეტყველებს მოცემული პირის ნამდვილ ანტისაზოგადოებრივ განწყობილებაზე, არამედ აიხსნება ალკოჰოლის უარყოფითი გავლენით მის შეგნებასა და ნებაზე⁴.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილ შემთხვევებში სიმთვრალეს შეიძლება მიეცეს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოების მნიშვნელობა მხოლოდ იმ პირობით, თუ ბრალეული პირი მოცემულ კონკრეტულ მომენტში არ ასრულებდა ისეთ სამსახურებრივ, პროფესიულ ან რაიმე

¹ ყოველივე ზემოთქმული ვრცელდება აგრეთვე ისეთ შემთხვევებზე, როდესაც დანაშაული ჩადენილია ნაკრძიული ნივთიერებებით მოწამვლის მდგომარეობაში.

² იხ. И. И. Горелик, Значение состояния опьянения при совершении общественно опасного действия, Вопросы уголовного права и процесса, Выпуск I, 1958, გვ. 35.

³ იხ. А. Б. Сахаров, О личности преступника и причинах преступности в СССР, М. 1961, გვ. 230.

⁴ იხ. იქვე, გვ. 229.

სხვა საქმიანობას, რაც დაკავშირებულია საფრთხესთან ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან სოციალისტური თუ პირადი ქონებისათვის.

სუბიექტის სიმთვრალე შეიძლება მოწმობდეს მისი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედობის შედარებით ნაკლებ საზოგადოებრივ საშიშროებას არა მხოლოდ ჩვენს მიერ განხილულ, არამედ ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც.

ამგვარად, დანაშაულის ჩადენის მომენტში პირის სიმთვრალე შეიძლება წარმოადგენდეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოებას, რომელიც გავლენას ახდენს მისი პასუხისმგებლობის ხარისხზე. აქედან გამომდინარე, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლოები დაწვრილებით უნდა სწავლობდნენ პირის სიმთვრალესა და მის მიერ დანაშაულის ჩადენას შორის არსებულ ურთიერთკავშირს. ამას მოითხოვს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის განუხრელი განხორციელების ამოცანა.

F-2999



წინასწარი გამომძიების რეკომენდაციის უძღებების უზრუნველყოფის შესახებ

3. სტრატეგია,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საგამომძიებლო აპარატის როლი საყოველთაოდ ცნობილია. მის გამართულ საქმიანობაზე დიდად არის დამოკიდებული დანაშაულობისა და მისი ხელშემწყობი პირობების აღმოფხვრა. მოქმედმა კანონმდებლობამ საგრძნობლად აამაღლა გამომძიებლის როლი, განსაზღვრა მისი სამართლებრივი სტატუსი, განამტკიცა მისი პროცესუალური დამოუკიდებლობა. სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გამოძიების ნაკლოვანებანი ყოველთვის როდი შეიძლება გამოსწორდეს. ამიტომ გამოძიება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ შეცდომები არ იქნეს დაშვებული; მეცნიერ-იურისტთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და პრაქტიკის ღრმად შესწავლით, მისი ანალიზით, შეიმუშაონ რეკომენდაციები გამოძიების ხარისხის ამაღლებისა და კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

წინამდებარე სტატიამი ჩვენ განვიხილავთ წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულის უფლებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხს.

1. წინასწარი გამოძიების ცენტრალურ ფიგურას ბრალდებული წარმოადგენს, რამდენადაც მის მიმართ წარმოებს გამოძიება. ბრალდებულის კანონიერი უფლებების დაცვას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობამ მნიშვნელოვნად გააფართოვა წინასწარ გამოძიებაში ბრალდებულის უფლებების დაცვის გარანტიები. მაგრამ მოქალაქემ, რომლის მიმართაც წარმოებს გამოძიება, ამ გარანტიებით, რომ ისარგებლოს იგი დროულად უნდა იქნეს ცნობილი ბრალდებულად, რადგანაც ამ მომენტამდე გამოძიება წარმოებს მისი მონაწილეობის გარეშე და მას არ შეუძლია თავი დაიცვას იმ მამხილებელი მასალებისაგან, რომლებიც გამოძიებლის განკარგულებაშია.

ყველა სისხლის სამართლის საქმის გამოკვლევა შედგება ორი ეტაპისაგან: პირველი — საქმის აღძვრიდან პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემამდე და მეორე — ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის მომენტიდან გამოძიების დამთავრებამდე. ამ ორ ეტაპს ყოფს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ. კანონში არ არის და არც შეიძლება ზუსტად იყოს მითითებული ამ პროცესუალური აქტის გამოტანის მომენტზე. ამ მომენტის განსაზღვრა ევალება გამომძიებელს და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. საქართველოს სსრ სსსკ 140-ე მუხლის თანახმად გამომძიებელი როგორც კი შეკრებს საკმარის დამამტკიცებელ საბუთებს „რაც საფუძველს იძლევა დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენებისათვის“, ვალდებულია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის თაობაზე.

კანონის ამ მოთხოვნის დაცვა ბრალდებულს აძლევს იმის გარანტიას, რომ დროულად გაიგოს ბრალდების არსი, და გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება წაყენებული ბრალდებისაგან თავის დასაცავად. სამწუხაროდ, პრაქტიკაში ამ წესს ყოველთვის არ იცავენ. 1963-1964 წლებში გამოძიებული 1850 სისხლის სამართლის საქმის შესწავლამ დაგვანახა, რომ გამოკვლევის პირველ ეტაპზე საშუალოდ იხარჯება დროის 70 პროცენტი, მეორე ეტაპზე კი მხოლოდ 30 პროცენტი. ხშირად (სისხლის სამართლის საქმეთა 25-30 პროცენტზე) ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემა ხდება გამოძიების დამთავრების დღეს.

ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება კანონის აზრს. თუ მოპოვებულია საკმარის დამამტკიცებელი საბუთები დანაშაულის ჩადენაში ბრალდების წაყენებისათვის, გამომძიებელი ვალდებულია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ. პრაქტიკის მიხედვით კი გამოძიების მნიშვნელოვანი ნაწილი ტარდება ბრალდებულის გარეშე და მამასადაშე, მას არ ეძლევა საშუალება ისარგებლოს დაცვის უფლებით. ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემა გამოძიების დამთავრების დღეს ფაქტიურად ნიშნავს ბრალდებულისათვის დაცვის უფლების წართმევას, რაც, შეუთავსებელია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიულობასთან. ასეთი პრაქტიკა რომ აღმოიფხვრას, ჩვენის აზრით, საჭიროა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში გათვალისწინებულ იქნას ნორმა იმის შესახებ, რომ გამომძიებელს არ ქონდეს უფლება დაამთავროს წინასწარი გამოძიება ბრალდების წარდგენიდან 72 საათზე ადრე. შეიძლება შეგვედაოთ, რომ ასეთი წესის შემოღება შეუთავსებელია პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის ტაქტიკასთან. ვფიქრობთ, რომ ასეთი შედაგება უსაფუძვლო იქნება, რადგან ყველა პროცესუალური აქტისა და მოქმედების შესრულებისას მთავარია პროცესის მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, გარანტიების რეალური უზრუნველყოფა. საგამომძიებლო მოქმედებათა წარმოების ტაქტიკა ყოველთვის დამხმარე, ხელშემწყობ როლს ასრულებს და ამიტომ ამით აიხსნება კანონის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ბრალდებულს საბრალდებო დასკვნის ასლი უნდა ჩაბარდეს არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა სამსჯავრო განხილვის დაწყებამდე.

სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული საწყისების შემდგომი გაფართოების თვალსაზრისით კარგი იქნებოდა საქართველოს სსსკ 141-ე მუხლში მითითებულიყო, რომ ბრალდების წარდგენის შემდეგ ბრალდებულის დაკითხვა (თუ ის ამის შესახებ მოითხოვს) გადაიდოს 24 საათით. ეს საშუალებას მისცემს ბრალდებულს უფრო ნათლად გაერკვეს ბრალდების არსში და მოემზადოს გამომძიებლისათვის ახსნა-განმარტების მისაცემად.

2. დადგენილება პირის ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის შესახებ, როგორც უკვე აღვნიშნავთ, წინასწარ გამოკვლევას ყოფს ორ ეტაპად. ამ დოკუმენტის გამოტანის შემდეგ პირი ხდება ბრალდებული და მხოლოდ ამ მომენტიდან იღებს რეალურ შესაძლებლობას დაიცვას თავი წაყენებული ბრალდებისაგან. ამიტომ აღნიშნული დადგენილება ყოველთვის უნდა იყოს კანონიერი და დასაბუთებული.

თუ ბრალდებულის სახით პასუხისმგებაში მიცემის კანონიერების ცნება უთანხმოებას არ იწვევს და ყოველთვის სრულდება პრაქტიკაში, სამაგიეროდ დასაბუთებულობის ცნებას, თეორიაშიც და პრაქტიკაშიც სხვადასხვანაირად



განმარტავენ. რიგ მეცნიერებს ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დადგენილების დასაბუთებულობის ქვეშ ესმით მხოლოდ „ჩადენილი დანაშაულის გარემოებების“ გადმოცემა.¹ ამ აზრს პრაქტიკული მუშაკებიც იზიარებენ და დადგენილებაში არ უთითებენ იმ დამამტკიცებელ საბუთებზე, რომლებიც ბრალდებას უდევს საფუძვლად. დადგენილების მთელი დასაბუთებულობა მდგომარეობს იმის აღნიშვნაში, რომ ბრალდებული „საკმაოდ მხილებულია“ მისთვის ინკრიმირებული დანაშაულის ჩადენაში.

გფიქრობთ, ასეთი პრაქტიკა ახასწორია და არ შეესაბამება კანონიერების უზრუნველყოფის ინტერესებს. ჯერ ერთი, იგი არსებითად ლახავს ბრალდებულის დაცვის უფლებას. მართლაც და წაყენებული ბრალდების შესახებ რა ახსნა-განმარტება უნდა მისცეს ბრალდებულმა თუ მან არ იცის ამ ბრალდების საფუძვლები (დამამტკიცებელი საბუთები)? სწორედ ამით შეიძლება აიხსნას, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი საქმეებიდან ბრალდებულების 30 პროცენტმა თავი არ იცნო დამნაშავედ, არსებითი ახსნა-განმარტება არ მისცა წაყენებული ბრალდების თაობაზე და არ მიუთითა თავის დასაცავად რაიმე სერიოზულ არგუმენტებზე. ამის მიზეზია ალბათ ისიც რომ ბრალდებულების მხრივ შუამდგომლობების უმრავლესობის აღძვრა ხდება არა გამოძიების პროცესში, არამედ მისი დამთავრების შემდეგ.

მეორე, — ასეთი პრაქტიკა საზიანოა იმ მხრივაც, რომ გამოძიებელი რომელიც დარწმუნებულია შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთების სისწორეში და სამართალში მიცემის მომენტში არ წარუდგინა ისინი ბრალდებულს, შეიძლება გამოძიების დამთავრებისას საქმის გაცნობის დროს ბრალდებულმა დაარწმუნოს ამ დამამტკიცებელი საბუთების უსწორობაში. ამას კი, როგორც წესი, თან სდევს საქმის წარმოების შეწყვეტა ან დამატებითი გამოძიების ჩატარება ახალი დამამტკიცებელი საბუთების შესაკრებად, ერთი სიტყვით, გამოძიების გაჭინაურება და საქმის გაჯანჯლება. და ბოლოს, მესამე — ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება კანონს. საქართველოს სსრ სსსკ 140-ე მუხლი მოითხოვს მოტივირებული დადგენილების გამოტანას, რაც ნიშნავს იმ დამამტკიცებელ საბუთებზე მითითებას, რომლებსაც ემყარება ეს გადაწყვეტილება. ყოველ შემთხვევაში, კანონის აზრი, რომ უფრო ნათელი იყოს და დავა არ გამოიწვიოს, საჭიროდ მიგვაჩნია საქართველოს სსრ სსსკ 140-ე მუხლში (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სსსკ შესაბამის მუხლებშიც) აღინიშნოს, რომ ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დადგენილების აღწერილობით ნაწილში გამოძიებელმა უნდა მიუთითოს ბრალდებულის ბრალულობის დამადასტურებელ ძირითად დამამტკიცებელ საბუთებზე.

3. საქმის გამოკვლევის დროს გამოძიების მასალები არც თუ იშვიათად მიუთითებენ ხოლმე ბრალდებულის მიერ არა ერთი, არამედ რამდენიმე დანაშაულის ჩადენაზე, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის სხვადასხვა მუხლებით. ახალი საპროცესო კანონმდებლობა ზუსტად განსაზღვრავს აღნიშნულ შემთხვევებში ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დადგენილების გამოტანის წესს. საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ბრალდებულს ბრალად ედება რამდენიმე

¹ იხ. მაგალითად, Комментарий УПК РСФСР, 1960 г.; ЛГУ, 1962, стр. 146; Комментарий УПК РСФСР под редакцией В. А. Болдырева, Госюриздат, 1963, стр. 296.

დანაშაულის ჩადენა, რომლებიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონის სტრუქტურაში მუხლით, ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ დადგენილებაში უნდა მიეთითოს კონკრეტულად, რაში ედება ბრალი ბრალდებულს სისხლის სამართლის კანონის თვითული ამ მუხლის მიხედვით-სამწუხაროდ, ამ ნორმის მოთხოვნა პრაქტიკაში ხშირად არ სრულდება. ჩვენს მიერ შესწავლილ 255 საქმიდან, (სადაც ბრალდებულს წარდგენილი ქონდა სისხლის სამართლის კანონის რამდენიმე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება) ვერ ვნახეთ ვერც ერთი შემთხვევა, რომ დაეცვათ საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა.

ძნელია ასეთი პრაქტიკის მიზეზების ახსნა. გაკვირვებას იწვევს, რომ პროკურორები, რომლებიც ანხორციელებენ გამოძიებაზე ზედამხედველობას და სასამართლოები, რომლებიც საქმეს არსებითად იხილავენ, შემწყნარებლურად უდგებიან კანონის ასეთ დარღვევას, თუმცა ყველასათვის ნათელია, რომ იგი სერიოზულად არღვევს ბრალდებულის დაცვის უფლებას. რასაკვირველია, არის შემთხვევები როდესაც სასამართლოს გამოაქვს კერძო განჩინება ან აბრუნებს საქმეს დამატებითი გამოძიებისათვის. იმის გამო, რომ საქართველოს სსრ სსსკ 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა არ სრულდება. მაგრამ ასეთი შემთხვევები ძალიან იშვიათია. აუცილებელია, რომ პროკურორები და სასამართლოები მეტ ყურადღებას აქცევენ საქართველოს სსსკ 141-ე მუხლის მე-2 ნაწილის დაცვას და მის დარღვევაზე ყველა შემთხვევაში ახდენდნენ სათანადო რეაგირებას.

4. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც გამოძიების პროცესში აღმოჩნდება საფუძველი ადრე წარდგენილი ბრალდების შესაცვლელად. უმეტესად ეს ხდება მაშინ, როდესაც ბრალდება წინდაწინ წარედგინება პირებს, რომელთა მიმართ შერჩეულია აღკვეთის ღონისძიება ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემამდე. კანონი (საქართველოს სსრ სსსკ 81-ე მუხლი) მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში „ბრალდება წაყენებული უნდა იქნეს არა უგვიანეს ათი დღე-ღამისა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მომენტიდან. თუ ამ ვადაში ბრალდება არ იქნა წაყენებული აღკვეთის ღონისძიება უქმდება“.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია ბრალდების შეცვლისა და დამატების წესი. ასე, მაგალითად, საქართველოს სსრ სსსკ 152-ე მუხლის თანახმად, თუ წინასწარი გამოძიების დროს წარმოიშობა საფუძველი წაყენებული ბრალდების შეცვლის ან დამატებისათვის „გამომძიებელი ვალდებულია წაუყენოს ბრალდებულს ახალი ბრალდება...“ ხოლო თუ „წაყენებული ბრალდება რაიმე ნაწილში ვერ დადასტურდა, გამომძიებელი თავისი დადგენილებით შეწყვეტს სისხლის სამართლის საქმეს ბრალდების ამ ნაწილში, რასაც გამოუცხადებს ბრალდებულს“. კანონის ამ მოთხოვნის მიზანია უზრუნველყოს ბრალდებულისათვის თავის დაცვა ახალი ბრალდებისაგან. მაგრამ კანონის ამ ნორმის რედაქციას გააჩნია ხარვეზი. კერძოდ, მასში არ არის ნათქვამი, რომ დადგენილების ტექსტი, რომელიც ახალ ბრალდებას შეიცავს, ბრალდებულს წარედგინება ადრინდელი დადგენილების ნაცვლად. კანონში ასეთმა ხარვეზმა გამოიწვია არასასურველი შედეგები. პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ დადგენილებაში ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ არ უთითებენ, რომ ბრალდება წარედგინა ადრე წაყენებული ბრალდების შესაცვლელად ან დასამატებლად. ვინაიდან საქმეში არაებობს გამომძიებ-




ლის ორი გადაწყვეტილება ერთი და იგივე პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ, ბრალდებულს, სასამართლოს, პროკურორს, ადვოკატს და პროცესის სხვა მონაწილეებს შეიძლება წამოეჭრათ კითხვა: ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ ორი დადგენილებიდან რომელია „მოქმედი“: პირველი თუ მეორე? პასუხს ამ კითხვაზე საქმის მასალებში ვერ ვიპოვით. შეიძლება გვითხრან რომ ამ კითხვაზე პასუხს იძლევა მეორე დადგენილების გამოტანის თარიღი. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ არის.

რადგანაც მეორე დადგენილებაში არ არის მითითებული, რომ იგი ცვლის პირველს, ამიტომ პირველი დადგენილების იურიდიული ძალა ისეთივეა როგორც მეორის. პირის ბრალდებულად ცნობის შესახებ გამომძიებლის ორი მოცულობითა და შინაარსით სხვადასხვა გადაწყვეტილების არსებობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს. ამასთან, ბრალდებულს უფლება აქვს იცოდეს რომ მის მიმართ ადრე წარდგენილი ბრალდება დამატებულია ან შეცვლილია ახლით და რომ ამ მომენტიდან მას უფლება ენიჭება დაიცვას თავი ახალი ბრალდებისაგან. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ საქართველოს სსრ სსსკ 152-ე მუხლში შეტანილი უნდა იქნას დამატება, რომელიც დაავალდებულებს გამომძიებელს ახალი ბრალდების წარდგენის ტექსტში ყოველთვის მიუთითოს, რომ იგი წარდგინება ადრე წარდგენილი ბრალდების ნაცვლად.

სისხლის სამართლის საქმეების შესწავლა გვიჩვენებს, რომ როდესაც ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ პირველი დადგენილების გამოტანის შემდეგ გამომძიებელი დაადგენს ახალ ფაქტებს (ეპიზოდებს), რომლებიც დანაშაულის იურიდიულ კვალიფიკაციაზე არ ახდენენ გავლენას, მეორე დადგენილებაში აღინიშნება ხოლმე მხოლოდ ბრალდების ეს ახალი ეპიზოდები. მაშასადამე, გამოდის რომ გამომძიებლის დამთავრების მომენტში ბრალდების შინაარსი და მისი მოცულობა ასახულია ორ პროცესუალურ აქტში, რომელთაგან თვითეთლი წარმოადგენს ბრალდების მთელი მოცულობის შემადგენელ ნაწილს. ასეთი პრაქტიკა არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს. იმაზე, რომ არაფერი ვთქვათ, რომ ის ართულებს პროცესის მონაწილეთა მიერ საქმის გაცნობას, ასეთი წესი არ შეესაბამება საქართველოს სსრ სსსკ 140, 141, 145 და 152 მუხლის მოთხოვნებს.

5. მტკიცების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასამართლო ექსპერტიზას. კანონით რეგლამენტირებულია ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების წესი, განსაზღვრულია ბრალდებულის უფლებები ექსპერტიზის წარმოებისას. გამომძიებელი მოვალეა გააცნოს ბრალდებულს დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და განუმარტოს მას მისი უფლებები. ბრალდებულს უფლება აქვს მისცეს აცილება ექსპერტს, იშუამდგომლოს ექსპერტიზათვის დამატებითი შეკითხვების მიცემის შესახებ, დაესწროს გამომძიებლის ნებართვით ექსპერტიზის ჩატარებას და მისცეს განმარტებანი ექსპერტს. (საქართველოს სსრ სსსკ 187 მუხლი).

პრაქტიკაში, როგორც წესი, გამომძიებელი ექსპერტიზის ჩატარებას ავალდებს სათანადო საექსპერტო დაწესებულებას. ამასთან დაკავშირებით დაინერგა პრაქტიკა, რომელიც იწვევს ბრალდებულის უფლებების დარღვევას. საქმე იმაშია, რომ ექსპერტიზის დანიშვნის დროს გამომძიებელმა არ იცის და არც შეიძლება იცოდეს თუ რომელ ექსპერტს დაავალდებს ექსპერტიზის ჩატარებას საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი. ამიტომ გამომძიებელს არ შეუძ



ლია ბრალდებულს აცნობოს ექსპერტის გვარი და ამგვარად ბრალდებული მოკლებულია შესაძლებლობას გამოიყენოს თავისი უფლება ექსპერტისათვის აცხადების მიცემის შესახებ. შემდეგ, საექსპერტო დაწესებულებები მდებარეობენ საოლქო (რესპუბლიკურ) ცენტრებში. ამიტომ რაიონში მომუშავე გამოძიებლებს პრაქტიკულად არ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ბრალდებულის თხოვნა ექსპერტიზაზე დასწრებისა და ექსპერტისათვის განმარტებების მიცემის შესახებ. ექსპერტს საშუალება არა აქვს გაითვალისწინოს გამოსაკვლევი გარემოების შესახებ ბრალდებულის განმარტებანი, რაც აძნელებს ექსპერტის მუშაობას და გავლენას ახდენს მისი დასკვნის ხარისხიანობაზე.

ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს და ამიტომ აუცილებელია სასწრაფო და რეალური ზომების მიღება მის გამოსასწორებლად.

6. ბოლოს განვიხილოთ საკითხი თუ როგორ ხორციელდება პრაქტიკაში ბრალდებულის უფლებების დაცვის კანონიერი გარანტიები საბრალდებო დასკვნის შედგენის დროს.

საბრალდებო დასკვნა ეს არის სასამართლოში გადასაგზავნ საქმეზე წინასწარი გამოძიების დამსარტლებელი აქტი. მასში შეჯამებულია გამოძიების შედეგები, მოცემულია გამოძიებლის საბოლოო დასკვნა ბრალდებულის ბრალულობის შესახებ, გადმოცემულია და ანალიზი აქვს გაკეთებული საქმეში არსებულ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც საკმაოა ბრალდებულის სამართალში მისაცემად.

ამ დოკუმენტის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ, ჯერ ერთი, იგი წარმოადგენს გამოძიების მასალების სინთეზს, შეიცავს ბრალდების ფაბულას, რაც უადვილებს სასამართლოს გამოიკვლიოს და შეამოწმოს გამოძიების მასალები; მეორე, — საბრალდებო დასკვნა ბრალდებულს საშუალებას აძლევს მოემზადოს სასამართლოში თავის დასაცავად, რაც ხელს შეუწყობს კანონიერი და დასაბუთებული განაჩენის გამოტანას; მესამე, — და ეს ყველაზე მთავარია, — საბრალდებო დასკვნის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ სასამართლოს საქმის განხილვის დროს არ შეუძლია გასცდეს საბრალდებო დასკვნის ფარგლებს, ე. ი. გააუარესოს ბრალდებულის მდგომარეობა. სასამართლოს არ შეუძლია მსჯავრი დაადოს ბრალდებულს ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლის შესახებ მას ბრალდება არ ქონდა წარდგენილი წინასწარ გამოძიებაში და ამიტომ არ ქონდა ამ ბრალდებისაგან დაცვის საშუალება. სასამართლოს არ შეუძლია აგრეთვე შეცვალოს ბრალდება ბრალდებულის მდგომარეობის გაუარესების მიმართულებით: შეცვალოს ბრალდება ისეთი ბრალდებით, რომელიც უფრო მძიმეა, ან ფაქტიური გარემოებებით არსებითად განსხვავდება საბრალდებო დასკვნაში ჩამოყალიბებული ბრალდებისაგან.

პროცესუალურ ლიტერატურაში თითქმის ყველა ავტორი იმ აზრისაა, რომ საბრალდებო დასკვნა განსაზღვრავს სასამართლოში საქმის გამოკვლევის მოცულობასა და ფარგლებს. საბრალდებო დასკვნის არსისა და მნიშვნელობის შესახებ ასეთი ტრადიციული შეხედულება, ჩვენის აზრით, არასწორია, რადგანაც იგი ამცირებს სასამართლო განხილვის სტადიის მნიშვნელობას. ცნობილია, რომ სასამართლო განხილვამ, რომელიც წარმოადგენს საქმის ახალ და დამოუკიდებელ გამოკვლევას, შეიძლება დაადგინოს (და ხშირად ადგენს კიდევ) ისეთი გარემოებები, რომლებიც ცნობილია ან გამოკვლეული არ იყო წინასწარი გამოძიე-

ბის დროს. მაშასადამე, წინასწარი გამოძიების მასალებით და საბრალოდებო დასკვნით სასამართლო შემოფარგლულია იმდენად, რამდენადაც მას არ შეუძლია მსჯავრი დასდოს ბრალდებულს იმ დანაშაულში, რომელიც არ ყოფილა წინასწარი გამოძიების გამოკვლევის საგანი. ზოლო თუ სასამართლო განხილვის დროს დადგინდება, რომ ბრალდებულს ჩაუდენია სხვა დანაშაულიც: უფრო მძიმე დანაშაული, ან დანაშაული, რომელიც არსებითად განსხვავდება წინასწარ გამოძიების დროს გამოკვლეული დანაშაულისაგან, სასამართლო ვალდებულია შეწყვიტოს საქმის განხილვა და საქმე დააბრუნოს დამატებითი გამოძიების ჩასატარებლად. სწორედ ამასი და არა სხვა რამეში მდგომარეობს წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის ურთიერთობის არსი.

ყოველივე აღნიშნულის გამო კანონი დიდ მოთხოვნებს უყენებს წინასწარი გამოძიების დამასრულებელ დოკუმენტს, დოკუმენტს, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „საგამომძიებლო წარმოების გვირგვინი“.

პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ არც თუ იშვიათად გვხვდება საბრალოდებო დასკვნები ისეთი ნაკლოვანებებით, რომლებიც არღვევენ ბრალდებულის დაცვის უფლებას.

ზემოთ უკვე აღნიშნეთ საბრალოდებო დასკვნის მნიშვნელობა ბრალდებულისათვის. ამიტომაც მოითხოვს კანონი, რომ საბრალოდებო დასკვნის ასლი ბრალდებულს ჩაბარდეს სამსჯავრო განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს სამი დღე-ღამისა, რათა მას ქონდეს დრო და საშუალება მოემზადოს თავის დასაცავად. მაგრამ თავისთავად ეს გარანტია არაფერს ნიშნავს თუ საბრალოდებო დასკვნა შედგენილი იქნება კანონის უხეში დარღვევით. ლაპარაკია, უწინარეს ყოვლისა შემდეგზე: კანონში ნათქვამია, რომ საბრალოდებო დასკვნის აღწერილობით ნაწილში გამომძიებელმა უნდა აღნიშნოს „დამამტკიცებელი საბუთები, რომელნიც დანაშაულის არსებობასა და ბრალდებულის ბრალეულობას ადასტურებენ“. (საქართველოს სსრ სსსკ 206 მუხლი). მაგრამ გამომძიებლები, როგორც წესი, აღნიშნავენ ზოლმე არა დამამტკიცებელ საბუთებს (ფაქტიურ მონაცემებს), არამედ მათი მიღების წყაროებს. საბრალოდებო დასკვნაში ხშირად ვკითხულობთ: „ბრალდებულის ბრალეულობა დადასტურებულია მოწმე პეტროვის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით“. გასაგებია, რომ საბრალოდებო დასკვნის ასეთი შინაარსიდან ბრალდებული ვერ გაიგებს თუ ბრალდების რა დამადასტურებელ დამამტკიცებელ საბუთებზეა ლაპარაკი და ვერ განახორციელებს თავის დაცვის უფლებას.

ბევრი საბრალოდებო დასკვნის ნაკლოვანებას წარმოდაგენს ის, რომ მათში არ არის გადმოცემული ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, თუმცა ასეთი გარემოებები დადგენილი იყო წინასწარი გამოძიების მსვლელობაში. და ბოლოს გამომძიებლები ყოველთვის არ ასრულებენ საქართველოს სსრ სსსკ 206 მუხლის მოთხოვნას იმის შესახებ, რომ საბრალოდებო დასკვნაში აღინიშნოს „მოსახრებანი, რომელთაც ბრალდებული თავის

დასაცავად აყენებს და, ამ მოსაზრებების შემოწმების შედეგი“. ამის ნაცვლად ზოგჯერ წერენ: „ბრალდებულმა თავი არ იცნო დამნაშავედ, მაგრამ ეს ყურადღებას არ იმსახურებს, რადგანაც იგი საქმის მასალებით სავსებით მზილებულია“.

საბრალდებო დასკვნის აღნიშნული ნაკლოვანებანი მიუთითებენ გამოძიებლების მუშაობის ნაკლოვანებებზე და აგრეთვე იმაზე, რომ ზოგიერთი პროკურორი საბრალდებო დასკვნის დამტკიცების დროს არ ასრულებს კანონის მოთხოვნას (საქართველოს სსრ სსსკ 213 მუხლი) შეამოწმოს კანონის შესაბამისად არის შედგენილი საბრალდებო დასკვნა თუ არა.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების სწორი გაგებისათვის

ანდრო ვალოვანი

სხეულის დაზიანება წარმოადგენს ადამიანის ორგანოების ქსოვილთა ანატომიური მთლიანობის დარღვევას ან ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლას როგორც გარეშე ძალების ზემოქმედების, ისე შინაგან მოვლენათა განვითარების შედეგად.

ამ თვალსაზრისით სხეულის დაზიანება წმინდა ბიოლოგიური მოვლენაა და მის წინააღმდეგ ბრძოლა ხორციელდება სამედიცინო საშუალებათა გამოყენებით.

მაგრამ, როდესაც ერთი პირის სხეულის დაზიანება გამოწვეულია მეორე პირის ქმედობით, ის სოციალური მოვლენის სახეს ღებულობს. უკეთეს ეს ქმედობა საზოგადოებრივად საშიში თვისებების შემცველია, მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს სისხლისსამართლებრივი საშუალებების გამოყენებით.

ამდენად სამედიცინო თვალსაზრისით გაგებულ სხეულის დაზიანებისაგან განსხვავებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის თვალსაზრისით გაგებული სხეულის დაზიანება.

სხეულის დაზიანება სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით არის ერთ-ერთი პირის მოქმედებით ან უმოქმედობით, მართლსაწინააღმდეგო განზრახვით ან გაუფრთხილებლობით, მეორე პირის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება, ადამიანის ორგანიზმის ორგანოების და ქსოვილების ანატომიური მთლიანობის დარღვევის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის მოშლის სახით.

სხეულის დაზიანება სისხლის სამართლის თვალსაზრისით, მისთვის დამახასიათებელ მხარეების მიხედვით კი არ ემთხვევა სხეულის დაზიანებას სამედიცინო თვალსაზრისით, არამედ მასთან შედარებით გაცილებით დიდი მოცულობისაა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობით დგინდება პიროვნების ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სხეულის დაზიანებათა სხვადასხვა შემადგენლობა.

საქართველოს სსრ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი, სხვა უმრავლეს მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების მსგავსად, პიროვნების ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა სახეობებს ითვალისწინებს სხეულის დაზიანების სამხარისხოვანი დაყოფის მიხედვით: სხეულის მძიმე დაზიანება, სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება და სხეულის მსუბუქი დაზიანება. ამ დანაშაულობათა შემადგენლობა კოდექსში მოცემულია სწორედ ამ სამხარისხოვან დაყოფათა შესაბამისად.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა რიგს და მისი იურიდიული ბუნების სწორ გაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ჩვენი მიზანია განვიხილოთ ამ თვალსაზრისით სხეულის განზრახ მძიმე და-

ზიანების შემადგენლობის ობიექტური მხარის ის ნიშნები, რომლებიც მასში წარმოდგენილი არიან პიროვნების ჯანმრთელობისათვის საზიანო შედეგების სახით.

საქართველოს სსკ 110 მუხ. 1-ლი ნაწ. მიხედვით ასეთი ნიშნებია: 1) სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანება; 2) მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა; 3) სულიერი ავადმყოფობა; 4) ორსულობის შეწყვეტა და 5) ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, შრომის უნარის არა ნაკლებ ერთი მესამედით, მყარ დაკარგვასთან ჯაკავშირებით.

კანონით გათვალისწინებულ ამ ნიშნებს, მუხლის დისპოზიციის განმსაზღვრელი, ობიექტურად სავალდებულო, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვთ.

ისინი არსებითად თუმცა ბიოლოგიური ხასიათის მოვლენებია მათთვის მინიჭებული სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის გამო, განსხვავდებიან სხვა უამრავ მსგავს ბიოლოგიურ მოვლენათაგან, რომელთა შორისაც მომხდარია მათი შერჩევა.

ცხადია, ამ ნიშნებისათვის მინიჭებული ეს სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა მოითხოვს მათი ხასიათის სპეციფიურობის სწორ გაგებას, რაც არსებითად დაკავშირებულია მთელი რიგი ბიოლოგიური და სამედიცინო საკითხების ჯაზუსტებასთან.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1960 წ. მაისის „წესები სხეულის დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისათვის“¹.

უდავოა, რომ ეს „წესები“ საკანონმდებლო ხასიათის მქონე ნორმების შემცველი არ არიან. ისინი მხოლოდ განმარტავენ სამედიცინო თვალსაზრისით იმ ნიშნებს, რომლებიც შეადგენენ, კანონით გათვალისწინებულ, ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შედეგისადმი ობიექტურ მხარეს, დამდგარი შედეგის სახით.

ამ მხრივ „წესები“ უაღრესად მდიდარ პოზიტიურ მასალის გამოყენებითაა შემუშავებული და მეტად დიდ როლს ასრულებს მოხსენებულ დანაშაულთა მიმართ სისხლისსამართლებრივი საშუალებებით ბრძოლის საქმეში.

ჩვენ ყოვლად დაუშვებლად მიგვაჩნია სასამართლო-სამედიცინო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თითქოს ამ „წესებს“ საკანონმდებლო ხასიათის ფუნქციაც გააჩნდეს.

ეს მოსაზრება სრული კატეგორიულობით აქვს გამოთქმული პროფ. ვ. ს. შანიძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ: „ეს წესები არა მარტო განმარტავს, არამედ ავსებს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლებში გათვალისწინებულ სხეულის დაზიანების შემადგენლობას“.²

თითქმის ასეთივე შეხედულებისაა ამ საკითხზე პროფ. მ. ი. ავდევიცი, რომელიც არც საერთოდ და არც ასე გადაჭრით, მაგრამ „წესების“ ერთ-ერთ

¹ ქურნალ „საბჭოთა სამართალი“, 1960 წ., № 5, გვ. 54. ხელმოკრედ ეს წესები მცირე-ოდენი ცვლილებით დამტკიცებულია 1965 წლის 20 აპრილს.

² ვ. ს. შანიძე, „სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ზოგიერთი საკითხი“, თბილისი, 1959 წ. გვ. 36.

პარაგრაფთან დაკავშირებით გარკვევით ამბობს, რომ ის «Содержит дополнительные разъяснения к статье уголовного кодекса»¹.

წინააღმდეგ ამ შეხედულებათა და კანონის სტაბილურობის პრინციპთან სრული შესაბამისობით, რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, 1961 წლის 4 აპრილს დამტკიცებული „წესების სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის განსაზღვრისათვის“, რსფსრ სსკ გათვალისწინებულ პიროვნების ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა შემადგენლობაში არაერთარ შეეხებასა და დამატებითი ხასიათის მქონე განმარტებას არ ახდენს.

მასში დაზუსტებულია მხოლოდ და მხოლოდ ის საკითხები, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვენ და დაკავშირებულნი არიან სსკ სათანადო მუხლებით შერჩეულ და ამდენადვე გარკვეული სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ბიოლოგიური ნიშნების სწორ გაგებასთან².

სულ სხვა მდგომარეობაა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზევით მოხსენებულ „წესებში“, რომელიც საქართველოს სსრ სსკ შესაბამის მუხლებსაგან განსხვავებით, ყველა სახის ამ დანაშაულთა შემადგენლობას განსაზღვრავს ნებისმიერად, დამატებით შერჩეულ ნიშნების გათვალისწინებით.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განსაზღვრასთან დაკავშირებით „წესებში“ ასეთ დამატებით შერჩეულ ნიშანს წარმოადგენს მისი მე-6 პარაგრაფის „გ“ პუნქტში აღნიშნული ისეთი შედეგი, როგორცაა: „დაზიანებანი, რომლებმაც გამოიწვიეს მნიშვნელოვანი ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა“.

ამასთან შეფარდებით, ამავე პარაგრაფის მე-8 შენიშვნაში განსაზღვრულია ის, თუ რომელი ორგანო ეკუთვნის მნიშვნელოვან ორგანოს და რომელი ნაკლებად მნიშვნელოვან ორგანოს.

ამით „წესები“ წინააღმდეგობაშია საერთოდ სისხლის სამართლის კოდექსთან, რომელიც არ ითვალისწინებს ორგანოების დაყოფას მნიშვნელოვან და ნაკლებად მნიშვნელოვან ორგანოებად და კერძოდ, მის 110 მუხლის I ნაწილთან, სადაც ლაპარაკია: „რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვაზე“.

კიდევ მეტი, „წესებში“ როგორც ეს ნათქვამია მის მე-7 პარაგრაფის „ბ“ პუნქტში „ნაკლებად მნიშვნელოვანი ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა“, მიჩნეულია სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანების განმსაზღვრელ ნიშნად, მიუხედავად იმისა, რომ სსკ III მუხლის დისპოზიციაში ნათქვამია მართოდენ „რომელიმე ორგანოს ფუნქციის ხანგრძლივ დარღვევაზე“.

მართალია, ადამიანის ორგანოების ასეთ ორგვაროვან დაყოფას ითვალისწინებს, მაგალითად, ესტონეთის სსრ სსკ, რომელიც მნიშვნელოვანი ორგანოს დაკარგვას აკუთვნებს სხეულის მძიმე დაზიანებას (მუხ. 107), ხოლო ნაკლებად მნიშვნელოვანი ორგანოს დაკარგვას სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანებას, მაგრამ ამის ნებისმიერად გავრცელება საქართველოს სსრ სსკ ყოვლად დაუშვებელია.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განსაზღვრასთან დაკავშირებით „წესებში“ ასეთივე დამატებით შერჩეული ნიშანია მის მე-6 პარაგრაფის „ბ“ პუნქტში აღნიშნული შემდეგი შედეგი: „დაზიანებასთან უშუალოდ დაკავშირე-

¹ М. М. Авдеев, «Судебная медицина», М., 1949 г. стр. 363.

² «Советская юстиция», № 13, 1961 г. стр. 28.

ბული ავადმყოფური მოვლენები, რომელთა მიმდინარეობის ხანგრძლივობა არა-ნაკლებ 12 კვირას უდრის“.

საქართველოს სსრ სსკ 110 მუხ. I ნაწილში კი სიტყვაც არაა ნათქვამი ავადმყოფური მოვლენების განსაზღვრისათვის მათ რაიმე ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ნიშნად კანონი ამ შემთხვევაში თვლის მხოლოდ ისეთ მოშლას ჯანმრთელობისა, რაც დაკავშირებულია „შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან, სულ ცოტა ერთი მესამედით“. „წესებს“ არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ 12 კვირიან ხანგრძლივობის მქონე ავადმყოფობის ნიშნის გამოყენებისათვის.

ასევე გაუმართლებელია „წესების“ მე-6 პარაგრაფის „დ“ პუნქტის მიხედვით სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ნიშნად მიჩნევა იმ დაზიანებებისა „რომელმაც გამოიწვიეს მყარი და მძიმე დაავადება“, რადგან არც ერთი ამ შედეგთაგანი სსკ 110 მუხლის I ნაწილის შემადგენლობის ელემენტად არ აღინიშნება.

როგორც ეს უკვე თქმული იყო, კანონი სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად თვლის ჯანმრთელობის მხოლოდ ისეთ მოშლას, რაც დაკავშირებულია, შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან, სულ ცოტა ერთი მესამედით და ამის გარეშე, თუნდაც მყარი და მძიმე დაავადების მიჩნევა სხეულის მძიმე დაზიანების ნიშნად, კანონსაწინააღმდეგოდ უნდა ჩაითვალოს.

ყოველივე ამის გამო გადაჭრით უნდა ითქვას, რომ „წესები“ არაა შედგენილი მისი მე-4 პარაგრაფის 1-ლი ნაწილის სწორი მოთხოვნისამებრ იმის შესახებ, რომ „სხეულის დაზიანების ხარისხის განსაზღვრა წარმოებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში გათვალისწინებული სათანადო მუხლების შესაბამისად“.

პირიქით, როგორც ეს ჩვენ სხეულის მძიმე დაზიანების შემადგენლობის მაგალითზე დავინახეთ, „წესები“ არსებითად სცილდება სისხლის სამართლის კოდექსის 110 მუხლის 1-ლი ნაწილის კონსტრუქციას და მიიმართება ნებისმიერად შერჩეულ ნიშნების მიხედვით განსაზღვრის გზით.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ „წესების“ მე-6 პარაგრაფის იმ ნაწილში, სადაც ჩამოთვლილია სხეულის მძიმე დაზიანებად მიჩნეული სხვადასხვა სახის მოტეხილობანი, ჭრილობები და სისხლჩაქცევები, ადგილი აქვს ყოველად დაუშვებელ უსისტემობას იმ თვალსაზრისით, რომ ერთმანეთშია არეული სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე და ამ მნიშვნელობას მოკლებული ნიშნები.

თავისთავად ცხადია, რომ შეუსაბამობანი დიდ უარყოფით გავლენას ახდენენ როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების იურიდიული ბუნების სწორ გაგებაზე, ისე მასთან დაკავშირებულ სასამართლო-საგამომძიებლო პრაქტიკაზე.

ცალკეულ გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით, აუცილებლად მიგვაჩნია შევჩერდეთ ამ დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ პიროვნების ჯანმრთელობისათვის საზიანო შედეგებზე ცალ-ცალკე, სსკ 110 მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

ეს შედეგები, როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების მაჩვენებელი

აუცილებელი ნიშნები, მოხსენებული მუხლის მიხედვით წარმოდგენილი არიან. ორ ფორმად.

პირველ მათგანს ეკუთვნის სხეულის ისეთი დაზიანება, რომელიც სახიფათოა სიცოცხლისათვის მისი მიყენების მომენტში.

მეორეს კი შეადგენს სხეულის ისეთი დაზიანება, რომელსაც დამდგარი შედეგის სახით მოჰყვა: მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა; სულიერი ავადმყოფობა; ორსულობის შეწყვეტა; ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან დაკავშირებით, არა ნაკლებ ერთი მესამედით.

აქედან გამომდინარე ცხადია, რომ კანონში ზუსტადაა განსაზღვრული თუ სხეულის რა ხასიათის დაზიანებანი წარმოადგენენ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებას, სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობის მქონე ნიშნებთან დაკავშირებით და ამ მხრივ ის არავითარ დამატებას არ მოითხოვს.

საკითხის ნათელსაყოფად საჭიროა დასახელებით იყოს განსაზღვრული მხოლოდ ამ ნიშნების მატარებელი, ყველა სახის სხეულის ის დაზიანებანი. რომლებიც გარკვეულ ბიოლოგიურ თვისებათა გამო სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად არიან მიჩნეულნი.

ეს მოითხოვს მთელი რიგი კითხვების სამედიცინო თვალსაზრისით დაზუსტებას.

სამწუხაროდ, სულ სხვა კურსია აღებული „წესებში“. აქ სხეულის მძიმე დაზიანებები თავიდანვე წარმოდგენილნი არიან ზოგადი სახით და არა კანონით შერჩეულ და მისთვის სავალდებულოდ მიჩნეულ, ცალკეულ ნიშნების განსაზღვრის შედეგად.

ამით აიხსნება, რომ სსკ 110 მუხ. 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განმსაზღვრელი ჯანმრთელობისათვის მიყენებული საზიანო შედეგები, როგორც სიცოცხლისათვის საშიშროების, ისე კანონში აღნიშნულ დამდგარ შედეგების მიხედვით „წესებში“ მოხსენებულნი არიან გაკვირვებით, ცალკეული შენიშვნების სახით.

ამის გამო შექმნილია დიდი გაუგებრობა, რადგან „წესებში“ ამ შედეგებს დაკარგული აქვთ კანონით მათთვის მინიჭებული განსაკუთრებული მნიშვნელობა და სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განმსაზღვრელ საზიანო შედეგების თვალსაზრისით, ისინი ვაიგივებულნი არიან სხვა, მთელ რიგ, ჯანმრთელობისათვის საზიანო ისეთ შედეგებთან, რომლებიც კანონისათვის უცნობია.

გაუგებრობის თავიდან აცილება გადაჭრით მოითხოვს, რათა „წესებში“ დაზუსტდეს, კანონში გათვალისწინებული თანმიმდევრობით, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განმსაზღვრელი, მხოლოდ ის შედეგები, რომლებსაც მიცემული აქვთ საამისო სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ამ შედეგების ზოგიერთი დამახასიათებელი თვისებებანი.

სხეულის დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათოდ ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის მისთვის დამახასიათებელი თვისებების გამო შეიცავს დაზარალებულის სიკვდილის რეალურ მუქარას.

სხეულის დაზიანების ამ თვისების განსაზღვრისათვის კი არსებითი მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ რა საშუალებით და ხერხით ან სხეულის რა ადგილზე არის მიყენებული ეს დაზიანება, არამედ მის იმ ბიოლოგიურ ნიშან-

დობლიობას, რის გამოც ის სიცოცხლისათვის განსაკუთრებულად საშიში ხასიათისაა.

ამის მიხედვით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის სამინისტროს მოხსენებული „წესების“ მე-6 პარაგრაფის მე-7 შენიშვნაში, სავსებით საფუძვლიანადაა აღნუსხული სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანებათა ცალკეული სახეები.

აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ეს აღნუსხვა არამც თუ ამომწურავი არაა, ზედმეტადაც უნდა იქნეს მიჩნეული მას შემდეგ, რაც მას წინ უძღვის სხეულის მძიმე დაზიანებათა ამომწურავი ხასიათის ჩამოთვლა. და ეს იმ დროს, როდესაც საკითხის დაზუსტება მოითხოვდა სწორედ პირველ რიგში სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანების განსაზღვრას ისე, როგორც ამას ადგილი აქვს რსფსრ ჯანმრთელობის უაღვიანო სამინისტროს 1961 წლის 4 აპრილის „წესებში“.

ამასთან ხაზი უნდა გაეკვას იმ გარემოებას, რომ სხეულის დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათოდ უნდა იქნეს მიჩნეული მარტოდენ იმ ვითარებაში, უკეთუ დაზარალებულის რეალურ მუქარას ის შეიცავს მისი მიყენების მომენტში.

ამიტომ ამ თვისების მქონე სხეულის დაზიანება სიცოცხლისათვის სახიფათოდ უნდა ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას სინამდვილეში არ მოჰყოლია რაიმე ცუდი შედეგი, საბოლოო გამოსავლის მიხედვით, ამა თუ იმ მიზეზისა და კერძოდ, დაზარალებულისათვის აღმოჩენილი კარგი სამედიცინო დახმარების გამო.

მაგრამ, უკეთუ სხეულის დაზიანება მისი მიყენების მომენტში არ შეიცავდა სიკვდილის რეალურ მუქარას, ის არ შეიძლება მიჩნეული იქნეს სიცოცხლისათვის სახიფათო დაზიანებად, თუნდაც ის ასეთი თვისების მქონე შეიქმნა შემდეგში ამა თუ იმ მიზეზისა და კერძოდ, დაგვიანებით თუ ცუდად გაწეული სამედიცინო დახმარების გამო.

ამრიგად, სიცოცხლისათვის სახიფათო სხეულის დაზიანება, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს არა ფაქტიურად დამდგარი საბოლოო შედეგის სახით, არამედ სიკვდილის იმ რეალური მუქარის მიხედვით, რომელსაც ის შეიცავს მისი მიყენების მომენტში.

სხეულის სხვა ყველა დაზიანებანი კი, რომლებიც ზევით მოხსენებულ მეორე ფორმას ეკუთვნიან, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ, ფაქტიურად დამდგარი, კანონით ზუსტად გათვალისწინებული საბოლოო შედეგების სახით: მხედველობის ან სმენის დაკარგვა; რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა; სულიერი ავადმყოფობა, ორსულობის შეწყვეტა ან ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან დაკავშირებით, არანაკლებ ერთი მესამედით.

მათ შესახებ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ ითქვას შემდეგი:

ა) მხედველობის და სმენის დაკარგვა არა მარტო სრული და განუკურნებელი სიბრმავე და სიყრუე, არამედ ისეთი განუკურნებელი მდგომარეობაც, როდესაც დაზარალებული ვერ არჩევს ახლომდებარე საგნების მოყვანილობას და არ შეუძლია გაიგონოს ხმამაღალი ლაპარაკი ახლო მანძილიდან.

აქედან გამომდინარე, ყოვლად უსაფუძვლოა, რომ თავისთავად მხოლოდ

ცალი თვალთ მხედველობის სრული დაკარგვა ან ცალ მხარეზე სრული დაკარგვა, მიჩნეული იქნეს სხეულის მძიმე დაზიანების ნიშნად.

სულ სხვაა, უკეთუ მხედველობისა და სმენის ასეთი ნაწილობრივი დაზიანებით გამოწვეული იქნება, შრომის უნარის მყარი დაკარგვა, სულ ცოტა ერთი მესამედით.

ბ) რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა ნიშნავს, როგორც ცალკეული ორგანოს სხეულისაგან სრულ მოცილებას, ისევე ისეთ მდგომარეობასაც, როდესაც ორგანო ფიზიკურად შემონახულია, მაგრამ მას სამუდამოდ დაკარგული აქვს მისი კუთვნილი, სპეციფიკური ფუნქციის შესრულების უნარი. ორგანო სხეულის ის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც მთელი ორგანიზმისათვის, აუცილებელ საარსებო ფუნქციას ასრულებს.

ადამიანის სხეულს მრავალი ორგანო გააჩნია და ყოველი მათგანი ემსახურება ორგანიზმის არსებობას. არც ერთ მათგანს არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს მეორესთან შედარებით, მათი ფუნქციონალობის მიხედვით და ამიტომ, სხეულის მძიმე დაზიანების განსაზღვრის თვალსაზრისით, კანონში ნათქვამია არა შერჩეულ, არამედ ყველა ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვაზე.

ამის მიხედვით მხედველობისა და სმენის დაკარგვასთან ერთად სხეულის მძიმე დაზიანებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე:

1. მეტყველების უნარის დაკარგვა, რასაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სამუდამოდ დაკარგულია აზრის გამოთქმის უნარი, მსმენელთათვის გასაგები, ნათელი ბგერებით;

2. ხელის ან ფეხის დაკარგვა, მათი დამბლა ან სხვა ისეთი მდგომარეობა, რაც მათი ფუნქციონირების სრულ მოშლას წარმოადგენს;

3. მწარმოებლური უნარის დაკარგვა, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დაკარგულია მთლიანად, როგორც სქესობრივი აქტის წარმოების, ისევე განაყოფიერების, ჩასახვის და მშობიარობის უნარი; და

4. ფილტვის, ღვიძლის, თირკმელის, ელენთას და სხვა ორგანოების ან მათი ფუნქციის დაკარგვა, რომელთა ჩამოთვლა ამომწურავი სახით, ამ შემთხვევაში ზედმეტად მიგვაჩნია, რადგან მათი ან მათი ფუნქციის დაკარგვა, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების განმსაზღვრელი ნიშნის შემცველია თავისთავადაც, რადგან წარმოადგენს სიცოცხლისათვის სასიფათო სხეულის დაზიანებას.

გ) სულიერი ავადმყოფობა არის განუკურნებელი, ქრონიკული ხასიათის მქონე ისეთი ფსიქიკური დაავადება, როგორცაა: ტრავმული ეპილეფსია, ტრავმული ჰქუასუსტობა, რეაქტიული ფსიქოზი და სხვ. რეაქტიული მდგომარეობანი.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სულიერი ავადმყოფობა შეიძლება მიყენებული იქნეს არამარტო ფიზიკური ზემოქმედების შედეგად, არამედ ფსიქიკური ტრავმის მეშვეობითაც.

დ) ორსულობის შეწყვეტა ნიშნავს დაზიანების შედეგად გამოწვეულ ნაადრევ მშობიარობას ან აბორტს.

ეს გარემოება სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ნიშანს წარმოადგენს დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხანგრძლივობის ორსულობის შეწყვეტა მომხდარი, რაც გარკვევით ჩანს კანონის ტექსტიდან; სადაც ნათქვამია: „ორსულობის შესწყვეტაზე“ საერთოდ, ყოველგვარი ვადების აღნიშვნის გარეშე.

ამის გამო სავსებით დაუშვებლად მიგვაჩნია „წესებში“ განვითარებული



თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ სხეულის მიმე დაზიანების განმსაზღვრელი იყოს მხოლოდ ისეთი „ნაადრევი მშობიარობა ან აბორტი, რომელიც მომხდარია ორსულობის მეორე ნახევარში“.

ე) **ჯანმრთელობის სხვაგვარი მოშლა, შრომის უნარის მყარ დაკარგვასთან დაკავშირებით, არა ნაკლებ ერთი მესამედით, უბირველეს ყოვლისა ამბობს** იმის შესახებ, რომ შრომის უნარი სამუდამოდ უნდა იქნეს დაკარგული.

ამავე დროს კანონით განსაზღვრულ კრიტერიუმის მიხედვით დაკარგული უნარი უნდა იყოს არა ნაკლებ ერთი მესამედისა.

„წესებში“ კი, ჩვენთვის საინტერესო, ამ საკითხთან დაკავშირებით, ნებისმიერად, რასაკვირველია ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, ლაპარაკია არა „შრომის უნარის დაკარგვაზე“, არამედ „დაქვეითებაზე“ და ისიც „ერთ მესამედზე მეტით“, ნაცვლად კანონში აღნიშნულ „არა ნაკლები ერთი მესამედისა“.

რაც შეეხება იმას, თუ რა გზით უნდა იქნეს დადგენილი შრომის უნარის მყარი დაკარგვის ოდენობა „წესებში“ არავითარ პასუხს არ იძლევა რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „წესებისაგან“ განსხვავებით, სადაც საამისოდ მითითებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ინსტრუქცია 1960 წ. 18 მაისის რიცხვით: „დამზღვევა საექიმო შემოწმების წესის შესახებ“.

ამით ამოიწურება ჯანმრთელობისათვის საზიანო, კანონით გათვალისწინებული ყველა ის შედეგები, რომლებიც კანონითვე შერჩეულ სხვა ცალკეულ ელემენტებთან ერთად წარმოადგენენ სხეულის განზრახ მიმე დაზიანების, როგორც კონკრეტული სახის დანაშაულის შემადგენლობას.

საკანონმდებლო გზით განსაზღვრული სხეულის განზრახ მიმე დაზიანება ისე როგორც სხვა კონკრეტულ დანაშაულობათა ყველა სახეები, გარკვეული სოციალური მოვლენის გამომხატველი სისხლის სამართლებრივი ცნებაა ჯა მხოლოდ იურიდიული ბუნების მქონეა.

მართალია, ის კონსტრუირებულია ბიოლოგიური ხასიათის მქონე ნიშნების გამოყენებითაც, მაგრამ ამ ცნების განსაზღვრა, არც ერთ შემთხვევაში, არ შეიძლება მიჩნეული იქნეს ბიოლოგიურ თუ სამედიცინო მეცნიერების საგნად.

რაც შეეხება სხეულის მიმე დაზიანების განსაზღვრას, ამაზე უნდა ითქვას, რომ ის სავსებით ზედმეტია სისხლის სამართლის თვალსაზრისით, რადგან კანონში ლაპარაკია არა სხეულის მიმე დაზიანებაზე, არამედ სხეულის ისეთ დაზიანებაზე, რომელიც დაკავშირებულია ჯანმრთელობის საზიანო, საკანონმდებლო გზით შერჩეულ შედეგებთან.

ამის მიხედვით გაუმართლებელია „წესებში“ მოცემული სხეულის მიმე დაზიანებათა განსაზღვრა საერთო სახით. რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „წესებში“ დაზუსტებულია მხოლოდ სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე, ჯანმრთელობის საზიანო შედეგები, კანონში გათვალისწინებული მათი თანმიმდევრობით.

სხეულის მიმე დაზიანების ასეთი საერთო სახით განსაზღვრა ამავე დროს ქმნის კანონის სტაბილურობისათვის შეუფერებელ ვითარებას. სხეულის მიმე დაზიანება გაიგივებულია სხეულის განზრახ მიმე დაზიანებასთან და მით ამ უკანასკნელის შემადგენლობა გაზრდილია, კანონისათვის უცხო ელემენტებით.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ კანონს შემთხვევით არა აქვს ავლილი გვერდი

სხეულის მძიმე დაზიანებისათვის საერთოდ და ამიტომ სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობის ელემენტად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ სხეულის დაზიანების ის შედეგი, რომელსაც მის მიერ მინიჭებული აქვს საამისო სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა.

ამის მაგალითს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორსულობის შეწყვეტა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ნიშნად, პირველად შემოდებული იქნა მხოლოდ 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსით.

სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების ცალკეული ყველა ელემენტის ანუ მისი შემადგენლობის ზუსტი ცოდნა, პირველი და აუცილებელი პირობაა ამ მძიმე დანაშაულის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის.

სწორედ კანონით განსაზღვრულ დანაშაულის ამ შემადგენლობასთან სრული შესატყვისობით უნდა იქნეს კვალიფიცირებული ჩადენილი სოციალურად საშიში ქმედობა ე. ი. გაიზრკვეს საკითხი იმის შესახებ თუ რამდენად ეფარდება ის თავისი ნიშნებით. სისხლისსამართლებრივი ნორმით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს.

ამის გარეშე შეუძლებელია ნაყოფიერი ბრძოლა დანაშაულებრივ ქმედობათა წინააღმდეგ და ამიტომ მათი სწორი კვალიფიკაცია, სასამართლო-საპროკურორო ორგანოების კომპენტენციაში შემავალი, არსებითი ხასიათის მქონე საკითხია. მაგრამ, მისი სწორად გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს ყველა იმ მონაცემების დადგენას, რომლებიც ახასიათებენ ჩადენილ სოციალურად საშიშ ქმედობის ნიშნებს.

ერთი სიტყვით, სისხლის სამართლის ნორმით განსაზღვრულ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებთან შესადარებლად საჭიროა ჩადენილი ქმედობის შემადგენლობის ფაქტიური ნიშნების დადგენა.

ამასთან დაკავშირებით ჩვენს წინაშე ისმება მთელი რიგი პროცესუალური სამართლის სფეროს კუთვნილი საკითხი, კერძოდ, საკითხი მტკიცებულობის წყაროების შესახებ, მაგრამ ეს ამჟამად ჩვენი მსჯელობის საგანს არ შეადგენს.

დასასრულ, ჩვენი მიზანია ხაზი გავუსვათ მხოლოდ ერთ გარემოებას, რომელიც ეხება იმის დადგენას, რომ ჩადენილი ქმედობით პიროვნების ჯანმრთელობას ნამდვილად აქვს მიყენებული ისეთი საზიანო შედეგი, რაც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობის ნიშანს წარმოადგენს.

ცხადია, ეს საკითხი სპეციალურ ცოდნას მოითხოვს და ამიტომ სასამართლო-საპროკურორო ორგანოების მიერ მის გადასაწყვეტად გამოყენებული უნდა იქნეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. კიდევ მეტი, საქართველოს სსრ სსს კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნით, სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის დასადგენად, ასეთი ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ამის მიხედვით, უადრესად მნიშვნელოვანი მტკიცების წყაროა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ისეთი ვითარების გამართლება, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში გადაჭრილია ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის კვალიფიკაცია.

ესოდენ მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხის, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, წინასწარი განსაზღვრა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტს ანიჭებს მისთვის შეუფერებელ ფუნქციას, რაც საბჭოთა მართლმსაჯულების თვალსაზრისით შეუწყნარებელია.

სამწუხაროდ, ამის შესაძლებლობა დაშვებულია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ზევით მოხსენებული „წესებით“ რომლის მე-3 მუხლის „დ“ პუნქტის თანახმად „სხეულის დაზიანების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოებისას, ექსპერტიზის აქტის დასკვნაში, როგორც წესი, აუცილებლად უნდა განისაზღვროს: დაზიანების სიმძიმის ხარისხი“.

რა საფუძველი არსებობს ასეთი დასკვნის გამოტანისათვის?

როგორც ეს ჩვენს მიერ უკვე აღნიშნული იყო, პიროვნების ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ სხვა დანაშაულთა მსგავსად, სხეულის განზრახ მძიმე დაზიანების შემადგენლობის ობიექტური მხარის განსაზღვრისას არაფერია ნათქვამი სხეულის დაზიანების ხარისხზე საერთოდ. ამ თვალსაზრისით კანონში ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ ზუსტად შერჩეულ, ჯანმრთელობისათვის საზიანო შედეგებზე.

ამის გამო საკანონმდებლო ფუნქციაში შეჭრის თავიდან აცილების მიზნით ჩვენ დაუშვებლად მივიჩნით „წესებში“ სხეულის მძიმე დაზიანებათა საერთო სახით განსაზღვრა, ნაცვლად კანონში განსაზღვრულ საზიანო შედეგების დაზუსტებისა.

ასეთივე მოსაზრებით, მაგრამ ახლა უკვე სასამართლო-საპროკურორო ორგანოების ფუნქციაში შეჭრის თავიდან აცილების მიზნით, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში იმის განსაზღვრა, რომ ჩადენილი ქმედობით პიროვნების ჯანმრთელობას მიყენებული აქვს სხეულის მძიმე დაზიანება.

ჩადენილი ქმედობის ასეთი ზოგადი სახით განსაზღვრა, როგორც სხეულის მძიმე დაზიანებისა, ამავე დროს არსებითად ნიშნავს მის მიჩნევას სხეულის განზრახ მძიმე დაზიანებად, რადგანაც სხეულის მძიმე დაზიანების შესახებ, კანონში მხოლოდ ამ იურიდიული ცნების განსაზღვრაზეა ლაპარაკი.

ეს კი წარმოადგენს ჩადენილ ქმედობისათვის სისხლისსამართლებრივ კვალიფიკაციის მიცემას სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ.

ამ მდგომარეობას ვერ ასწორებს „წესების“ მე-4 მუხლის 2 ნაწილში მოცემული დეკლარაციული განცხადება იმის შესახებ, რომ: „სასამართლო სამედიცინო ექსპერტს არა აქვს უფლება ექსპერტიზის აქტის დასკვნაში უჩვენოს სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლი, რომელშიაც გათვალისწინებულია შესაბამისი სიმძიმის დაზიანება“. და ეს იმიტომ, რომ რაღა მნიშვნელობა აქვს კოდექსის მუხლის მიუთითებლობას, უკეთუ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობა, ექსპერტიზის დასკვნით, იმთავითვე ჩადენილად იქნება ჩათვლილი.

სულ სხვაა, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა განსაზღვრავს მხოლოდ და მხოლოდ პიროვნებისათვის, ჯანმრთელობის მხრივ მიყენებულ იმ საზიანო შედეგს, რაზედაც კანონში ზუსტადაა მითითებული.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტმა უნდა დაასკვნას სხეულის დაზიანების ხასიათის შესახებ და სთქვას არის თუ არა ის სიცოცხლისათვის სახიფათო, ან ხომ არ მოჰყოლია მას მხედველობის, სმენის ან რომელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა, ან კანონით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ჯანმრთელობისათვის საზიანო შედეგი.

მაგრამ, განსაზღვრა იმისა, თუ პიროვნების ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული რა დანაშაულია ჩადენილი, მხოლოდ სასამართლო-საპროკურორო:



ორგანოების ფუნქციას შეადგენს და ქმედობის კვალიფიკაციას წარმოადგენს.

ამ გზით სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა ჩაყენებული აღმოჩნდება საპროცესო კანონით მისთვის განკუთვნილ ფარგლებში, მსგავსად სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზისა, რომლის დასკვნაშიაც ლაპარაკია მატერიალურ ღირებულებათა დანაკლისის ხასიათსა და ოდენობაზე და არა მათ გატაცება-მითვისებაზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას ისიც, რომ პროცესუალურად სავსებით კანონშესაბამისი მდგომარეობაა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის მიხედვითაც, როდესაც მისი დასკვნით დადგენილი უნდა იქნეს სიკვდილის მიზეზი და არა მკვლელობის განსაზღვრა. ამის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს 1959 წ. 16 აპრილის პლენუმის დადგენილებაში, რომელთა მიხედვითაც გარკვეულია, რომ სასამართლო-სამედიცინო დასკვნა უნდა შეიცავდეს მხოლოდ სიკვდილის მიზეზისა და მიყენებულ ძალადობის ხასიათის განსაზღვრას. რაც შეეხება საკითხს, აქვს თუ არა ადგილი მკვლელობას, ის გადაჭრილი უნდა იქნეს მხოლოდ სასამართლო და საგამომძიებლო ორგანოების მიერ, როგორც მათ ფუნქციაში შეშავალი სისხლის სამართლებრივი პრობლემა¹.

სხეულის დაზიანების სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის წარმოებისას კი დაშვებულია ფუნქციათა აღრევა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის სასამართლო-საპროკურორო ორგანოების კომპეტენციაში შეჭრით.

ვფიქრობ ჩვენს წერილში წამოყენებული საკითხები ყურადღებას იმსახურებენ და გამომხატურების გარეშე არ ღარჩება.

¹ იხ. Бюллетень Верховного Суда СССР, 1961 г. № 2.

**ქართველთა
ახალ კანონმდებლობაზე**

**შეგებებული სარჩელი საქართველოს სსრ ახალი
სამოქალაქო სამართლის საკოდექსო კოდექსის
მიხედვით**

ნ. ლორთქიფანიძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სსრ ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი¹ სარჩელიდან დაცვის პრობლემის ამომწურავ, ზუსტ რეგლამენტაციას იძლევა. სარჩელიდან მოპასუხის დაცვის სწორი ორგანიზაცია მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებს ემსახურება. სწორედ ამაშია აღნიშნული საკითხის ჭეშმარიტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

სამოქალაქო საპროცესო მეცნიერება და კანონმდებლობა სარჩელიდან მოპასუხის დაცვის ორ ეფექტურ საშუალებას იცნობს: შესაგებელსა და შეგებულ სარჩელს. სხვადასხვა დაცვის ამ ორი საშუალების დაშვების პირობები და პროცესუალური მიზანი, რაც მათ შორის გამიჯვნის პრაქტიკულ მოთხოვნილებას აყენებს².

შეგებულ სარჩელსა და შესაგებელს შორის განსხვავებას ძირითადად აპირობებს მოპასუხის საპროცესო მიზანი. თუ მოპასუხე სარჩელიდან დაცვისას მოითხოვს სარჩელზე უარს, პირვანდელი სარჩელის წინააღმდეგ არ აყენებს მოთხოვნას კუთვნილი უფლების დაკმაყოფილებისა ან ცნობის შესახებ, მისი დაცვის საშუალება შესაგებელი შეიძლება იყოს, ხოლო თუ მოპასუხის მიზანია ნიღაწიოს არა მარტო უარს სარჩელზე, არამედ თავისი დამოუკიდებელი უფლების ცნობას, მოსარჩელის მხრივ რაიმე მოქმედების შესრულებას, მისი მოთხოვნა, როგორც წესი, შეგებებულ სარჩელის ფორმით უნდა გამოვლინდეს. ამდენად სასამართლოს არა აქვს უფლება კონკრეტულ საქმეზე მიაკუთვნოს მოპასუხეს რაიმე. თუ არ არსებობს მისი მოთხოვნა შეგებებულ სარჩელის ფორმით გამოხატული. მაგალითად, თუ მოპასუხე თავისი შესაგებელით უარს აცხადებს საცხოვრებელ ფართზე უფლების ცნობის შესახებ სარჩელზე, ხოლო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან ერთად ასახლებს კიდევ მოსარჩელეს ბინიდან, ასეთი გადაწყვეტილება არ იქნება სწორი, რამდენადაც საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ მოასწავებდა მართლმსაჯულების განხორციელებაზე არაკანონიერ უარს. ამიტომ, უკეთეს სასამართლო საქმის განხილვისას მივა იმ დასკვნამდე, რომ მოპასუხეს აქვს თავისი დამოუკიდებელი, პირვანდელ სარჩელთან დაკავშირებული მოთხოვნა, მან უნდა განუმარტოს მოპასუხეს წარადგინოს ამ მოთხოვნის თაობაზე შეგებებული სარჩელი, ან აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი საერთო წესის მიხედვით.

შესაგებლიდან შეგებებული სარჩელი თავისი დამოუკიდებელი ხასიათითაც განსხვავდება. პროცესუალისტების უმრავლესობა შეგებებული სარჩელის და-

¹ შემდგომში შემოკლებით — საპროცესო კოდექსი.

² ასეთი გამიჯვნისას მხედველობაში გვაქვს მატერიალურ-სამართლებრივი და არა პროცესუალური შესაგებელი.

ხასიათებისას სამართლიანად გამოყოფენ მის დამოუკიდებელ ხასიათს¹. ზოგიერთი მას შეგებებული სარჩელის ყველაზე არსებით ნიშნად მიიჩნევს². ვერ დავეთანხმებით ლ. ი. ანისიმოვას საპირისპირო მტკიცებას იმის შესახებ, რომ მოთხოვნის „დამოუკიდებლობა“, რამდენადაც არ არის გახსნილი ამ ცნების შინაარსი, არ წარმოადგენს მხოლოდ შეგებებული სარჩელისათვის დამახასიათებელ ნიშანს და სარჩელიდან მოპასუხის დაცვის საშუალების განმსაზღვრელს³. შეგებებული სარჩელის დამოუკიდებელ ბუნებას მისი სტრუქტურული თავისებურება განაპირობებს. შესაგებლის ბედი მთლიანად არის დაკავშირებული პირვანდელი სარჩელის განხილვის საპროცესო შედეგებზე. სარჩელის განუხილველად დატოვებისას, საქმის წარმოებით შეჩერებისა თუ შეწყვეტისას შესაგებლის ფორმით გამოხატული მოპასუხის თხოვნა არ განიხილება სასამართლოს მიერ. სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმისათვის შესაძლებელია საკმარისი იყოს შესაგებლის მოთხოვნათა მხოლოდ ნაწილი. განუხილველად დატოვებული მოთხოვნა ცალკე სარჩელის სახით შეიძლება წარდგენილი იქნას საერთო წესით. შეგებებული სასარჩელო მოთხოვნისათვის კი დამახასიათებელია ერთგვარი ავტონომია, პირვანდელი სარჩელიდან დამოუკიდებელი ხასიათი. პირვანდელი სარჩელის საპროცესო შედეგები, მაგალითად, მოსარჩელის უარი სარჩელზე, საქმის წარმოებით შეწყვეტა და შეჩერება, არ გამოიწვევს ასეთივე შედეგებს შეგებებული სარჩელის მიმართ. პირვანდელ სარჩელზე სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისას გადაწყვეტილება შეგებებულ სარჩელზე შეიძლება ძალაში დარჩეს და იძულებით იქნას აღსრულებული.

შეგებებული სარჩელისა და შესაგებლის სხვა განმასხვავებელ ნიშანთა შორის უნდა დავასახელოთ ისიც, რომ შესაგებელი შეიძლება განცხადებული იყოს როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით, სახელმწიფო ბაჟის გარეშე, სასამართლოში მისი წარდგენის დროის შეუზღუდავად, შეგებებული სარჩელის წარდგენა კი ექვემდებარება სარჩელის მიღების საერთო წესებს და დროით არის დაპირობებული, იგი შეიძლება წარდგენილი იქნეს სათათბირო ოთახში სასამართლოს გასვლამდე.

შეგებებული სარჩელი — სარჩელის ნაირსახეობაა. ამდენად, შეგებებული სარჩელი, მსგავსად ყოველი სარჩელისა, წარმოადგენს სასამართლოსადმი⁴ მიმართულ თხოვნას, რათა დაცულ იქნას პირის სუბიექტური უფლება ან კანონიერი ინტერესი, რომელსაც იგი დარღვეულად ან შედავებულად თვლის. შეგებებული სარჩელი — ესაა მოპასუხის მიერ პირვანდელი სარჩელის გამო უკვე დაწყებულ პროცესში და მასთან ერთად განსახილველად აღძრული სარჩელი, რომლითაც მოპასუხე მოსარჩელეს მიმართავს მოთხოვნით, რაც წარმოადგენს

¹ იხ. А. Ф. Клейнман. Советский гражданский процесс. Изд. МГУ, 1954, гл. 161. «Советское гражданское процессуальное право». Изд. высшая школа, 1964, гл. 182—183. «Советский гражданский процесс». Изд. МГУ, 1964, гл. 127. Б. С. Антимонов, С. А. Герзон, Адвокат в советском гражданском процессе, М., 1954 г. гл. 75—77. М. П. Ринг, Вопросы гражданского процесса в практике Верховного Суда СССР, Госюриздат, 1957, гл. 206.

² Д. Швейцер, Встречный иск. «Социалистическая законность», 1957, № 1, гл. 44.

³ Л. И. Анисимова. Встречный иск и возражение против иска, «Правоведение», 1961, № 1, гл. 144.

⁴ შეგებებული სარჩელი როგორც სამოქალაქო უფლების დაცვის სუბიექტური ფორმა ასევე ფართოდ გამოიყენება საარბიტრაჟო პროცესშიც. ამ სტატიაში განხილულია შეგებებული სარჩელის ინსტიტუტი მხოლოდ სასამართლო პროცესში.

პირვანდელი მოთხოვნიდან დაცვის საშუალებას ან დაკავშირებულია მასთან საფუძველთა სიახლოვით¹.

შეგებებული სარჩელის ცნების ეს განსაზღვრება გამომდინარეობს სარჩელის ზოგადი ცნებიდან და ემყარება შეგებებული სარჩელის სპეციფიურ ნიშნებს, რომლებიც თავის მხრივ დაკავშირებულია პირებთან, რომლებიც წარადგენენ შეგებებულ სარჩელს ასეთი სარჩელის წარდგენის მომენტთან და მის მიზანთან.

შეგებებული სარჩელი წარედგინება, როგორც წესი, პირვანდელი სარჩელის საპირისპიროდ. იგი განცხადებული უნდა იქნას პირვანდელი საპროცესო ურთიერთობათა სუბიექტის — მოპასუხის მიერ თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ შეგებებული სარჩელის მიღების შემთხვევაში საპროცესო ურთიერთობათა ორივე მხარე ერთდროულად მოსარჩელეცაა და მოპასუხეც. მოსარჩელეა თავისი მოთხოვნის მიმართ, ხოლო მეორე მხარის მოთხოვნის მიმართ იგი მოპასუხის როლში გამოდის. არ შეიძლება მოთხოვნა შეგებებულად ჩაითვალოს, თუ იგი განცხადებულია მოპასუხის მიერ თუმცა იმავე პროცესში, მაგრამ, როგორც წესი, არა თავდაპირველი მოსარჩელის წინააღმდეგ. სასამართლო პრაქტიკის ეს პოზიცია² სწორია; იგი ერთ მთლიანობაში ითვალისწინებს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობათა სუბიექტურ შემადგენლობას და შეგებებული სარჩელის პროცესუალურ ბუნებას.

საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლი ითვალისწინებს საქმეში რამდენიმე მოსარჩელისა და მოპასუხის მონაწილეობას, მაგრამ არ განსაზღვრავს პროცესუალური თანამონაწილეობისას შეგებებული სარჩელის დაშვების საკითხს, კერძოდ შეუძლია თუ არა მოპასუხეს აქტიური თანამონაწილეობისას წარადგინოს შეგებებული სარჩელი ერთ-ერთი თანამოსარჩელის წინააღმდეგ, თუ მან ასეთი სარჩელით უნდა მიმართოს ერთად ყველა თანამოსარჩელეს, ხოლო პასიური თანამონაწილეობისას³ შეუძლია თუ არა თითოეულ თანამოპასუხეს სხვებისაგან დამოუკიდებლად წარადგინოს შეგებებული სარჩელი, თუ ასეთი სარჩელით თანამოპასუხეებმა ერთად უნდა მიმართონ.

თანამონაწილეობისას შეგებებული სარჩელის უფლებების სუბიექტის საკითხი, ვფიქრობთ, უნდა გადაწყდეს თანამონაწილეთა პროცესუალური მდგომარეობის საფუძველზე, რომელსაც ადგენს საპროცესო კოდექსის 35-ე მუხლის ის ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ ყოველი მოსარჩელე ან მოპასუხე მეორე მხარის მიმართ პროცესში გამოდის დამოუკიდებლად. აღნიშნული მუხლი არ უშვებს გამონაკლისს, მსგავსად ადრე მოქმედი კანონმდებლობისა, თანამონაწილეთათვის სოლიდარული ვალდებულებებიდან გამომდინარე სარჩელებზე. თანამონაწილეთა დამოუკიდებელი მდგომარეობა ნიშნავს მათს თანასწორუფლებიან-

¹ იხ. Н. И. Клейн, Встречный иск в суде и арбитраже, М., 1964 г. გვ. 12.

² Сборник постановлений Пленума и определений Коллегии Верховного Суда СССР по гражданским делам 1964 г. Юриздат, 1948, стр. 273—274. «Бюллетень Верховного Суда СССР», 1962 г., № 2, стр. 8.

³ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1938 წელს შემოღებულმა სამოქალაქო სასამართლო წარმოების ფედერალურმა წესებმა, რომლებმაც შეგებებული სარჩელის საკითხშიც განიცადეს უმნიშვნელო ცვლილებები 1946 წელს, დაუშვეს ე. წ. ჯვარედინი სარჩელი, ე. ი. სარჩელი, რომელსაც წარადგენს ერთი მოპასუხე პირვანდელი ან შეგებებული სარჩელების მიმართ მეორე მოპასუხისადმი იმავე სარჩელის გამო. იხ. Millar, Civil Procedure of the tria Court in Historical Perspective.

ნობას პროცესში, კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის პროცესულურ საშუალებათა არჩევის თავისუფლებას, რაც პრაქტიკულად იმაში გამოიხატება, რომ პროცესულურ თანამონაწილეს შეუძლია წარადგინოს შეგებებული სარჩელი სხვებისაგან დამოუკიდებლად.

ზოგადი წესისაგან გამონაკლისის სახით შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნას დავის საგანზე დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის განმცხადებელი მესამე პირის წინააღმდეგ. ასეთი მესამე პირი პროცესში იკავებს მოსარჩელის ადგილს, ხოლო მისი მოთხოვნის მიმართ თავდაპირველი მხარეები გამოდიან მოპასუხის როლში, რის გამო სარგებლობენ მოპასუხის ყველა უფლებით და დაცვის პროცესულური საშუალებით — შეგებებული სარჩელით. აქედან გამომდინარე, პროცესში მესამე პირის, რომელიც დავის საგანზე აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას, მონაწილეობისას შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილი იქნას მის მიმართ როგორც თავდაპირველი მხარეების მიერ. ასევე მოპასუხის მიერ თავდაპირველი მოსარჩელისა და მესამე პირის წინააღმდეგ.

მესამე პირები, რომლებიც არ განაცხადებენ დამოუკიდებელ მოთხოვნებს დავის საგანზე, სარგებლობენ დაცვის თითქმის ყველა პროცესულური საშუალებით. მაგრამ, რამდენადაც პირვანდელი მოთხოვნა განცხადებულია არა მესამე პირის, არამედ მოპასუხის წინააღმდეგ, ამდენად მესამე პირს თავისი მოთხოვნა მოსარჩელის მიმართ შეუძლია განაცხადოს არა შეგებებული სარჩელის, არამედ მხოლოდ შესაგებელის ფორმით.

შეგებებული სარჩელი არ შეიძლება წარდგენილ იქნას პროკურორის წინააღმდეგ, რომელმაც აღძრა სამოქალაქო საქმე, ვინაიდან იგი არ არის სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე და ყველა შემთხვევაში გვევლინება სახელმწიფოს წარმომადგენლად. სარჩელი მიმართული უნდა იყოს არა პროკურორის, არამედ იმ მოსარჩელის წინააღმდეგ, ვის ინტერესებშიც აღძრა საქმე. პირიქით, მოპასუხის ინტერესების დაცვის მიზნით პროცესში მონაწილე პროკურორის მოთხოვნა შეიძლება გამოიხატოს შეგებებული სარჩელის ფორმით, რამდენადაც წარმოადგენს პირვანდელი სარჩელიდან მოპასუხის დაცვის საშუალებას.


შეგებებული სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვის დროს აუცილებელია ზუსტად იქნას დაცული სარჩელის წარდგენისათვის კანონით დადგენილი საერთო პირობები. კერძოდ: სარჩელის წარდგენის უფლების წინამძღვრები (მაგალითად, საპროცესო უფლებაუნარიანობა, საქმის სასამართლოსადმი საუწყებო ქვემდებარეობა, იმავე საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების არარსებობა, მხარეთა შორის დავის სამედიატორო სასამართლოზე გადაცემის შესახებ შეთანხმების არარსებობა) და ასევე სარჩელის წარდგენის სათანადო პირობები, რომლებიც ერთობლივ ქმნიან სარჩელის წარდგენის წესს (მაგალითად, მხარის ქმედუნარიანობა, სასარჩელო განცხადების ფორმისა და შინაარსის დაცვა, სახელმწიფო ბაჟის გადახდა).

შეგებებული სარჩელის წარდგენისათვის კანონი დამატებით მოითხოვს სპეციალური წესების დაცვას. თავდაპირველ სარჩელსა და შეგებებულ სარჩელს შორის უნდა არსებობდეს კავშირი, რაც განპირობებს ამ სასარჩელო მოთხოვნათა ურთიერთდაპირისპირებას. ამ სპეციალური წინამძღვრის („კავშირის“) არარსებობა შეგებებული სარჩელის მიუღებლობის საფუძველია, რაც

არ უკარგავს მას თავდაპირველი სარჩელის თვისებას და იგი შეიძლება აღიქმას სასამართლოში საერთო წესით.

საპროცესო კოდექსის 127-ე მუხლი ავრთვევ აყალიბებს სარჩელის წარდგენის სრულიად ახალ სპეციალურ წესს, რომლის თანახმად შეგებებული სარჩელი, მიუხედავად მისი განსჯადობისა, წარედგინება იმ სასამართლოს, რომელიც იხილავს თავდაპირველ სარჩელს. შეგებებული სარჩელის განსჯადობა შეიძლება არ ემთხვეოდეს პირვანდელი სარჩელის განსჯადობას, მისი ტერიტორიული და გვარობითი განსჯადობა სრულიად სხვა იყოს, ვიდრე პირვანდელი სარჩელისა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სათანადო პირობების არსებობისას იგი უნდა წარედგინოს თავდაპირველი სარჩელის განმხილველ სასამართლოს. მოკავშირე რესპუბლიკების ახალი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები შეგებებული სარჩელის განსჯადობის საკითხს ერთგვაროვნად წყვეტენ. მოკავშირე რესპუბლიკების ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა ამ საკითხში არ იყო თანმიმდევრული. ასე, მაგალითად, გვარობითი განსჯადობის საერთო წესების ზუსტად დაცვას შეგებებული სარჩელის მიმართ მოითხოვდა თურქმენეთის სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხ. 98) და აზერბაიჯანის სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი (მუხ. 81 ა). ამ მუხლების ძალით შეგებებული სარჩელის არაგანსჯადობისას იმ სასამართლოსადმი, რომელიც პირვანდელ სარჩელს იხილავდა, მხარეს ერთმეორა შეგებებული სარჩელის წარდგენის უფლება. სასამართლოს უარი ასეთი სარჩელის მიღებაზე რა თქმა უნდა, მოასწავებდა კონკრეტულ სამოქალაქო საქმეზე მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარისთქმას. ტაჯიკეთის სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი შეგებებულ სარჩელს უქვემდებარებდა განსჯადობის ზოგად წესებს, მაგრამ უშვებდა ორ გამონაკლისს: თუ შეგებებული სარჩელი თავისი გვარითა ან თანხით აღემატებოდა თავდაპირველი სარჩელის განმხილველ სასამართლოს განსჯადობას, ორივე სარჩელი უნდა განეხილა სასამართლოს, რომლის განსჯადიც შეგებებული სარჩელი იყო. რსფსრ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 33-ა მუხლის ძალით კი შეგებებული სარჩელის აღძვრისას, რომლის განხილვაც ფასის მიხედვით აღემატებოდა იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომელსაც ეს სარჩელი წარედგინა, საქმე არსებითად უნდა გადაეწყვიტა ამავე სასამართლოს, უკეთუ პირვანდელი სარჩელი განსჯადობის წესის დაცვით იქნებოდა აღძრული. როგორც ვხედავთ, რსფსრ-ს საპროცესო კოდექსი იძლეოდა საკითხის უფრო სწორ გადაწყვეტას.

შეგებებული სარჩელით სასამართლოსადმი მიმართვისას, როგორც აღნიშნეთ, დაცულ უნდა იქნას საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის წარდგენის ზოგადი წესები. აღნიშნული მუხლის შესაბამისად სასარჩელო განცხადება სასამართლოში შეიტანება წერილობით; მას ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი, რომელმაც განცხადებას უნდა დაურთოს რწმუნებულება ან მისი უფლებამოსილების დამადასტურებელი სხვა საბუთი. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს: სასამართლოს და მხარეების დასახელება, საცხოვრებელი ადგილი, ან თუ მხარე იურიდიული პირია — მისი სამყოფელი ადგილი; სარჩელის საფუძველი (გარემოებანი, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას), და მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ სარჩელის მიერ აღნიშნულ გარემოებებს; მოსარჩელის მოთხოვნა; სარჩელის ფასი. თუ სარჩელის შეფასება შეიძლება; სასარჩელო განცხადებისათვის დართული საბუთების ნუსხა. შეგებებულ სარჩელში უნდა აღინიშნოს ის



გარემოებებიც, რომლებზეც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას შეგვებულ-ლი სარჩელის მიღების შესახებ პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვისათვის.

შეგვებულ სასარჩელო განცხადება თანახმად საპროცესო კოდექსის 135-ე მუხლისა წარედგინება სასამართლოს იმდენი პირის დართვით, რამდენიც მოპასუხება.

შეგვებულ სარჩელის ხარვეზის შევსების საკითხი წყდება საპროცესო კოდექსის 137-ე მუხლის საფუძველზე, რომლის ძალით თუ სასამართლოში განცხადება შეტანილია იმ პირობების დაუცველად, რომლებიც გათვალისწინებულია კოდექსის 134-ე და 135-ე მუხლებით, ან სახელმწიფო ბაჟი გადახდილი არ არის, მოსამართლე არ მისცემს მსვლელობას შეგვებულ სასარჩელო განცხადებას. ამასთანავე სასამართლო გადადებს პირვანდელი სარჩელით აღძრული საქმის არსებითად განხილვას და მისცემს მოპასუხეს ვადას ნაკლის გამოსწორებისათვის და სახელმწიფო ბაჟის გადახდისათვის. ეს წესი იცავს არა მარტო შეგვებულ სარჩელის წარმდგენი მხარის ინტერესებს, არამედ ასევე უქმნის რეალურ შესაძლებლობას მოპასუხის როლში გამოსულ პირვანდელ მოსარჩელეს მოემზადოს საქმისათვის, შეაგროვოს მტკიცებულებები შეგვებულ სარჩელის მოსაზრებათა უარსაყოფად, ე. ი. განიმტკიცოს თავისი საპროცესო პოზიცია. საქმის არსებითად განხილვის გადადება არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ საქმეში არსებული მტკიცებულებები საკმარისია შესაგებლის საფუძვლის ფაქტების დამტკიცებისათვის, ხოლო შეგვებულ სარჩელის ნაკლის გამოსწორება იმავე პროცესში არ წარმოადგენს სიძნელეს. ამის თაობაზე არის სსრ კავშირისა და რსფსრ უმაღლესი სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიების არაერთი მითითება. საპროცესო კოდექსის 138 მუხლით გათვალისწინებულია ახალი წესი, რომლის ძალით შეგვებულ სარჩელის პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად წარდგენა დაიშვება გადაწყვეტილების გამოსატანად სათათბიროთაში სასამართლოს გასვლამდე, რაც მხარეს აძლევს სასარჩელო განცხადების ხარვეზის გამოსწორების საშუალებას იმავე პროცესში.

საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლი მრავალმხრივ არის მნიშვნელოვანი. იგი ზუსტად განსაზღვრავს შეგვებულ სარჩელის წარდგენის მომენტს. პრაქტიკულად ასეთი წარდგენა დაიშვება სასამართლოს გადაწყვეტილების გამოსატანამდე. მოკავშირე რესპუბლიკების ახალი საპროცესო კოდექსები, ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობიდან განსხვავებით, ერთგვაროვნად, გარდა უმნიშვნელო გადახვევებისა, წყვეტენ შეგვებულ სარჩელის წარდგენის მომენტის საკითხს. უკრაინის სსრ საპროცესო კოდექსისა (მუხ. 96) და საქართველოს სსრ საპროცესო კოდექსის (მუხ. 83) მიხედვით მოპასუხეს შეეძლო არა უგვიანეს პირველი სამსჯავრო სხდომისა, რომელზეც საქმე არსებითად განიხილებოდა, წარედგინა შეგვებულ სარჩელი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსების უმრავლესობა არ განსაზღვრავდა შეგვებულ სარჩელის წარდგენის მომენტს, რაც საპროცესო კანონმდებლობის მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენდა, რადგან შეგვებულ სარჩელის წარდგენის მომენტის განსაზღვრის აუცილებლობა ნაკარნახევია სამოქალაქო დავის სწორი და სწრაფი განხილვა-გადაწყვეტის ინტერესებით.

საპროცესო კოდექსის 138-ე მუხლის მითითება — მოპასუხეს უფლება აქვს მოსარჩელის მიმართ წარადგინოს შეგვებულ სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად, — ნიშნავს, რომ შეგვებულ სარჩელი განი-

ხილება პირვანდელ სარჩელთან ერთად ერთ პროცესში; სარჩელი წარდგენილი სხვა სასამართლოში, თუნდაც რომ იგი კავშირში იყოს პირვანდელ სარჩელთან. არ შეიძლება შეგებებულად ჩაითვალოს. ასევე არ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს სარჩელი, რომელიც წარდგენილია იმავე სასამართლოში, მაგრამ არა იმავე პროცესში პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად. 138-ე მუხლის შინაარსი სავსებით ადასტურებს სასამართლო პრაქტიკის იმ დებულებას, რომ შეგებებული სარჩელი შეიძლება წარდგენილ იქნას გადაწყვეტილების გაუქმების შედეგად საქმის ხელახალი განხილვისას, მიუხედავად იმისა, წარდგენილი იყო თუ არა იგი თავდაპირველ პროცესში¹.

დაბოლოს, აღნიშნული მუხლი ხმარობს ტერმინს „პირვანდელი სარჩელი“ იურიდიულ მეცნიერებასა და ცალკეულ სამოქალაქო საპროცესო კოდექსებში დამკვიდრებული ტერმინის „ძირითადი სარჩელი“ ნაცვლად. კანონმდებელმა უარყო ტერმინი „ძირითადი სარჩელი“ იმ მოსაზრებით, რომ როგორც პირვანდელი, ასევე შეგებებული სარჩელები დამოუკიდებელი ხასიათისა არიან და თავიდანვე შეუძლებელიცაა იმის განსაზღვრა, თუ რომელი მათგანია ძირითადი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მთელ რიგ მუხლებში გამოთქმის „პირვანდელი სარჩელის“ გვერდით ვხვდებით მეორე ტერმინსაც „ძირითადი სარჩელი“ (იხილეთ მუხლები 85, 127 და სხვ.), რითაც დისონანსია შეტანილი ტერმინოლოგიის ერთგვარობის საკითხში. სასამართლო პრაქტიკაში ვგაქვს იმის არაერთი მაგალითი, რომ სასამართლოები თავისი კვლევის ობიექტად აქცევდნენ პირვანდელ სარჩელებს როგორც ძირითად სარჩელებს, საპროცესო მოქმედებათა კონცენტრაციას ახდენდნენ სწორედ ამ სარჩელების მიმართ, აფერმკრთალებდნენ და მეორეხარისხოვნად, არაძირითადად მიიჩნევდნენ შეგებებული სარჩელის განხილვას.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლი, მსგავსად სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებისა, ზუსტად და ამომწურავად ჩამოთვლის შეგებებული სარჩელის მიღების პირობებს. ახალი საპროცესო კოდექსების მიღებამდე შეგებებული სარჩელის დაშვების ამა თუ იმ საფუძველს ითვალისწინებდნენ მხოლოდ უკრაინის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, თურქმენეთისა და საქართველოს სსრ საპროცესო კოდექსები. უკრაინის სსრ საპროცესო კოდექსი შეგებებული სარჩელის ორ პირობას — შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის ურთიერთკავშირსა და ამ სარჩელების ერთად განხილვის მიზანშეწონილობას — ასახელებდა (მუხ. 97); აზერბაიჯანის სსრ საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი ჩამოთვლიდა ორ სრულიად სხვა პირობას. შეგებებული სარჩელი დაიშვებოდა მხარეების ურთიერთმოთხოვნათა ჩასათვლელად ან მოპასუხის შესაბამისი უფლების აღიარებით მოსარჩელის უფლების შთანთქმულად ცნობის მიზნით; თურქმენეთის სსრ საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლი კი ასეთად სამ პირობას აყენებდა; შეგებებული სარჩელი დაიშვებოდა თუ იგი გამომდინარეობდა იმავე საფუძვლიდან ან ჰქონდა შინაგანი კავშირი პირვანდელ სარჩელთან, ან თუ შეიძლებოდა ორივე სარჩელიდან გამომდინარე მოთხოვნათა ჩათვლა. საქართველოს სსრ საპროცესო კოდექსის 84-ე მუხლში ნათქვამი იყო, რომ „შეგებებული სარჩელი შეიძლება მიღებულ იქნას ძირითად სარჩელთან ერ-

¹ იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1952 г., № 11, გვ. 27—29; 1955 г., № 5, გვ. 46—47.

თად განხილვისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს იგი შეიძლება გამოდგეს პირვანდელ სასარჩელო მოთხოვნაში ჩასათვლელად ან უკეთეს იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ძირითად სარჩელთან“.

მოკლედ განვიხილოთ შეგებებული სარჩელის პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვის პირობები:

1. საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად მოსამართლე მიიღებს შეგებებულ სარჩელს თუ შეგებებული მოთხოვნა მიმართულია პირველადი მოთხოვნის ჩასათვლელად¹. მაშასადამე, შეგებებული სარჩელი წარმოადგენს ერთ-ერთ საპროცესო ფორმას, რომელშიც ხორციელდება მატერიალურ-სამართლებრივი ჩათვლა. ჩათვლის განხორციელებისათვის კი მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა უნდა პასუხობდეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 229-ე მუხლში მითითებულ შემდეგ პირობებს²:

ა) ჩასათვლელი მოთხოვნები შეგებებული უნდა იყვნენ, ე. ი. ისეთები, რომელთა მიმართ ყოველი მხარეთაგანი წარმოადგენს ერთდროულად ერთიმეორის მიმართ კრედიტორსაც და დებიტორსაც;

ბ) ჩასათვლელი მოთხოვნები ერთგვაროვან ხასიათს უნდა ატარებდნენ, ე. ი. უნდა ითვალისწინებდნენ ერთი და იმავე მოთხოვნების განხორციელებას. სხვადასხვა მოთხოვნათა ერთგვაროვნობა, პირვანდელი და შეგებებული სარჩელების საფუძვლების ერთგვაროვნობა არ წარმოადგენს მოთხოვნათა ჩათვლის წინაპირობას. ჩათვლა შეიძლება განხორციელდეს სარჩელების განსხვავებული საფუძვლების არსებობისას. მაშასადამე, ჩათვლის ერთ-ერთ წინაპირობას მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნათა ერთგვაროვნობა წარმოადგენს. პრაქტიკაში უფრო მეტად გავრცელებულია ჩათვლა, რომელიც შეგებებული ფულად მოთხოვნათა შეწყვეტისაკენაა მიმართული;

გ) ერთგვაროვანი შეგებებული მოთხოვნის ვადა, გათვალისწინებული კანონით ან ხელშეკრულებით, დამდგარი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩათვლა ვერ განხორციელდება. თუ ასეთი ვადა კანონში ან ხელშეკრულებაში მითითებული არ არის, ან ვალდებულებათა შესრულება განსაზღვრულია მოთხოვნის მომენტი, ასეთი მოთხოვნები შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერ მომენტში.

ჩათვლისათვის შეგებებული მოთხოვნის წარდგენამ შეგებებული სარჩელის ფორმით შეიძლება გამოიწვიოს პირვანდელი სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილება; ასევე გამოიწვიოს ჩათვლით ფულადი შეგებებული მოთხოვნის დაუფარავი ნაწილის გადახდევინება, პირვანდელი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარისთქმის შემთხვევაში შეგებებული მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება.

პირვანდელი და ჩათვლის მიზნით განცხადებული შეგებებული სარჩელის ერთად განხილვა, როგორც სავსებით მართებულად აღნიშნავს ნ. ი. კლეინი³,

¹ იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1962 г. № 9, стр. 7.

² უფრო ვრცლად ამ პირობების შესახებ იხ. «Советское гражданское право», учебник, т. 1., М., 1965, стр. 535—537.

³ იხ. Н. И. Клейн, Встречный иск в суде и арбитраже, М., 1964 г. стр. 116—117.

საშუალებას აძლევს სასამართლოს სრულად გაერკვეს მხარეთა ურთიერთობებში. სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეების მოთხოვნათა ჩათვლა უზრუნველყოფს მიკუთვნებულ მოთხოვნათა რეალურ აღსრულებას, გამორიცხავს ორი სხვადასხვა პროცესის აუცილებლობას, ამარტივებს მხარეთა ურთიერთ ანგარიშსწორებას. ასეთია შეგებებული სარჩელის როგორც სასამართლო ჩათვლის საშუალების მნიშვნელობა.

II. საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვისათვის მიიღება თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ასეთ შემთხვევაში მოპასუხის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა მოსარჩელის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნის დაკმაყოფილების წინააღმდეგ არის მიმართული, შეგებებული სარჩელის საფუძველი აქარწყლებს პირვანდელი სარჩელის საფუძველს მთლიანად ან ნაწილობრივ¹.

III. საპროცესო კოდექსის 139 მუხლის ბოლო, მესამე პუნქტი შეგებებული სარჩელის მიღების პირობად ასახელებს შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის ურთიერთკავშირს და ამასთანავე გამოდის პროცესუალური ეკონომიისა და ობიექტური ჭეშმარიტების საწყისების მოთხოვნებიდან. ასეთი შეგებებული სარჩელი არ გამორიცხავს პირვანდელ სასარჩელო მოთხოვნას, არ წარმოადგენს ჩათვლის საშუალებას, არამედ წარდგენილია ამ ურთიერთდაკავშირებულ სასარჩელო მოთხოვნათა ერთად განხილვის მიზნით, რათა აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდეს. ასე მაგალითად, ობუხვამა მიმართა სასამართლოს სარჩელით კლიმოვასთან განქორწინების შესახებ. კლიმოვა განქორწინების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ თავისი შეგებებული სარჩელით მოითხოვა ქმრის სახელზე შემნახველ სალაროში შეტანილი საერთო ფულადი თანხის გაყოფა. ორლოვის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დააკმაყოფილა სარჩელი განქორწინების შესახებ და ერთდროულად გამოიტანა დადგენილება კლიმოვას შეგებებული სარჩელის ცალკე წარმოებაში გამოყოფის შესახებ². სასამართლოს ამ შემთხვევაში უნდა დაეშვა შეგებებული სარჩელი პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად, რადგან ორივე სარჩელი გამომდინარეობს ერთი სამართლებრივი ურთიერთობიდან, შეგებებული სარჩელი წარდგენილია ურთიერთდაკავშირებულ მოთხოვნათა ერთად განხილვის მიზნით. პირვანდელი სარჩელის საგანი საქორწინო ურთიერთობათა შემდგომი ვაგრძელების შეუძლებლობის ცნობაა, ხოლო შეგებებული სარჩელისა კი—ამ ქორწინებაში შექმნილი იმ ფულადი თანხის გაყოფის შესახებ, რაც მეუღლეთა საერთო საკუთრებას წარმოადგენს და შეტანილია ქმრის სახელზე შემნახველ სალაროში. მოთხოვნათა ურთიერთკავშირი ამ შემთხვევაში დაპირობებულია ორივე სარჩელის საფუძველში არსებული იურიდიული ფაქტების მჭიდრო კავშირით, საფუძველების სიახლოვით, რამდენადაც დავა წარმოიშვა ერთი და იმავე ქორწინების გამო.

ურთიერთდაკავშირებული პირვანდელი და შეგებებული სარჩელების ერთად განხილვა სასამართლოს საშუალებას აძლევს ზუსტად შემოფარგლოს მტკიცების საგანში შემავალი იურიდიული ფაქტების წრე, ერთ პროცესში

¹ იხ. «Судебная практика Верховного Суда СССР», 1955 г., № 4, стр. 31—32; 1950 г. № 1, стр. 44—45; 1950 г. № 10, стр. 30—31; «Советская юстиция», 1960 г. № 13, стр. 27.

² იხ. «Бюллетень Верховного Суда РСФСР», 1965 г., № 9, стр. 5—6.

მოუყაროს თავი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებებზე სწრაფად და სწორად გადაწყვიტოს მოდავე მხარეთა ურთიერთობის მთელი კომპლექსი.

მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ შეგებებული სარჩელი არ უარყოფს თავდაპირველ სარჩელს, არ წარმოადგენს მოპასუხის დაცვის საშუალებას ჩათვლის გზით, არამედ წარდგენილია პირვანდელ სარჩელთან მოთხოვნათა ურთიერთკავშირის გამო მათი ერთად განხილვის მიზნით.

კანონმდებლის მიერ შეგებებული სარჩელის მიღების ცალკე პირობად პირვანდელი შეგებებული სარჩელების ურთიერთკავშირის გამოყოფა, არ ნიშნავს ამ სარჩელებს შორის არსებული კავშირის უარყოფას საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლის პირველი ორი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. გარკვეული კავშირის არსებობა საფუძველია შეგებებული სარჩელის მიღებისა საპროცესო კოდექსის 139-ე მუხლით გათვალისწინებულ ყველა შემთხვევაში. განსხვავება ამ კავშირის შინაარსის სპეციფიურობაშია. ასე მაგალითად, სასამართლო ჩათვლის განხორციელების მიზნით წარდგენილი შეგებებული სარჩელის დაშვება პირვანდელ სარჩელთან ერთად განხილვისათვის აიხსნება, უწინარეს ყოვლისა, მათ შორის ისეთი კავშირით. რომელიც მოსარჩელისა და მოპასუხის ურთიერთდაკავშირებული მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნების შეწყვეტის პირობებში ძევს, ან ასეთი კავშირი შეიძლება გამოიხატოს ამ სარჩელების ისეთ თანაფარდობაში, როდესაც შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება გამორიცხავს თავდაპირველი სარჩელის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკმაყოფილებას¹.

პრეიუდიციის ძალით შეგებებულ სარჩელში და შესაგებელში მითითებულ ფაქტებზე და სამართლებრივ ურთიერთობებზე სასამართლო განმეორებით ვერ იმსჯელებს, თუ ისინი საფუძვლად დაედო კანონიერ ძალაში შესულ მის გადაწყვეტილებას. როგორც ამაზე მართებულად მიუთითებს შ. ა. გურვიჩი სასამართლოს მსჯელობას ფაქტებისა და სამართლებრივი ურთიერთობების არსებობის საკითხზე აქვს პრეიუდიციული მნიშვნელობა ყველა დავებისათვის, რომლებიც შესაძლოა შემდეგში წარმოშობილიყვნენ². მაშასადამე. ამ შემთხვევაში შესაგებელი და შეგებებული სარჩელი იწვევენ ერთი და იმავე მატერია-

¹ სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სამოქალაქო საპროცესო კოდექსები შემდგენიარად წყვეტენ შეგებებული სარჩელის მიღების საკითხს. პოლონეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლით შეგებებული სარჩელი დაიშვება თუ მოპასუხის შეგებებული მოთხოვნა კავშირშია მოსარჩელის მოთხოვნასთან ან თუ მას ჩათვლის უნარი აქვს. უნგრეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 147 ადგენს, რომ საქმის განხილვის დამთავრებამდე, რაც წინ უძღვის პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოტანილ გადაწყვეტილებას, მოპასუხეს შეუძლია წარუდგინოს მოსარჩელეს შეგებებული სარჩელი, თუ უფლება, რომლის განხორციელებაც სურს ამ გზით მოპასუხეს, გამომდინარეობს ერთგვაროვანი და მოსარჩელის სარჩელთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობებიდან ან, თუ მოთხოვნები წარმოადგენენ ვარგისიანს მოსარჩელის სასარჩელო პრეტენზიაში ჩათვლისათვის. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის § 33 თანახმად შეგებებული სარჩელი დაიშვება იმ პირობების არსებობისას თუ მოპასუხის შეგებებული პრეტენზია მოსარჩელესთან დაკავშირებულია პირვანდელი სარჩელის პრეტენზიასთან ან მისგან დაცვის საშუალებებთან.

² იხ. М. А. Гурвич. Решение советского суда в искомом производстве. М., 1955, стр. 122.

ლურ სამართლებრივ შედეგებს — მხარეთა სამართლებრივ ურთიერთობებს ანიჭებენ ახალ თვისებას — უდავო და განსაზღვრულ ხასიათს.

* * *

შეგებებული და პირველად სარჩელების ერთ პროცესში განხილვა დაკავშირებულია ერთგვარ სიძნელებთან, საქმის ფაქტიური გარემოებებისა და მტკიცებულებების წრის გაფართოებასთან, პირვანდელი მოთხოვნების განზიღვის შესაძლო შეფერხებებთან და ზოგჯერ საქმის წარმოებით გადადებასთან. სწორედ ეს მომენტი განსაზღვრავს შეგებებული სარჩელის გამოყენების ზოგიერთ საკანონმდებლო შეზღუდვას. წინამდებარე სტატიაში შესწავლილი საკითხები მთელი სიცხადით ადასტურებენ სამოქალაქო პროცესში შეგებებული სარჩელის დადებით მნიშვნელობას. შეგებებული სარჩელის წარდგენა საშუალებას იძლევა: მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ერთ პროცესში გადაწყდეს მხარეთა შორის ყველა სადავო ურთიერთობა, სასამართლომ სრულად და ყოველმხრივ გამოარკვიოს მხარეთა ურთიერთობები, რაც წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების განხორციელების გარდუვალ პირობას, საქმეზე სასამართლო ობიექტური კვამარიტების მიღწევის აუცილებელ წინამძღვარს.

კანონის ენის შესახებ¹

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ², რომელზედაც განიხილავდნენ სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტებს, საფუძვლიანად გააკრიტიკეს ეს პროექტები ენობრივი თვალსაზრისით. სესიამ გაითვალისწინა გამოთქმული შენიშვნები და სარედაქციო კომისიას დაავალა შეეტანა პროექტებში სათანადო შესწორებანი. სარედაქციო კომისიას გარკვეული მუშაობა გაუწევია და პროექტების ტექსტი რამდენადმე გაუმჯობესებია როგორც ტერმინოლოგიური, ისე ფრაზეოლოგიური მხრივ. მიუხედავად ამისა, გამოცემული კოდექსების ბევრი ადგილი, რამდენადაც საკითხი ენას შეეხება, ვერ არის მთლად დამაკმაყოფილებელი და შემდგომ სრულყოფას საჭიროებს.

კანონმდებლობის ენას, ისევე როგორც ყოველი სხვა დარგის ნაწარმოებთა ენას, გარკვეული მოთხოვნები წარედგინება: ბუნებრიობა, სინარტივე, სიზუსტე, სიცხადე, ლიტერატურული ენის ნორმების დაცვა. კანონის ენას, რა თქმა უნდა, თავისი სპეციფიკაც აქვს. იგი, ჩვეულებრივი თხრობის ნაცვლად, უშთავრესად დებულებებითა და ფორმულებითაა პარაკობს. ეს თავისებური სინტაქსური კმნის, რაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული.

კანონმდებლობა, ყოველგვარი სხვა ლიტერატურული პროდუქციის მსგავსად, გარდა თავისი პირდაპირი დანიშნულებისა, დედაენის სახელმძღვანელოსაც უნდა წარმოადგენდეს, რომლითაც გაბართულ მეტყველებასა და წერას შესწავლის მკითხველთა ფართო მასა. სამწუხაროდ, ჩვენი კოდექსი ასეთ სახელმძღვანელოდ ნაკლებად გამოდგება.

განვიხილოთ კოდექსის ცალკეული მუხლების ტექსტი. ჯერ მოვიყვანოთ ადგილებს კოდექსიდან, შემდეგ კი ჩვენს ვარიანტებს წარმოვადგინოთ.

მუხლი 1. „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობებს და მათთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობებს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისა და მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო და უფრო დაკმაყოფილების მიზნით. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს აგრეთვე სხვა პირად არაქონებრივ ურთიერთობებს“.

რამდენადმე მძიმე ფრაზაა. ეს დაკავშირებულია, ერთი მხრივ, წინადადებათა არცთუ მთლად ბუნებრივ დალაგებასთან, ხოლო მეორე მხრივ — სიტყვა ურთიერთობის მრავლობით ბრუნვაში სმარებასთან.

ურთიერთობა თავისთავად შეიცავს როგორც მხოლოდობით, ისე მრავლობითის გაგებას და მისი მრავლობითში დასმა საჭირო არ არის. კოდექსშიც იგი სშირად მოცემულია მხოლოდობითი ბრუნვის ფორმით და არავითარ გაუგებრობას არ იწვევს (მუხლები 2, 3, 76, 180, 292 და სხვ.). ჩვენი ვარიანტი: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობას და მასთან დაკავშირებულ პირად არაქონებრივ ურთიერთობას იმ მიზნით, რომ შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და უფრო და უფრო სრულად დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი აწესრიგებს აგრეთვე სხვა პირად არაქონებრივ ურთიერთობას“.

როგორც მკითხველი შეამჩნევდა, ზედმიწევნითი სიზუსტის დასაცავად ჩვეურთუთ სიტყვა „სრულად“. ასეა კოდექსის შესავალშიც (გვ. 5): ოღონდ იქ ეს სიტყვა ზედსართავის ფორმითაა მოცემული.

მუხ. 6. „სამოქალაქო უფლებების დაცვა ხორციელდება დადგენილი წესით სასამართლოს, არბიტრაჟის ან სამედიატორი სასამართლოს მიერ შემდეგი საშუალებებით:

ამ უფლებების აღიარებით; უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით და უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთით; ვალდებულებების ნატურად შესრულების მისჯით; სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტით ან შეცვლით; უფლების დამრღვევი პირისათვის ზარალის გადასდევინებით, ხოლო კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) გადასდევინებით; აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებებით“.

ქართული მეტყველების თვალსაზრისით ეს მუხლი გაბართული არ არის. სუწინარეს ყოვლისა, საქმესართულებს მრავალი სიტყვის თავმოყრა მოქმედებით ბრუნვაში, რაც უშთავრესად გამოწვეულია „საშუალებებთან“ შეთანხმების საჭიროებით. ამის თავიდან აცილება ადვილია. სახელობითი ბრუნვის გამოყენება ფრაზას ძალიან გაამარტივებდა. შეიძლება ასე:

„სამოქალაქო უფლებათა დაცვას დადგენილი წესით“.

¹ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის გამოცემის გამო.



სით ახორციელებენ სასამართლო, არბიტრაჟი ან სამედიატორო სასამართლო ისეთი საშუალებებით, როგორცაა:

ამ უფლებათა აღიარება; უფლების დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა და უფლების დამრღვევი მოქმედების აღკვეთა; ვალდებულებათა ნატურად შესრულების მისჯა; სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა ან შეცვლა; უფლების დამრღვევი პირისათვის ზარალის გადანდევინება, ხოლო კანონით ან სელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში პირგასამტეხლოს (ჯარიმის, საურავის) გადსდევინება, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული სხვა საშუალებანი“.

აქვე მოგვყავს სხვა ვარიანტი, რომელსაც ჩვენ უპირატეობას ვანიჭებთ. ეს არის ზმნის აქტიური ფორმების მოშველიება:

„სამოქალაქო უფლებათა დაცვას დადგენილი წესით ახორციელებენ სასამართლო, არბიტრაჟი, ან სამედიატორო სასამართლო იმ გზით (იმგვარად), რომ: აღიარებენ ამ უფლებებს; აღადგენენ უფლების დარღვევამდე არსებულ მდგომარეობას და აღკვეთენ უფლების დამრღვევ მოქმედებას; მიუსჯიან ვალდებულების ნატურად შესრულებას; შეწყვიტენ ან შეცვლიან სამართლებრივ ურთიერთობას; უფლების დამრღვევ პირს გადასდევინებენ ზარალს, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში — პირგასამტეხლოს (ჯარიმას, საურავს), აგრეთვე მიმართავენ კანონით გათვალისწინებულ სხვა საშუალებებს“.

სხვათა შორის: ნატურად შესრულება უფრო მართებულია, ვიდრე ნატურით შესრულება, რაც ჩვეულებრივ იხმარება. ოღონდ ეს ფორმა ყველგან არ არის დაცული (მუს. მუს. 51,216).

მუხლი 21. „გარდაცვლილად გამოცხადებული მოქალაქის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას“.

ჩვენ ვამჯობინებდით: „იმ შემთხვევაში, როცა მოქალაქე გამოცხადდება ან მისი ადგილსამყოფელი აღმოჩნდება, სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას“.

მუხლი 38. „სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც იურიდიულ პირს წარმოადგენს, მოისპობა იმ ორგანოს მიერ, რომლის გადაწყვეტილებითაც იგი შეიქმნა“.

აქ უხერხულობას ის ბადებს, რომ ამ პატარა წინადადებაში სიტყვა „რომელიც“ ორჯერ მეორდება, ისიც სხვადასხვა ობიექტის განსაზღვრისათვის. არც ჩვენებითი „იმ“ და არც თანდებული „მეორე“ ამშვენებს ნათქვამს. რამდენიმე შესაძლებელი ვარიანტიდან ვიძლევი ვრთს:

„სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც იურიდიულ პირს წარმოადგენს, მოისპობა მისი შექმნელი ორგანოს გადაწყვეტილებით“.

მუხლი 39. „...ორგანიზაციების რეორგანიზაცია...“

4. „საბჭოთა სამართალი“ № 1

შეიძლება მათი წვევების (მონაწილეთა) საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით“.

რეორგანიზაციას აქ, ვფიქრობთ, გარდაქმნა აჯობებდა. ვარდა ამისა, აკლია სიტყვა „მხოლოდ“, რაც ერთგვარი უზუსტობაა და კატეგორიულ ხასიათს უკარგავს კანონის მითითებას. მაშასადამე, უნდა იყოს:

„...ორგანიზაციების გარდაქმნა... შეიძლება მხოლოდ მათ წევრთა (მონაწილეთა) საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით“.

მუხლი 44. „...თუ მოქალაქეს ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზების გამო არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი გარიგებას, მისი დავალებით გარიგებას შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქემ. უკანასკნელის ხელმოწერა უნდა დამოწმდეს ან იმ ორგანიზაციის მიერ, სადაც მუშაობს ან სწავლობს გარიგების დამდები მოქალაქე, ან იმ სახელმმართველობის მიერ, სადაც იგი ცხოვრობს, ან იმ სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ, სადაც იგი სამკურნალოდ იმყოფება, ანდა სანოტარო ორგანოს მიერ“...

აქ ამოწერილ ციტატას რამდენიმე ნაკლი აქვს:

- ა) რაიმე ნაწილაკი მსოლიობით ბრუნვას მოითხოვს;
- ბ) „მიერ“ ბევრჯერ მეორდება და კანცელარულ იერს აძლევს ფრაზას;
- გ) სახელმმართველობა საცხოვრებელი სახლი კი არ არის, არამედ დაწესებულებაა. ეს ადვილი ასე გაიმართებოდა:

„...თუ მოქალაქეს ფიზიკური ნაკლის; ავადმყოფობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო არ შეუძლია თვითონ მოაწეროს ხელი გარიგებას, მისი დავალებით გარიგებას შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა მოქალაქემ. ამ უკანასკნელის ხელმოწერა უნდა დაამოწმოს ან იმ ორგანიზაციამ, სადაც მუშაობს თუ სწავლობს გარიგების დამდები მოქალაქე, ან იმ სახლის მმართველობამ, სადაც იგი ცხოვრობს, ან იმ სტაციონარული სამკურნალო დაწესებულების ორგანიზაციამ, სადაც იგი სამკურნალოდ იმყოფება, ანდა სანოტარო ორგანომ...“ (იხ. აგრეთვე მუხლი 65).

მუხლი 71. „რწმუნებულების გამცემი პირი მოვალეა მინდობილობის გაუქმების შესახებ... აცნობოს რწმუნებულების მიმღებს...“

გაუგებარია, საიდან განრდა აქ სიტყვა „მინდობილობა“, როცა რწმუნებულებასზე ლაპარაკი. ფრაზა, საერთოდ, ასე შეიძლება გადმოიცეს.

„...რწმუნებულების გამცემი პირი მოვალეა აცნობოს რწმუნებულების გაუქმება მის მიმღებს...“

იგივე მუხლი: „უფლებები და მოვალეობები, რომელნიც წარმოიშობა იმ პირის მოქმედების შედეგად, რომელსაც რწმუნებულება მიეცა იმ დროში, ვიდრე ეს პირი გაცივდება...“

ჩვენი ვარიანტი:

„უფლებანი და მოვალეობანი, რაც წარმოიშობა



იმ პირის მოქმედების შედეგად, რომელსაც რწმუნებულება მიეცა მანამდე, სანამ ეს პირი გაიგებდა...”

მუხლი 76. „სასარჩელო ხანდაზმულობის შემცირებული ვადები იმ ურთიერთობიდან გამომდინარე ცალკეულ სახეობებისათვის, რომელთა მოწყვრიგება მიეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას, წესრიგდება სსრ კავშირის კანონმდებლობით, ხოლო სხვა მოთხოვნებისათვის — ამ კოდექსით.“

მეორეჯერ „წესრიგდება“ შეცდომით უნდა იყოს დაბეჭდილი. გაუგებარია აგრეთვე, რატომ „რომელი“ მრავლობითია დასმული. ალბათ, „ურთიერთობებიდან“ არ მოსწონებიათ და მხოლოდობითი დაუსვამთ, ზმნის შეთანხმება კი დავიწყებიათ. ასეთ შეუთანხმებლობას სხვაგანაც ვხვდებით (მუხ. 73). ჩვენი წინადადებაა:

„სასარჩელო ხანდაზმულობის შემცირებული ვადები იმ ურთიერთობიდან გამომდინარე ცალკეულ სახეობათა მოთხოვნებისათვის, რომლის მოწყვრიგება მიეკუთვნება სსრ კავშირის გამგებლობას, წესდება (დგინდება) სსრ კავშირის კანონმდებლობით, ხოლო სხვა მოთხოვნებისათვის — ამ კოდექსით.“

მუხლი 94. „სახელმწიფო საწარმოთა, შენობების, ნაგებობათა, მოწყობილობის და სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითად საშუალებებს მიკუთვნებული დანარჩენი ქონების სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის გადაცემის წესი განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.“

აქ საკმაოდ დასლართულად გამოთქმული აზრი უფრო მარტივად შეიძლება ასე გადმოცემულიყო: „წესი, თუ როგორ გადაეცეს სახელმწიფო საწარმოები, შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა და სახელმწიფო ორგანიზაციების ძირითად საშუალებებს მიკუთვნებული დანარჩენი ქონება სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებს, აგრეთვე კოლმეურნეობებსა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, განისაზღვრება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.“

მუხლი 102. „არ შეიძლება გადახდევინება კრედიტორების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოების, შენობების, ნაგებობების, მოწყობილობისა და სხვა ქონებიდან, რაც მიეკუთვნება საწარმოთა, სანატორიუმების, დასასვენებელი სასახლების, კულტურის სასახლეების, კლუბების, სტადიონებისა და პიონერთა ბანაკების ძირითად საშუალებებს, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდებიდან.“

აზრი ზუსტად არის გადმოცემული, ოღონდ რამდენადმე მძიმე ფრაზა გამოვიდა. აჯობებდა შემდეგნაირად:

„არ შეიძლება კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად გადახდევინების წყაროს (საგანს, ობიექტს)

წარმოადგენდნენ პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საწარმოები, შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა და სხვა ქონება, რაც მიეკუთვნება საწარმოების, დასასვენებელი სასახლის, კულტურის სასახლეების, კლუბების, სტადიონებისა და პიონერთა ბანაკების ძირითად საშუალებებს, აგრეთვე კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდები.“

მუხლი 136. „განცხადების შეტანა ხდება ქონების აღრიცხვაზე აყვანის დღიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ.“

აღრიცხვაზე აყვანა სულიერი საგნის შესახებ თუ ითქმის, არც „შეტანა ხდება“ არის მოსწრებული გამოთქმა. გამოვლავლდა:

„განცხადება შეიტანება (შეაქვთ) ქონების აღრიცხვის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.“

მუხლი 150. „ქონების გამოთხოვისას ამ კოდექსის 146-ე მუხლის საფუძველზე მესაკუთრეს უფლება აქვს მოსთხოვოს იმ პირს, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი მფლობელობა უკანონოა (არაკეთილსინდისიერი მფლობელი) დაბრუნება თუ ანაზღაურება მთელი შემოსავლისა, რაც მან მიიღო ან უნდა მიეღო მფლობელობის დროს, ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელი — მთელი შემოსავალი.“

რას ეხება ეს „საფუძველი“ — ქონების გამოთხოვას თუ მესაკუთრის უფლებას? გარდა ამისა, ერთ შემთხვევაშია დაბრუნება შემოსავლისა, მეორეჯან კი — შემოსავალი. საჭირო ცვლილებათა შეტანის შემდეგ მივიღებთ:

„ამ კოდექსის 146-ე მუხლის საფუძველზე ქონების გამოთხოვისას მესაკუთრეს უფლება აქვს მოსთხოვოს პირს, რომელმაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ მისი მფლობელობა უკანონოა (არაკეთილსინდისიერი მფლობელი), დაუბრუნოს ან აუნაზღაუროს მთელი შემოსავალი; რაც მან მიიღო ან უნდა მიეღო მთელი მფლობელობის დროის განმავლობაში, ხოლო კეთილსინდისიერი მფლობელს — მთელი შემოსავალი...“


მუხლი 169. „ვალდებულების შესრულება, რომლის შესრულების ვადა აღნიშნული არ არის.“

ქართული ენა ისე ღარიბი როდია, რომ ერთ სიტყვა („შესრულება“) ასეთ მოკლე წინადადებაში გაიმეორო, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვს. წინადადების დალაგებაც არ არის უნაკლო. შეიძლება ასე:

„შესრულება ვალდებულებისა, რომლის მოხდა (განხორციელების, განაღდების) ვადა აღნიშნული არ არის.“

მუხლი 194. „დაიკრავებული ქონება, რომელი გამოვიდა მოგირავნის მფლობელობიდან ან დამგინავების მფლობელობიდან, რომელთანაც იგი დატოვებული იყო... შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მოგირავნის მიერ...“

სიტყვა „გამოვიდა“ ქონების მიმართ თითქმის გამოვლდა, რადგან იგი სულიერი საგნისათვის



ქმის შემდეგ, დამგირავებლის ნაცვლად 195-ე მუხლში მოვალე წერია. დამგირავებელი და მოვალე აზრობრივად შეიძლება ერთი და იგივე იყოს, მაგრამ ტერმინების სხვაობა მაინც გაუგებრობას წარმოშობს. წინადადებაც ვასამართავია. იქნებ ასე აჯობებდა:

„დაგირავებელი ქონება, ამორიცხული (ამოღებულ) მიგირავენის მფლობელობიდან ან მოვალის მფლობელობიდან, რომელთანაც იგი დატოვებული იყო... შეიძლება გამოითხოვოს მოგირავენში...“

მუხლი 222. „ორმხრივ ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობა, კანონში ან ხელშეკრულებაში სხვა მითითებათა უქონლობის შემთხვევაში, გამოიწვევს შემდეგ შედეგებს.“

ჩვენი ვარიანტი:
„ორმხრივ ვალდებულებათა შესრულების შეუძლებლობა, თუ კანონში ან ხელშეკრულებაში სხვა მითითება არ არის, გამოიწვევს ასეთ შედეგებს.“

მუხლი 301. 2) „სამუშაოდან წასვლის შემთხვევაში უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებთან გათანაბრებულ ადგილებში განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ხოლო სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში — ამ რაიონებში და ადგილებში მუშაობის მთელი ხნის განმავლობაში.“

ფრაზა რომ მთლად გამართული ვერ არის, ამას მტკიცება არ უნდა. ში — დაბოლოებებიანი სიტყვების სიმრავლესაც ვერ მოიწონებს კაცი. შეიძლებოდა ამგვარად:

„როცა სამუშაოდ მიდიან უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებში ან მათთან გათანაბრებულ ადგილებში განსაზღვრული ვადით დადებული შრომითი ხელშეკრულების მოქმედების მთელი ხნის მანძილზე, ხოლო იმ შემთხვევებში, რაც სსრ კავშირის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული — ამ რაიონებსა და ადგილებში მუშაობის მთელი ხნის მანძილზე.“

რამდენადმე შესაცვლელია ამ მუხლის ზოგიერთი სხვა ადგილიც.

მუხლი 459. „სახელმწიფო დაწესებულება პასუხს აგებს მოქალაქისათვის მიყენებული ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულია ამ დაწესებულების თანამდებობის პირის არასწორი მოქმედებით ადმინისტრაციული მმართველობის დარგში საერთო საფუძვლებით.“

აქ გამოტოვებულია სიტყვა „სამსახურებრივი“, რაც ცოტათოდენ უზუსტობას ქმნის, თანაც საკმაოდ ნათელი არ არის, რას ეხება „საერთო საფუძვლები“ — პასუხისმგებლობას თუ თანამდებობის პირის მოქმედებას. წარმოგიდგინეთ ასეთ ვარიანტს:

„სახელმწიფო დაწესებულება საერთო საფუძვლების შესაბამისად პასუხს აგებს მოქალაქისათვის მიყენებული ზიანის გამო, რაც გამოწვეულია ამ დაწესებულების თანამდებობის პირის არასწორი სამ-

სახურებრივი მოქმედებით ადმინისტრაციული მმართველობის დარგში.“

მუხლი 472. „...ჯანმრთელობის დაზიანებით გამოწვეული ხარჯები (გაძლიერებული კვება, პროტეზი, მუღმივი მოვალე და მისთ)“ კოდექსის რუსულ გამოცემაში „მუღმივი მოვალე“ ნაცვლად წერია „სხვისაგან მოვლა“. თუ სადაა აქ სიმართლე, ამის გამორკვევას ჩვენ ვერ ვიცისრებთ.

მუხლი 538. „დავა გამოგონებისა თუ რაციონალიზატორული წინადადებისათვის მისაღები გასამჯელოს რაოდენობის, გამოანგარიშების წესისა და გაცემის ვადების საკითხებზე წყდება იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია „დებულებით აღმოჩენების, გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების შესახებ“; გამოგონებელსა ან რაციონალიზატორს, რომელიც ასეთ გადაწყვეტილებას უმართებულად მიიჩნევს, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.“

ამ ფრაზის წარმოთქმა და მონელება კაცს გაუჭირდება. თავმოყრილია მრავალი ნათესაობითი მწოლობითისა და პირველ მრავლობითში, „მისაღები“ ორაზროვანია (დამაკმაყოფილებელი თუ კუთვნილი?), „რაოდენობა“ ამ კონტექსტში შეუფერებელია, „ასეთიც“ არ არის მთლად გასაგები, „საკითხებზე“, რაც ართულებს წინადადებას, შეიძლება სულაც ამოვავდოთ. მოტანილი ადგილი ასე გადმოიციმოდა:

„დავა, რომელიც ეხება გამოგონებისა თუ რაციონალიზატორული წინადადებისათვის კუთვნილი გასამჯელოს ოდენობას, გამოანგარიშების წესსა და გაცემის ვადებს, წყდება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია „დებულებით აღმოჩენათა, გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა შესახებ“, ამასთან გამოგონებელს ან რაციონალიზატორს, რომელიც გამოტანილ გადაწყვეტილებას უმართებულად მიიჩნევს, შეუძლია სასამართლოს მიმართოს.“

კოდექსში ნახმარია სიტყვა ნარდობა, რომელიც ჩვენ ამ ფორმით დღემდე არ შეგვხვედრია. ტერმინს არა უშავს, ქართული ენის ბუნებისსამებრ არის შედგენილი: ნარდი—ნარდობა. ოღონდ შეიძლება აჯობებდა მენარდობა: მენარდე-მენარდობა. ეს ფორმა უფრო გავრცელებულია. ანალოგია: მეურნე-მეურნეობა, მეწარმე-მეწარმეობა და ბევრი სხვა. სანარდოდან საქვესანარდო უწარმოებიათ. გვერდია, სანარდოს გათიშვა არ ღირდა. გამოდგებოდა ქვესანარდო.

კარგია ანდერძისმიერი (მემკვიდრე-მემკვიდრეობა). „იურიდიულ ტერმინოლოგიაში“ ეს სიტყვა არ არის შეტანილი, მაგრამ მოცემულია კანონისმიერი, რომლის მიხედვითაც, ალბათ, ნაწარმოებია ანდერძისმიერი. ანდერძისმიერი (მემკვიდრეობა), ისევე როგორც კანონისმიერი, სჯობია ფორმებს: ანდერძით, კანონით, ანდერძის, კანონის მიხედვით. ფრაზაში ეს ახალშემოღებული სიტყვები უფრო გამოსაყენებელია და მარჯვე. ჩვენი აზრით, შეიძლებოდა აგრეთვე ანდერძისეული, კანონისეული.



კოდექსში გვხვდება სიტყვა მოვლენა (მუხ. მუხ. 73, 82). არის თუ არა ეს სპეციფიკურად იურიდიული ტერმინი? ამავე დროს გვაქვს „სდომილება“ (მუხ. 4). ჩვენ არ ვიცით, მოვლენა და სდომილება ერთსა იმავე ცნებას გამოსატყვევს თუ მათ სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. იქნებ სდომილება ხელოვნურ, შეუფერებელ სიტყვად მიაჩნიათ, მაშინ იგი უნდა უკუევდით და რაიმე ახალი ტერმინით შეეცვალათ, საჭიროა გარკვეულობა; ტერმინების უნიფიცირება.

არსებობდა და არსებობს სიტყვა დავალება. იგი შესულია როგორც სპეციალურ იურიდიულ ტერმინოლოგიაში, ისე საერთო ლექსიკონებში. ჩვენ ვერ გავიგეთ, რატომ შეცვალეს კოდექსში დავალება მინდობილობით. ძალიან ხშირად ერთის ნაცვლად ორი სიტყვაა ნახმარი: მინდობილი მოქმედება (მუხ. მუხ. 403, 404). ამავე ცნების გამოსახატავად სიტყვა დავალებაც უხმარიათ (მუხ. მუხ. 413, 418). ვფიქრობთ, რომ ეს სიტყვები თავიდან უნდა ავიცილოთ.

შემოდებულია და სათანადო ლიტერატურაში იხმარება, აგრეთვე ლექსიკონებში შესულია სიტყვა რივისობა. მაგრამ იგი რატომღაც არ მოსწონებათ და შეუცვლიათ ორი სიტყვით — რიგითი თანმიმდევრობა. ტერმინის ერთ-ერთი ღირსება ის არის, რომ იგი, შეძლებისამებრ, მიკლვე იყოს. რივისობა სრულიადაც არ არის უარსაყოფი.

რეპროდუქცია, როგორც საავტორო სამართლის ტერმინი, ჩვენ მაინცდამაინც შესაფერისად არ მიგვაჩნია. სურათების რეპროდუქცია ასე თუ ისე მიღებულია, მაგრამ ბევრ სხვა შემთხვევაში ეს სიტყვა საეჭვოა გამოდგეს. მაგალითად, დიკლამატორმა წაიკითხა პოეტის ლექსი, პიანისტმა დაუკრა სხვისი ნაწარმოები, მომღერალმა შესრულა კომპოზიტორის რომანსი და სხვ. შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ მათ რეპროდუქცია მოახდინეს? რეპროდუქცია გახლავთ უცხოურად შენიღბული აღწარმოება თუ კვლავწარმოება, თანაც ზმნის ფორმით მისი გამოყენება გააწვლელია. ცნების გამოსახატავად იქნებ უკეთესი ტერმინი გამოიხასოს.

გვითხვობთ: „ავტორი მოვალეა შეასრულოს შეკვეთილი ნაწარმოები...“ (მუხ. 500). ისე გამოდის, თითქოს ლაპარაკი იყოს საშემსრულებლო ხელოვნებაზე (დაკვრა, მღერა და სხვ.). ნამდვილად კი აქ იგულისხმება ნაწარმოების არა შესრულება, არამედ შექმნა.

არის სხვა შეუფერებელი სიტყვებიც. წერია „მიღებული ზარალი“ (მუხ. 450). არ იტყვიან, ზარალი მიიღოთ. ჩვეულებრივ ამბობენ: ზარალი ნახა, მოუვიდა, განიცადაო. კონტექსტის მიხედვით შეიძლება: გამოწვეული, განცდილი ზარალი (მუხ. მუხ. 277, 280) და სხვ. ასევე ვერ არის მარჯვე გამოთქმა: „ომხდარი ზარალი“ (მუხ. 277).

გვხვდება სხვადასხვა სიტყვა ერთი მოვლენის, ცნების გამოსახატავად: გასახლება (მუხ. 329) და გამოსახლება (მუხ. 333), გამოქვითვა (მუხ. 227)

და გაქვითვა (მუხ. 230), ორგანიზაციები ორგანობის ნაცვლად (მუხ. 408), ერთობლივი (მუხ. 447) და საერთო (მუხ. 449), ოდენობა (მუხ. 103) და რაოდენობა (მუხ. 371), და რაოდენობა (მუხ. 317), მართვა (მუხ. 131).

ცხადია, ტერმინოლოგიის ერთიანობის დარღვევა საგრძობი ნაკლია. ამან შეიძლება ორპარტიულობა და გაუგებრობა გამოიწვიოს.

კოდექსში ძალიან ხშირად იხმარება მეშველი ზმნა. როგორც თვითონ სიტყვა მეშველი გვეუბნება, ძირითად ზმნას უჭირს, ესა თუ ის აზრი მარტოს ზუსტად და სრულად ვერ გადმოუცია და დახმარებას თხოულობს. თუ მეშველი ზმნა ამ მხრივ გაჭირვების ტალღეებშია, მეორე მხრივ იგი რამდენადმე ამძიმებს შეტყვევლებას და მხოლოდ მაშინ უნდა ვიხმაროთ, როცა ეს მართლაც აუცილებელია. კოდექსში ამ გარემოებას ნაკლებად ექცევა ყურადღება.

მოვიყვანოთ მაგალითები: ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს (მუხ. 171), უნდა ანაზღაურებულ იქნეს (მუხ. 213), ვალდებულება შეიძლება შესრულებულ იქნეს (მუხ. 167), უნდა გამოიყენებულ იქნეს (მუხ. 222), შეიძლება შეცვლილ იქნეს (მუხ. 228), ხელშეკრულება უნდა იქნეს დადებული... და რეგისტრირებული უნდა იქნეს (მუხ. 239) და მრავალი სხვა.

დაგვეთანხმებით, რომ ასეთი გამოთქმები აუცილებელი არ არის. სასვებით შესაძლებელია და ამკარად სჯობია: ვალდებულება უნდა შესრულდეს, ზარალი უნდა ანაზღაურდეს, ვალდებულება შეიძლება შესრულდეს, უნდა გამოიყენონ, ხელშეკრულება უნდა დაიდოს და სხვ.

კიდევ მეტი: იქნეს და უნდა დამხარე სიტყვები კანონის ენისათვის მაინცდამაინც არ არის დამახასიათებელი. კანონი მარტივად მეტყველებს: შესრულდება, ანაზღაურდება, გამოიყენება, დაიდება, რეგისტრირდება და სხვ. ეს უფრო იმპერატიულია, ვიდრე იქნეს, უნდა და სხვა მსგავსი სიტყვების მოშვებით.

ჩვენი ყურადღება მიიქცია შესახებ — სიტყვით ხშირად ხმარდება, ამასთან იქაც კი, სადაც ეს სრულიადაც არ არის საჭირო. რამდენიმე მაგალითი: მოვალეობა მინდობილობის გაუქმების შესახებ აცნობს (მუხ. 71), სანოტარო კანტორა ამის შესახებ აცნობებს კრედიტორს (მუხ. 183), მოვალისათვის აცნობებს შეუტყობინებიათ მოთხოვნის დათმობის შესახებ (მუხ. 267), სარჩელის ხელშეკრულების პირობების საგან ისეთი გადახვევების შესახებ, რამაც ნამუშევარი გააუარესა(,) ან ნამუშევრის სხვა ნაკლის შესახებ შენიღვება აღიბრას... (მუხ. 354) და სხვ. პირველ წინადადებაში შესახებ ზედმეტია, უნდა: გაუარესებ აცნობოს. მეორე შემთხვევაშიც შესახებ ამოსახატავია, სამაგიეროდ იქნება: ამას აცნობებს. შეიძლება უნდა იყოს: მოთხოვნის დათმობა. უკანასკნელი ფრაზა საერთოდ უხეროდა შედგენილი, სასწრაფო

შანი აკლია, ორი შესახების ნაცვლად ერთგან მიინც შეიძლებოდა თათბაზე ან გამო.

ამგვარი მავალითი კოდექსში ბევრია, რაც სტილს აუშნოებს. ჩვენ საერთოდ არ ვილაშქრებთ შესახებ — სიტყვის წინააღმდეგ, მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს მიუხედავად.

ასევე უმართებულოდ იხმარება ბევრგან გარე-
 შე — სიტყვა: სხვისი შრომის გამოყენების გარეშე (მუხ. 130), წინასწარი გაფრთხილების გარეშე (მუხ. 138), ორგანიზაციის თანხმობის გარეშე (მუხ. 386), ავტორის ნებადართვის გარეშე (მუხ. 503) და სხვ. რა თქმა უნდა, აჯობებდა: სხვისი შრომის გამოყენებლად, წინასწარ გაფრთხილებლად, ორგანიზაციის თანხმობის მიუღებლად, ავტორის ნებადართვებლად.

ჩვენი კოდექსის ტექსტში არეულია მხოლოდობითი და მრავლობითი ბრუნვის ხმარება. უკვე გვქონდა ლაპარაკი ურთიერთობასა და ურთიერთობებზე. დავასახელოთ კიდევ ორიოდე მავალითი: სადაც სანოტარო ორგანო არ არის (მუხ. 564), სადაც სანატარო ორგანოები არ არის (მუხ. 565), გარიგების ფორმა (მუხ. 574), იქვე — გარიგების ფორმა (574), გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა (მუხ. 87), სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევაში (იქვე), სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში (მუხ. 560), სანოტარო მოქმედებას ასრულებს (მუხ. 567); კოდექსის 543-ე და 546-ე მუხლების წესით (მუხ. 61), ამ მუხლის წესები არ მოქმედებს (იქვე), გათვალისწინებულ (ი) გარემოებების გარდა (მუხ. 489), ავტორისაგან დამოუკიდებელი გარემოების გამო (მუხ. 528), საპაიო შესატანი (მუხ. 35), საპაიო შესატანები (იქვე), კანონით დაშვებული საფუძვლით (მუხ. 105), კანონით დაშვებული საფუძვლებით (იქვე) და სხვ.

ერთ შემთხვევაში მხოლოდობითი იხმარება, მეორეში კი — მრავლობითი არა იმიტომ, რომ ამას გრამატიკული წესები მოითხოვენ, არამედ ნებისმიერად, ყოველგვარი კანონზომიერების დაუხვევლად. ასეთი დაუღვერობა შეუწყნარებელია.

ქართულ ენას, როგორც ვიცით, აქვს ორნაირი მრავლობითი ბრუნვა: ებ — სუფიქსიანი და ნ — სუფიქსიანი. თუმცა თანამედროვე ქართულში პირველი მრავლობითი ძირითადი და გაბატონებულია, მაგრამ ნაირი ფორმაც არ არის ზედმეტი და მნიშვნელოვან როლს ასრულებს მეტყველებაში, რომლის კეთილშობიანებისათვის იგი ზოგჯერ ფრიად საჭიროა. კოდექსის ტექსტში მრავლობითი ბრუნვის ორივე ფორმა ვხვდებით, ოღონდ მეორე მრავლობითი საკმაოდ

და ჯეროვნად ვერ არის გამოყენებული. რამდენიმე მავალითი: სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების საფუძვლები (მუხ. 4), სამოქალაქო უფლებების განხორციელება და მოვალეობების შესრულება (მუხ. 5), ვალდებულებების უზრუნველყოფის სახეობები (მუხ. 184), ხელშეკრულების პირობების შეცვლა (მუხ. 273), ენახებათ უფლებები და ეკისრებათ მოვალეობები (მუხ. 302), მომსახურების ცალკეული სახეობების მიხედვით (მუხ. 360) და მრავალი სხვა.

უსათუოდ აჯობებდა: სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა საფუძვლები, სამოქალაქო უფლებათა განხორციელება და მოვალეობათა შესრულება, ვალდებულებათა უზრუნველყოფის სახეობანი; ხელშეკრულებათა პირობების შეცვლა; ენახებათ უფლებები და ეკისრებათ მოვალეობანი; მომსახურების ცალკეულ სახეობათა მიხედვით.

ნურავის ჰგონია, რომ მეტყველებისათვის ეს წერილმანი იყოს. ფრაზის ადვილად გამოთქმის მიზნით და კეთილშობიანების მისაღწევად ენაში არსებული ყველა რესურსი სავსებით უნდა გამოვიყენოთ.

ქართულ ენას, ისევე როგორც ყოველ სხვა განვითარებულ, კულტურულ ენას, პუნქტუაციის მტკიცედ დადგენილი წესები გააჩნია. ამ ანბანური ტექსტების გასსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ ეს წესები ძალიან ხშირად დარღვეულია კოდექსის ტექსტში, რაც აბუნდოვანებს აზრს და ზოგჯერ ამახინჯებს კიდევ. სათანადო ადგილების მოყვანა აქ ბევრ ადგილს დაიკავებდა და ზედმეტადაც მიგვაჩნია. ჩვენ ჩამოვთვლით მუხლებს, სადაც სასენი ნიშნები აკლია ან თავის ადგილას არ არის დასმული. აი ეს მუხლები: 2, 4, 9, 11, 12, 13, 14 15, 21, 24, 35, 37, 49, 51, 52, 53, 54, 57, 60, 71, 82, 98, 99, 103, 106, 109, 116, 122, 124, 141, 142, 148, 150, 160, 162, 165, 178, 179, 185, 202, 205, 210, 212, 213, 214, 217, 219, 225, 231, 240, 257, 302, 313, 321, 326, 328, 333, 338, 339, 341, 342, 348, 355, 357, 358, 360, 364, 365, 369, 377, 392, 405, 417, 429, 440, 444, 462, 470, 471, 473, 478, 483, 484, 487, 490, 492, 493, 504, 507, 512, 514, 523, 542, 551, 556, 552, 564, 565, 567.

ვერ ვიტყვი, რომ პუნქტუაციის დარღვევის ყველა შემთხვევა აღენუსნეთ. ეს არც შეადგენდა ჩვენს ამოცანას. აგრეთვე არ აღგინიშნავს ბევრი სტილისტური თუ ორთოგრაფიული შეცდომა. ჩვენი მიზანი იყო მხოლოდ გვეჩვენებინა, რომ საჭიროა კოდექსის ენის უფრო საფუძვლიანად დამუშავება, გამართვა და დახვეწა.

ბ. კვარაცხელია.



მ ო თ ხ რ ო ბ ა

1.

ამასწინათ ერთ სვანურ ოჯახში მომხი-
და ღამის გათევა. სხვა უთვალავ ფოტო-
სურათებს შორის მე მიჩვენეს ერთი დარ-
ბაისელი ქართველი ქალის პორტრეტი. არ
მიყვარ: უცნობთა ფოტოსურათები. მაგრამ
ამ ქალის სხეს ამკობდა რაღაც მადლი, რა-
ღაც ამაღლებული — ის, რაც ყველას აქვს,
და დამატებით ისიც, რაც მხოლოდ გამონაკ-
ლისებს აქვთ. ამიტომ მე მას დიდხანს სი-
ამოვნებთ შევცქეროდი. ეს იყო სახე მშვი-
დი, ამაყი, მდუმარე. ამ ქალის ჭადარა თმე-
ბი მწუხრის მზის სხივებივით ცახცახებდნენ
კლასიკური ქართული შუბლის ვარშემო, და
მისი ნათელი თვალები გამოხატავდნენ სი-
ოცნის დაუსაბამო სიყვარულს.

ასეთი ყოფილა ის სამოცი წლის ასაკში.
ეჭვი არ არის, უმანკობის ნათელ დღეებში
მას მადონას ნატურად აიჩვენებდა რომელიმე
დიდოსტატი, ხოლო სანაქებო ვეროპულ სა-
ლონებში ერთი გამოჩენით დაჩრდილავდა
მარკაზის ქალებს ეს უბრალო სვანი გლე-
ხის ქალი, ქართველი ქალი, რომელსაც ას-
წლოვანი მაჩუბის დამურულ თაღებს ქვეშ
ღირსებით უტარებია პატიოსნების შეურც-
ხვეწელი მანდილი.

— ამ ქალს დაგა ერქვა, — მეუბნება ჩე-
მი ახლო მეგობარი, მილიციის გამოცდილი
მუშაკი ჯგებე... — როგორც ვხედავ, მოგ-
წონს ეს სახე. მართლაც, ურიგო არ ყოფილა
სუმაშერთა ძველი ოჯახის უკანასკნელი
ასული. ჟამთა სიავემ ვერ დაღარაო მისი
სახე ქალიშვილობაში. მერე ის მოესწრო
შვილების ბედნიერებას და... უბედურება-
საც. თუ გაგიგონია, ის 1942 წლის შემოდ-

გომაზე მოკლეს სოფელ ქედანში. მასთან
ერთად დაიღუპა...

— აჰ, ქედანში? ახლა ჩემთვის ყველა-
ფერი ნათელია!

— ნუთუ ყველაფერი? — გაიღიმა ჯე-
ბემ.

— არა, მკვლევებზე არაფერი მსმენია
განა მკაცრად დასაჯეს?

— რომ დასაჯონ, საამისოდ ჯერ საჭი-
როა მათი პოვნა, — ყრუდ ჩაილაპარაკა
ჯგებემ.

— ნუთუ არაფრის იმედი არ არის?

ჯგებეს დიდხანს არაფერი უთქვამს. იღდა
შუაცეცხლთან და ნაღვერდალს ჩასცქერო-
და. არც მოუშორებია ცეცხლისთვის თვა-
ლები, შუბლი შეიკრა და მტკიცედ თქვა:

— იმედი მუდამ არის, ოღონდ მას მიე-
ნება უნდა, ეს კი ყოველთვის იოლი გზით
არ ხერხდება. უიმედობა — უსუსურობაა
დიდი ხანია ამაზე ვფიქრობ, დავეძებ საჭი-
რო ცნობებს, დეტალებს ვაკვირდები. და მ-
მაქვს უკვე ზოგიერთი საბუთი თუ მოსაზრე-
ბა, რაც საკმარისი იქნებოდა შერლოკ ჰოლ-
მისათვის... მაგრამ რატომ არ შეიძლება
რომ ისინი საკმარისი იყოს ჩვენთვისაც?
მგონია, რომ საქმეში ბევრი რამ არის ნა-
თელი, საჭიროა მხოლოდ დაკვირვება და
დაჟინება. — დაუმატა მცირე ფიქრი
შემდეგ, და ჩვენმა მუშაკებმა ხელი ჩაიქნა-
ეს მაშინ, როცა ის აღტაცებით შუბლზე
უნდა შემოეკრათ. მაგრამ იქნებ ჩემი მო-
საზრებაც არაა საკმაოდ სანდო და სრულ-
აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. ჩაწერე მ-
ინც ის, რაც მე ვიცი, იქნებ ფანტაზიამ შე-
ქი მოჰფინოს უდავო დეტალებს შორის
დარჩენილ სიცარიელეს. იქნება ვცდები?!

საინტერესო მოთხრობის მოლოდინში

2.

ისევ სურათს დავაცქერდი. ჭაღარა ქალი თითქოს ბაგეების წყნარი რხევით მეუბნებოდა: „ეძიეთ! სიმართლე არც ისე შორსაა, როგორც გეჩვენებათ.“

და მე შემობრუნდი სინანულის გრძნობამ, მერე ის ბრახის განცდად იქცა, და ბოლოს ჩემში გაიღვიძა ცნობილმა გრძნობამ — სინდისის ქენჯნამ.


უნდა დაიწეროს უაზროდ დაღუპულთა ტანჯვის ამბავი, მათი არაბუნებრივი აღსასრული, ვერაგთა ხელით ადამიანთა დაცემის ყოველი ამადლეღვებელი შემთხვევა. აი, ერთი მათგანიც, გადაგვარებულ ადამიანთა მხეცური მიდრეკილების საზარელი აქტი. ფაქტი დაღადებს, ხუთმეტრი წელია ჩურჩულებს მოხუცი, მოკვდინებული ქალის ერთადერთი გადარჩენილი პორტრეტი: „ეძიეთ! სიმართლე არც ისე შორსაა, როგორც გგონიათ.“

ღიას, სიმართლის პოვნა შეიძლება. მოკლეს პატიოსანი, ალალმართალი ადამიანები, ამოწვევითეს ოჯახი, მოხუცებულ ქალსა და აკვნის ბავშვს მზე დაუბნელეს უცნობმა მონსტრებმა, და თვითონ კი დღემდე შეჭხარიან მხეს, რომლის ღირსიც არასოდეს ყოფილან.

უმანკო სისხლი დაღადებს. დაუსჯელი დანაშაული ტვირთად აწვება ცოცხლად დარჩენილთა სინდისს.

ფიქრობდი ამაზე და ჩემს არსებას უფროდაუფრო ეუფლებოდა მოუსვენრობა, სინდისის ქენჯნა უსაშველოდ განწირულთა, დასახიჩრებულთა, დამარხული ქალებისა და ბავშვების წინაშე. ამ უჩვეულო გრძნობის კარნახით ჩავწერე ყველა დეტალი, რაც კი ქედანის ტრაგედიის შესასებ ჯგებემ მიაპრო ან სხვა გზით ჩემთვის მისაწვდომი გახდა. იქნება ამ დეტალებიდან გონებასხეილმა ადამიანებმა უფრო პრაქტიკული დასკვნები გააკეთონ და მოიხადონ მოქალაქეობრივი ვალი იარაღით ჩაჩუმებულ უმწყო ადამიანთა ხსოვნის წინაშე.

1942 წლის შემოდგომაზე სოფელ ქედანში გაუგონარი ტრაგედია დატრიალდა. უცნობი პირები შეიჭრნენ განმარტოებით მდგომ სახლში და მთელი ოჯახი ამოჟლიტეს. თავგაჩეხილი მოხუცი ქალი, ტყვიით მკერდგახვრეტილი მისი ოცდაათი წლის შვილი, მუცელგამოფატრული ფეხმძიმე ასული და აკვნაში ნაჯახით თავგაპობილი შვილიშვილი, — ასეთია ამ ტრაგედიის ფინალი. ყველანი, ბავშვის გარდა, შუაცეცხლის წინ დახვავებულ ბზეში დაეშალათ, შემოდან ბზე დაეყარათ და ცეცხლი წაეკიდებინათ, მაგრამ ცეცხლი მალე ჩამქრალიყო, და პირველსავე მნახველს, რომელმაც ურდულით ჩაკეტილი კარები გაჭირვებით გააღო, თვალწინ დაუდგა ბუფსა და პურის მარც-



ვალში არეული დასახიჩრებული, ნაწამები სახეები. თითქოს თვით ცეცხლი არ მიეკარათ, და შეუბრალებელმა ხანძარმა უკან დაიხია უდანაშაულო ადამიანთა გვამების წინაშე. „რისთვის?“ — ამბობდა ბავშვის ბაგე.

3.

ქედანი პატარა სოფელია, მესტიისა და ზუგდიდის შუაგზაზე მდებარეობს. სამანქანო გზიდან შვიდ კილომეტრამდე დაშო-



რებული, სადღაც მთებსა და ხეობებში გადაკარგული მარადმწვანე ქედანი დედამიწის ერთი იმ კუთხეთაგანია, სადღაც უცხო ადამიანის შეჭრა ჩვენს საუკუნეშიაც კი გაოცებას იწვევს. არსად არ არის ისეთი წყალი, ასეთი ჰაერი. მაგრამ ის შორსაა, სადღაც არწივეთში იკარგება ამ სოფლის თავი. პირველად აქ ჩასულს რაღაც იდილიური ელდა მოიცავს და ორიდან ერთი განცდა ეუფლება: ან დარჩეს აქ სამუდამოდ, ან ახლავე გაიქცეს, რომ ყრუ დუმილმა არ შთანთქას სამარადისოდ, და ფოთლების შრიალმა თავდავიწყებაში არ ჩააგდოს ოდისევესივით.

მდიდარი ფანტაზია უნდა ჰქონოდა მონადირეს, რომელიც აქ პირველად მივიდა, ლტოლვილი ქედანი ისრით განგმირა, ცეცხლი გააჩალა და თქვა: „აქ ჩაიყრება ახალი ფუძე, აშენდება სოფელი, და იქნება სახელი მისი ქედანი“.

ვინ იცის, მერამდენე თაობა იგონებს ახლა წინაპრის ნადირობას. ლეგენდა საიდუმლოების ბურუსში ახვევს თავის ასაკს... ამითა ჰგავს ლეგენდა ქალს.

4.

მაგრამ მოგონებებს ფერფლი გადაეფარა. ქვემთა ქუხილმა შეაზანზარა ქედანის ხეობაც. სამამულო ომში წავიდნენ ქედანელი ჭაბუკები, კავკასიონის მისადგომები ჩაუკეტეს გადამთიელებს. სოფელში ისედაც სულ ათიოდე მამაკაცი იყო, ახლა ის თითქმის დაცარიელდა, და შინ დარჩენილებს დედისავით ევლება თავს ერთადერთი მოხუცი, სამოცდაათი წლის დაგა, სუმაშერთა ძველი ოჯახის უკანასკნელი ასული.

დაგას უხსოვარ დროს დაეღუპა ჯერ შვილი, მერე ქმარი, ძმა, — ასე ეჩვენებოდა მას. შვილს დავითი ერქვა, ისიც ავანაკებმა იმსხვერპლეს. ჯვარის კოშკთან მიდიოდა თურმე ოჯახის ბურჯი და ენგურის პირას შემოაღამდა. ეს იყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

— ვინ მოდის? — მოესმა უცნობის ხმა სიბნელიდან.

— მე ვარ, დავითი, — იყო პასუხი.

— დავითი? მაშ დღეიდან გვაში იქნები, — მოისმა უცნობის პასუხი. იჭექა თოფმა და დავითი განგმირული დაეცა. მოხუცმა მაკუმ, დაგას ქმარმა, ხელში სიათა აიღო, იპოვნა მისი მგელელი — მეჯოგე ჯოგო, და სიცოცხლეს გამოასაღმა. არეული დრო იყო მაშინ... მალე მას შემდეგ მაკუც დაიღუპა — ზვავმა გადაიტანა ჯიხვთან ერთად, რომელიც ზურგით მოქონდა ბერიკაცს.

ქვრივი ქალი ვაჟკაცურად გაუძღვა ოჯახს და ობლობა არ აგრძნობინა დარჩენილ შვილებს. შინ თუ გარეთ, ოჯახში თუ ყანაში, ჯარასავით ტრიალებდა დაუშრომელი ჭაღარა ქალი, და ჟამთასვლა დიდის გაჭირვებით დარავდა მის ცეცხლოვან სახეს. ქედს არ იხრის, ჯიუტობს ჭარმაგი დედა. ან რა დააბერებს, როცა ამდენი საქმეა და გამრჯე ხელების ასეთი ნაკლებობა! უმცროსი შვილი ლევანი საბჭოთა არმიის ნაწილებს ეხმარება კავკასიის მისადგომებთან. არჩვივით მარდი და მამასავით გამოცდილი ჭაბუკი ფასდაუდებელი მეგზურია ნაპრალსა და ზეცას შორის გაბმულ სახიფათო ბილიკებზე, მრავალი სიცოცხლე გადაურჩენია ყინულოვან სამარხთა შორის. ეს რამდენიმე დღეა, რაც შინ დაბრუნდა და ახალი ლაშქრობისათვის ემზადება, როგორც კი უღელტეხილზე მყოფი გუძი შინ დაბრუნდება, მას ლევანი შეენაცვლება. გუძი დაგას სიძეა, მისი ასულის ქმარი. ერთ დროს მან დანაშაული ჩაიღინა და ამისათვის საპატიმროში იჯდა. როგორღაც ერთხელ მილიციის თანამშრომელმა კაბუმ, რომელმაც გაღმა შეგდმო მუავე წყალზე გაიყვანა, უკმეხად მიმართა: შენისთანები აქ ბევრი მიცვაკვებია!“

გუძი ფიცხი სვანია, ასეთ წყენას როგორ აიტანს! ენაზე იკბინა, დაჩუმდა, რადგანაც ვაჟკაცია და შეუძლია დრომდე დუმილი, ჯავრის დაოკება და თავის დაჭერა. წყაროსთან რომ მივიდნენ, აუჩქარებლად დაისარა, ვედრო წყლით აავსო, მერე ელვის სისწრაფით აღიმართა, კაბუს თავზე გადააპირქვა, ქვეით თავი გაუტეხა და ტყეს შეერია,

შემდეგ კი თავისივე სურვილით გამოცხადდა განყოფილებაში — დამნაშავე ვართ, აღიარა. შეურაცხყოფა რომ არ მოეყენებინა, ტყუილად ეს არ მომივიდოდაო. სასჯელი პირნათლად მოიხადა, ისევე საქმიან ადამიანთა რიგში ჩადგა და ყოველნაირად ცდილობდა ჩადენილი დანაშაული პატიოსანი შრომით გამოესყიდა. არა, გუძი გამოსწორდა. ხომ შეიძლება ადამიანი გამოსწორდეს! სიფიცხის წუთებში დაღვრილი სისხლიც გამოსისყიდა: პირისპირ შეეყარა, ხანჯლით განგმირა სამშობლოს მოღალატე, ვინც მტერს გზას უჩვენებდა. „შენთვისაც დაიმზადეთ კუბო!“ — დაემუქრა მურთაზა, საიდანღაც გადმოხვეწილი უსაქმური, ძმასთან ერთად რომ შეივროდომა სოფელმა და კერა გაუჩინა. არაერთხელ ჩაუგდია გუძის მას შემდეგ საფრთხეში თავი, არაერთი მეგრძოლი გადაურჩენია მასაც, და აგერ ახლაც უღელტეხილზეა, მოუთმენლად ელის დუშა, მოსიყვარულე მეუღლე, რომელსაც ასე დაუბრა: თუ შინ ვერ დავბრუნდე, ახალშობილს ჩემი სახელი დაარქვიო. მერე რა ძნელია ლოდინი, როცა ქმარი საფრთხეშია და სამშობლოც განსაცდელში!

...1942 წლის ქარიანი შემდგომის საღამოა.

დაგამ ძროხები მოწველა, რძე ქვაბში ჩაწურა და მოსადუღებლად ქვაბი ნაჭაზე დაპკიდა. დუშამ ბავშვი აკვანში ჩააწვინა — სვანეთში ორ წლამდე აწვეწვენ ბავშვებს აკვანში, ასე უკეთ ისვენებსო ყმაწვილი. ლევანი მუჯუროსათვის იფნის ჯოხის გათლას ამთავრებს. მუჯურთ აუცილებელია თოვლიან მთებში.

ყველანი ერთ ფიქრს მოუცავს: რა მდგომარეობაა დღეს უღელტეხილზე? სად არიან გერმანელები? საფრთხე ხომ არ შეემთხვა გუძის? დაგა მალე ლობიოს მარცვლებს გაშლის სამფხვს სუფრაზე და ჩურჩულით იტყვის: „თუ ჩემი გუძი მშვიდობით იყოს“... შემდეგ არავინ იცის, რას იტყვის ჭადარა ქალი, რადგანაც ეს სიტყვები საიდუმლოა. დაგა ლობიოს მარცვლებით

ცდილობს მისწვდეს მიუწვდომელს. მამრანაირად გაიგოს ახალი, უცნობი ამბავი? გაზეთი აქ არ აღწევს და ადამიანი თვეში ერთხელ თუ ამოივლის. აი, რა დუმილია, ადამიანს აქ რა უნდა!

თუმცა ეს ხომ ადამიანებია? ძალი თაგამებტებით ეცემა უცნობებს. ვიღაცამ ჯოხი ესროლა. ძალი წკავწკავით საბძელს აფარებს თავს. სასლში შემოდინ უცნობი ადამიანები. თავით ფეხამდე იარაღში ჩამჯდარან. მეგრძოლთა სამოსელში არიან გამოწყობილი, ხმას არ იღებენ, გარშემო ყველაფერს საეჭვოდ ათვალეიერებენ. სულ სამინ არიან.

ვინ უნდა იყონ?

რძე უკვე აღუდდა. სტუმართმოყვარე ოჯახში სუფრა ყველასათვის იშლება. უსიტყვოდ ასხამს დაგა ხის ჯამებში რძეს, შეაცეცხლის ნაკვერცხალზე ათბობს მჭადს და ღიმილით უმასპინძლდება მეგრძოლებს, რომლებიც პირქუში დუმილით უხდიან მადლობას.

„რატომ სდუმან? — ფიქრობს დაგა. — თუმცა არ ეძრახვიო, დაქანცულები იქნებიან. ომი ძროხების წველა როდია.“ მაგრამ იგივე აზრი მაინც თავში უტრიალებს: „არა, მაინც რატომ სდუმან?“

უკვე დადამებული იყო, როცა სამივე უცნობი ადგა და უსიტყვოდ წავიდა. საოცარი სტუმრობაა.

მშვიდობიანი დილა გათენდა, ნათელი, მზიანი: ქვემესთა ქუხილი აღარ ისმოდა. დაგა სინარულით ცას ეწია ადამიანთა განწყობა ხშირად უბრალო შემთხვევითობაზეა დამოკიდებული: ქვემესთი არ გუგუნებს, მაშასადამე ბრძოლა შეწყდა, ომი აღარ არის!

შუადღისას უფროსი ასული ფატი ამოვიდა დაბლა სოფლიდან, საღამომდე დედასთან დარჩა. რამდენი იხუმრეს! წასასვლელად რომ წამოდგა, შეფიქრიანებულმა დაგამ უთხრა:

— დარჩი, შვილო, რაღაც გული მეკუმშება: „წუხელ ვიღაც უცნობები მოვიდნენ, საეჭვოდ ათვალეიერებდნენ ყველაფერს და

უსიტყვოდ წავიდნენ. მეშინია, ვაი თუ დღესაც დაბრუნდნენ!

— ვინ უნდა ყოფილიყვნენ? — შეშფოთდა ფატი. — რა ვქნა, დედა, დავრჩებოდი, მაგრამ ბავშვი იტირებს, ვიცი, მთელი დამე იტირებს...

— პო, წადი, შვილო, ბავშვს მოუარე, — სწრაფად ჩაილაპარაკა მოხუცმა ქალმა, თითქოს ინანა, რომ ვინმე თხოვნით შეაწუხა. ის ყოველთვის გაურბოდა სხვის შეწუხებას და არასოდეს არ სთხოვდა თუნდაც დვიძღ შვილ იმის გაკეთებას, რასაც თვითონვე მოერეოდა.

5.

გვიან დამე იყო. ჩქამი არ ისმოდა, მხოლოდ რომელიღაც მკალების გაუთავებელი „ტრრრ! ტრრრ!“ არღვევდა ჯაღოსნურ დუმილს, მთის დუმილს. უეცრად ქედანის ხეობა ქალის შემზარავამა კვილიმა შესძრა, მაგრამ ის არავის გაუგონია. მკალი მხოლოდ ერთი წუთით, ერთი წამით წყვეტს თავის ათასწლოვან მუსიკას და შემდეგ ისევ განაგრძობს იმის ნიშნად, რომ ჟამთა-სვლის ეტლი თავისი გზით მიდის. და პატარა შემთხვევები წუთითაც ვერ აფერხებენ მის სვლას, ისევე როგორც ვერ აფერხებს საოკეანო ხომალდს გზად შეხვედრილი მილიონობით თევზი.

გავიდა რამდენიმე წუთი. მთებში თოფმა იჭექა, მაგრამ მისი ხმა მხოლოდ მთებმა გაიგონეს, გაღმა სოფელში კი იფიქრეს — დათვს ესროლესო სიშინლის ყანაში.

...ტრაგედიის ადგილზე არც ერთი ცოცხალი არსება არ დარჩენილა — არც თავდამსხმელთაგან, არც მსხვერპლთაგან, ამიტომ მისი მსგელობის შესახებ მხოლოდ ვარაუდი შეიძლება. დილით ქვემო სოფლიდან შორეული მეზობელი ამოვიდა. როცა შენიშნა, რომ დაგას სახლიდან კვამლი არ ამოდოდა, შუბლი შეიკრა: „რა ამბავი იქნება ისეთი, რომ დაგას ცეცხლი არ აუნთია?“ — გაიფიქრთა და სახლთან მივიდა. კარები ჩარაზული აღმოჩნდა. ძლივს მო-

ახერხა ურდულის გადაწევა — გამოცდილ ხელს კარი შიგნიდან ჩაეკეტა. ბევრი ცდის შემდეგ მუხის მძიმე კარი ჭრიალით გაიღო. მუხის სხივი პირველად ჩამქრალ კერიას მოხვდა. მაგრამ კერიაც ცივი იყო და შემოდგომის მუხის ალმაცერი სხივიც. შესცივდა სხივს, ათრთოლდა და ბზეს მიანათა...

სანახაობა საზარელი იყო. სიკვდილი, სიბნელე, პარტახი გამეფებულიყო საუცხოოდ მოვლილი ოჯახის წიადში ერთი დამის განმავლობაში. სიგიჟე ერთი დაკვრით სპობს იმას, რაც ადამიანის გამრჯე მარჯვენას წლების მანძილზე შეუქმნია.

ეტყობოდა, დედისთვის კერიასთან გაენებათ თავი. ხმაურზე შემოჭრილიყო ლევანი, რომელსაც საბძელში თივაზე გაშლილ ლოგინში ეძინა, და ის გონს მოსვლამდე კარებშივე დაეხვრიტათ. დუშა როგორღაც გაქცეულიყო, — მისი თავშალი ფარების მიღმა ყანაში იპოვნეს — და იქიდან თმით შემოეთრიათ. რბილ მიწაზე აშკარად ჩანდა მძიმე სხეულის დათრევის კვალი. სახლში ფეხმძიმე ქალს ავაზაკები იოლად გაუსწორდნენ: თავი გაუპეს და მერე მონღოლთა წესით მუცელი გამოუფატრეს. გადაგვარებული ადამიანი იოლად იღებს მტარვალთა მეთოდებს. გვამები ბზეში ჩამარხეს და ცეცხლი წაუკიდეს, მაგრამ თვით ცეცხლი შეცხცხდა დასახიჩრებულ ადამიანთა წმინდა გვამების წინაშე. მაშინ ავაზაკებმა თავი მიანებეს, ასედაც არსად გაიქცევიანო, და ხელი მიჰყვეს სისხლიან ვახშმობას. მათ უხვად ჰქონდათ სისხლი და არაყი.

ამაზრუნე იყო ეს სანახაობა, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც შეურაცხყოფდა ადამიანის თვალს გვერდზე მიქცეული აკვანი, რომელშიაც თავგაჩენილი ყმაწვილი იწვა. იწვა და აღარ ტიროდა. სიცოცხლეშიაც არ იცოდა თურმე ტირილი. სახეზე დასთამაშებდა პირველი სხივი — სხივი და უმანკო ღიმილი, რაც ასე ნაადრევად წაართვეს. არავითარი პოეზიის მოშველიება არაა საჭირო. არტახებში თავგაპობილი ბავშვი იწვა. ამას ყველა წარმოიდგენს.

სისხლიანი ნადიმი დასრულდა. ახლა

იწყებოდა მკვლელთა ღრეობა. უმძიმესი სკა შეურჩევიათ, შინ შეუტანიათ, ფუტკარი დაუხრჩვიათ და თაფლი შეუჭამიათ; ხბო დაუკლავთ და ადამიანთა სისხლით დალაქული ხელებით მსუქანი ხორცი მიურთმევიათ; ანწლის არაყით საესე დოქი უპოვნიათ და პირდაპირ დოქიდან უსვამთ, თვით დოქისათვის კი პატივი უციათ და მთელი დაუტოვებიათ.

შემდეგ მათი კვალი გაქრა. მილიციის ორგანოები დაჟინებით ეძებდნენ, მაგრამ ამოდ. დადიოდა ხმა, რომ დაგას ქმრის მაკუს მიერ მოკლულ ჯოგოს ნათესავებმა იძიეს შური მაკუს შემკვიდრებზეო. ზოგი ამბობდა, გადამთიელი ბანდიტები იქნებოდნენო, ზოგი კი დევ: რომელიდაც სამხედროებთან, ალბათ დეზერტირებთან, მოსვლიათ უთანხმოება, და მათ ამოწყვიტესო. გაორდა ხმები, აჭრულდა ვარაუდების რიცხვი, და მათ ბურუსში სიმართლეს ფერფლი გადაეფარა.

სიმართლე კი თითქოს მარტივად იხსნება. ჯვებეს და საქმით დაინტერესებულ სხვა პირთა ვარაუდები თითქოს ანგარიშგასაწევია. მიუვალი ქედანის მიდამოების ასე ზემიწვევით ცოდნა, რომ დღითა და ღამით მის ბილიკებზე გზა არ აებნათ; ურდულის შიგნიდან გაყრა და ჭერზე გაკეთებული თივის ჩამოსაყრელი ჭრილიდან აძვრომა; სკის დახრჩობა და დოქიდან ანწლის არაყის სმა, — ესა და სხვა მრავალი მიგნებული თუ მიუგნებელი დეტალი აშკარად მოწმობს, რომ მკვლევები უნდა ყოფილიყვნენ მოკლული მოღალატის თანამზრახველები, რომელთაც ზედმიწევნით შეესწავლათ სვანთა წესები, ადგილობრივი პირობები. აქ კაცთმოძულე, გამოცდილი მტრის ხელი ერია და თან ვერაგის: აქაო და სვანი ვარო, შური ვიძიეო. არა, სვანი ამას არ ჩაიდენდა. დასაბამიდან არ ყოფილა მსგავსი ამბავი, რომ ბუნების მიამიტ შვილს ამაყსა და კაცთმოყვარე სვანს გაეთელა ლეჩაქის ღირსება, დედის ჭადარა, ბავშვის უმანკობა და ასეთი სატანური დანაშაული

ჩაიდინა. დედა რომ კვდება, მიწა გმინავსო, იტყვიან სვანეთში.

საგულისხმოა ერთი ასეთი დეტალიც: ჯერ თაფლი ეჭამათ, შემდეგ კი ხორცი და არაყი მიურთმევიათ (ამას მოწმობდა ფიჭებსა და სკის ნალეწებზე შემოდან დაყრილი ძვლები, დოქი და სხვა საგნები). ასე მოიქცეოდა მხოლოდ ველური, გადაგვარებული კაცი, რომელსაც სუფრასე ქცევის ელემენტარული წესებიც კი არ ეუწყებოდა. ეს თითქოს ამავრებს იმავე ვარაუდს, რომ მკვლელობა სვანებს ჩაუდენიათ, მაგრამ საქმის მთელი არსი მოწმობს, რომ ეს თვალის ასახვევად შექმნილი სურათია.

ჭეშმარიტად, რაღაც ჯოჯოხეთური ღვარძლი უნდა ჰქონოდა გულში ჩაგუბებული ადამიანს, რომელმაც ასე უმოწყალოდ ამოქლიტა მთელი ოჯახი. და ვის შეეძლო ჰქონოდა ასეთი ღვარძლი, თუ არა იმის ძმებს, ვისაც ოდესღაც გუძიმ, დაგას სიძემ, წამიერი სიფიცხის შემოტევის წუთებში თავი გაუტეხა? ქვეყნად არავის! მათ ფიცით ჰქონდათ ნათქვამი, რომ შურს იძიებდნენ, მაგრამ შორიდან მოუარეს, შესაფერის მომენტს დაუცადეს, და როდესაც ყველა რჩეული ვაჟკაცი კავკასიის მისადგომებს იცავდა, თვითონ შიგნით ოჯახში სისხლიან ბილიკებს დაადგენო. ასე ფიქრობდნენ მილიციის მუშაკები. მაგრამ ფაქტები? ჯვებე დუმდა.

იარალი მაშინ ყველას ჰქონდა. მებრძოლთა ტანისამოსის შოვნაც არ იყო ძნელი. დაგას ოთახში რომ პირველად მივიდნენ, მათ, ცხადია, კრინტი არ დასძრეს, რათა თავიანთი ვინაობა არ გაეცათ (მხოლოდ ორიოდ სიტყვა წარმოსთქვეს — სვანურადო, როგორც ფატის უთხრა დაგამ, მაგრამ მოხუცმა ქალმა რა იცოდა, რომ ეს განზრახ გაკეთებული მანევრი იყო!) ხმები კი შემდეგ თვითონ დაყარეს, როგორც მათთვის ხელსაყრელი იყო. რა ხმები?

თურმე იმ ხანებში ერთ-ერთ სოფელში ორი მეზობელი ცხარედ დავობდა რაღაც სამეურნეო საკითხებზე, რაშიაც ვერ მორი-

გდნენ. ერთმა მათგანმა ვერ მოითმინა და მეორეს მიახალა:

— მე ნუ კი მედავები, შენ იმას მიხედე, ძმა რომ ლამის მოგიკლეს და ის კაცი დღესაც არხეინად დასეირნობს.

— ძმა თუ მომიკლეს, მე სამაგიეროდ მთელი ოჯახი ამოვწყვიტე! — იყო პასუხი.

— ოჯახი კი ამოვწყვიტე, მაგრამ ისევ უდანაშაულო ადამიანებს დაუბნელე მზე, თვითონ მას კი ბუზიც ვერ აუფრინე...

მკითხველს მოვაგონებთ: მთელი ეს დიალოგი მტრის შეთხზულია. ჯვებე და მილიციის სხვა მუშაკები სწორად მოიქცნენ, როცა ამ ანკესზე არ წამოეგნენ და უდანაშაულო ადამიანებს არ ჩაავლეს ხელი. დამნაშავის მიგნება დამსახურებაა, მაგრამ დამსახურებაზე მეტია ის, რომ არ დასაჯო მართალი კაცი.

არ ვიცით, რით დასრულდა შემდეგ მათი დავა. თითქოს ესეც საკმარისია, რაც ითქვა. ამ საუბარს რამდენიმე პირმა მოუსმინა, და საიდუმლოს თითქოს ფარდა აეხადა, მაგრამ მიცვალებულნი სდუმან, ცოცხალთაგან კი არავინ ცდილა სინამდვილესთან უფრო ახლო მისულიყო.

* * *

— რატომ არ შეიპყრობთ მკვლელს? — ვკითხე ჯვებეს.

— რომელ მკვლელსო? — იღიმება ნაძალადევად.

— კაბუს ძმას.

— თქვენ რაღაც გეშლებათ, — ამბობს ცივად და უხალისოდ. — მკვლელია არა კაბუს, არამედ მეორის, ბრძოლაში მოკლულის, ვერაგი მსტოვრის ძმა თუ ქომაგი. ჩვენ ვცდებოდით! შევცდი! ეჭვი აღრევე მქონდა, მაგრამ არ გამიმხელია. ახლა ის გაქრა. დამასწრო. ძიება გრძელდება...

6.

ეს არის ყველაფერი, რაც ქედანის ტრაგედიის შესახებ ვიცით. ჩვენი მოთხრობის რიტმი მერყევია და უმდგრადი, როგორც გულის არითმია, ჩვენ არც გვიზრუნია ფორმის სინატიფისათვის, საზრუნავი აქ არის მხოლოდ დეტალების სიმართლე. დე, დაარღვიოს ამ ამბავმაც კაზმული ლიტერატურის დადგენილი ნორმები, როგორც მასში მოთხრობილი საზარელი ამბავი არღვევს წარმტაცი ცხოვრების მომხიბლავ ჰარმონიას, — ოღონდ კი ხელი შეუწყოს საიდუმლოებით მოცული მკვლელობისადმი ინტერესის აღძვრას, საქმის გახსნას, ვიდრე გვიან არ არის.

უდანაშაულოდ დადუპულთა სისხლი ტვირთად აწვება ცოცხლად დარჩენილთა სინდისს. საჭიროა ნიჭი, დაჟინება, ინიციატივა, მიგნება... ძიება გრძელდება.

ვინ დაწერს ქედანის ტრაგედიის ეპილოგს?

1954 წ.

გეგმად გააზოვი—იუჩისვი



გერცელ ბააზოვის ცნობილ დრამატურგსა და ნიჭიერ ბელეტრისტს, სახელგანთქმულ მთარგმნელსა და გამორჩენილ პუბლიცისტს ყველა როდი იცნობს, როგორც იურისტს.

გერცელ ბააზოვმა ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე (იგი დაიღუპა 34 წლის ასაკში) ინტენსიური შემოქმედებითი შრომის წყალობით მოასწრო შესამჩნევი კვალი დაეტოვებინა თავის სპეციალობაშიც — უანათლებელთა სომ იგი იურისტი იყო.

1927 წელს მან დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტის იურიდიული განყოფილება. ამის შემდეგ ერთხანს მოსამართლედ მუშაობდა, შემდეგ კი ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ რედაქციის მდივანად. 1928-1929 წლებში იგი ჟურნალ „საბჭოთა მშენებლობის“ პასუხისმგებელი მდივანია.

ისევე როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში თავის იურიდიულ შრომებშიც ბააზოვი აქტიურად ეხმარება დროის მწვავე სოციალურ პრობლემებს, კვალდაკვალ მისდევს ცხოვრების დინამიკას და ყოველთვის ახალისა და პროგრესულს მხარეზეა.

უაღრესად საინტერესო დასკვნებს ავითარებს გერცელ ბააზოვი ნიჭიერად დაწერილ სტატიაში „საბჭოთა კანონმდებლობის პენიტენციური პოლიტიკა“ (ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“ 1928 წ. № 2).

იგი მიმოიხილავს სასჯელის როლსა და მნიშვნელობას ბურჟუაზიულ სამართალში, სწორედ შენიშნავს, რომ ბევრ ბურჟუაზიულ ქვეყანაში კანონმდებლობა ფართოდ იყენებს სამუდამო პატიმრობას და დაასკვნის: „აქედან აშკარად ჩანს, რომ მათ კანონმდებლობაში სასჯელის მთავარი მიზანია დამნაშავეის დასჯა, სამაგიეროს გადახდა და შურისძიება“.

გერცელ ბააზოვი ახსნათებს საბჭოთა პენიტენციური პოლიტიკის პრინციპებს, ესალმება იმ ფაქტს, რომ „საბჭოთა ხელისუფლების უზენაესმა ორგანომ განამტკიცა რა შრომა — გასწორების კოდექსი სპეციალური საკანონმდებლო აქტით, ამით იგი გახდა ავტორიტეტული და სავალდებულო ყველა უწყებათათვის, ისე როგორც სისხლის სამართლის კოდექსი, რითაც კანონმდებლობამ მისცა ფართო გზა და გასაქანი პენიტენციური საქმის სათანადო მოწყობა-ორგანიზაციას“.

გერცელ ბააზოვი ენერგიულად მონაწილეობდა სოციალისტურ მშენებლობაში ქართველი ებრაელების ჩასაბმელად, განსაკუთრებით თავგამოდებით იბრძოდა იგი საკოლმეურნეო მოძრაობაში მშრომელი ებრაელების მიზიდვისათვის.

საკოლმეურნეო მოძრაობაში ქართველ ებრაელთა ჩაბმას მან მიუძღვნა შესანიშნავი პიესა „მუნჯები ალაპარაკდნენ“ და მოთხრობა „მემარიას უკანასკნელი სიტყვა“. ამ თემასვე ეძღვნება გერცელ ბააზოვის სტატიაც „მშრომელ ებრაელთა მიწათმოქმედობის საზოგადოება“ — „მემსია“, რომელიც „საბჭოთა სამართლის“ 1928 წლის ოცდამეორე ნომერში გამოქვეყნდა. აქ გერცელ ბააზოვი ახსნათებს „მემსის“ სამართლებრივ მდგომარეობას, მის მიზნებს, იმას, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ საზოგადოების საქმიანობისათვის ებრაელი ხალხის აქტიურ მხარდაჭერას.

საგნის ღრმა ცოდნითა და პოლიტიკური სიმახვილითაა დაწერილი გერცელ ბააზოვის წერილი „იუსტიციის ორგანოთა ამოცანები ანტისემიტისთან ბრძოლაში“. იგი „საბჭოთა სამართლის“ 1929 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა.

გერცელ ბააზოვი მეცნიერულ ანალიზს უკეთებს ანტისემიტისმის ისტორიულ ფესვებს. აღნიშნავს რომ რუსეთის იმპერიამ განსაკუთრებით ისახელა თავი ანტისემიტისმით — პოგრომების უწყვეტი სერიებით. ძველ დროს ყოველმხრივ უწყობდნენ



ხელს იმას, რომ ათასნაირი ცრურწმენის შენარჩუნებით, დაეთესათ მტრობა და სიძულელი ებრაელი ხალხის მიმართ. როგორც სწორად შენიშნავს გერცელ ბააზოვი ამ მიზანს ემსახურება ე. წ. „რიტუალის ლეგენდა“. ამ ლეგენდის მიხედვით ებრაელთა დღესასწაულის — პასექის წინ შემთხვევით ან საგანგებოდ თუ პატარა ბავშვი დაიკარგებოდა — ცრუმორწმუნენი ამას ებრაელებს აბრალებდნენ, რომლებიც თითქოს ბავშვებს იპარავდნენ პასექის რიტუალური საჭიროებისათვის სისხლის ამოღების მიზნით. მეცნიერული სიზუსტით დადგენილია, რომ არსად, არასდროს ებრაული რელიგია, ამ რელიგიის არც ერთი ძეგლი და არც ერთი სექტა არასდროს არ თვლიდა შესაძლებლად ქრისტიანის სისხლის აღებასა და მის გამოყენებას მისტიკური და რელიგიური მიზნებისათვის. თვით ებრაული რწმენიდან გადამდგარი ავტორიტეტები და ებრაული რელიგიის მოწინააღმდეგენი, მათ შორის რომის პაპებიც კი აღიარებენ, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობს, ებრაული რწმენის წარმომადგენლებს ბრალი დაედოთ ქრისტიანთაგან სისხლის აღების წესჩვეულებათაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ცარიზმის დროს კლერიკალური და ბნელი ძალები ამას იყენებდნენ თავიანთი შავი ზრახვების განსასოცებლად. თავის სტატიაში გერცელ ბააზოვი მიუთითებს სარა მოდებაძის ცნობილ პროცესზე, რომელიც 1879 წლის მარტში ჩატარდა. ამ პროცესით მეფის ხელისუფლებას სურდა სალხთა შორის სიძულელიის გაღვივება. 1878 წელს ებრაელთა პასექის დაწყებამდე ერთი დღით ადრე დაიკარგა გლეხის პატარა ქალიშვილი სარა იოსების ასული მოდებაძე, რომელიც ცხოვრობდა შორაპანთან ახლოს სოფელ პერევისაში. რამდენიმე დღის შემდეგ სოფლის ახლოს ნახეს ამ ბავშვის გვამი. ბავშვი დამხრჩავალიყო ძლიერი წვიმის დროს. შემთხვევის იმ დღეებში სოფლად გაუგლიათ საჩხერელ ებრაელებს და მიუხედავად საქმით ესპერტისის დასკვნისა ბავშვის დაღუპვის მიზეზების შესახებ, მეფის ხელისუფლებას მაინც საჭიროდ დაუნახავს პასუხისგებაში მიეცა 9 საჩხერელი ებრაელი. რა თქმა უნდა, თვით მეფის სასამართლო იძულებული გახდა მოესპო შეითხნელი საქმე. ეს როდი იყო ერთდარეობა და უკანასკნელი საქმე ინსცენირებული მეფის ხელისუფლების მიერ. იმპერიალისტური ომის დაწყების წინაპერიოდშიც მეფის ხელისუფლებამ კვიციმი მოაწყო ბეილისის ცნობილი რიტუალური პროცესი.

აქაც გამოაშკარავდა მშრომელთა მიძულე ხელისუფლების მიზანი — გაღვივებით ხალხთა შორის შუღლი და მტრობა. ვერც ერთ ამ პროცესში მეფის სასამართლომ ვერ ნახა „დამნაშავენი“. მეფის სასამართლოები ე. წ. რიტუალის საქმეებში ყოველთვის „ამართლებდნენ“ ებრაელებს, მაგრამ პასუხისგებაში როდი აძლევდნენ იმ პირებს, რომლებიც განზრახ ხელს უწყობდნენ ამ პროვოკაციის გაგრძელებას.

ამიტომ ეს პროცესები შეუგნებელ მასაში წარმოშობდნენ ეჭვსა და უნდობლობას.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის პიოგული დღეებიდანვე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ანტისემიტისმის ყოველგვარ გამოვლინებას.

საინტერესოა გერცელ ბააზოვის თვალსაზრისი საქართველოში ებრაელებისადმი დამოკიდებულებაზე. იგი წერს, „ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს და საუბრისგა იმ გარემოებისათვის, რომ საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც არ იცის ანტისემიტისმის ცნება, რომ საქართველოში ისტორიულადაც არ ყოფილა პირობები ანტისემიტისმის განვითარებისათვის და ყოველთვის არსებობდა მეგობრული განწყობილება ებრაელებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის; მით უმეტეს ეს მდგომარეობა განმტკიცდა დღეს, როდესაც ხელისუფლების მესაჭედ გახდა თვით მშრომელთა მთავრობა“.

და თუ იგი მაინც საჭიროდ თვლის ისაუბროს ანტისემიტისმის შესახებ, ეს იმიტომ, რომ ბოროტმა ძალებმა არ გამოიყენონ ჩამორჩენილი მასის შეგებაში შემორჩენილი ცრურწმენანი, განსაკუთრებით კი რიტუალის ლეგენდა. გერცელ ბააზოვი შენიშნავს, რომ თუ სხვადასხვა ქვეყნებში შეხვდები შეგნებულ და შეუგნებელ ანტისემიტისმს „ეს არ ითქმის საქართველოზე“. შეგნებული ანტისემიტისმი საქართველოში არასოდეს არ ყოფილა და არც არის“. ამიტომ იგი მოითხოვდა ადმინისტრაციული ზემოქმედების გარდა, საერთო მასობრივ-აღმზრდელითი ღონისძიებების ჩატარებას ქართველი და ებრაელი მოსახლეობის მრავალსაუკუნოვანი ურღვევი ძმობისა და მეგობრობის შემდგომ გასამტკიცებლად.

გერცელ ბააზოვი არ იზღუდებოდა ჟურნალ „სახჭოთა სამართლის“ გვერდებზე მხოლოდ იურიდიულ სასიათის სტატიების გამოქვეყნებით. ამ ჟურნალის 1928 წლის მეხუთე ნომერში მან გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი — „ქართული უნივერსიტეტის ათწელი“.

ამ წერილში ნაჩვენებია ის თუ რას უქადა ქართველ ხალხს და მის კულტურას ცარიზმის დიდმყობილური პოლიტიკა. შემდეგ ნაჩვენებია ქართული უნივერსიტეტის გახსნის ისტორიული მნიშვნელობა. გერცელ ბააზოვი წერს: „დასაწყისში იგი იყო მეტად ნაზი ქმნილება, მაგრამ მალე გაიშალა მისი სამოქმედო ასპარეზი და დღეს ათი წლის თავზე მას შეუძლია გვერდით ამოუდგეს სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებს და სრულიადაც არ გაწითლდეს. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებს ორ გარემოებაზე: ქართველი ხალხის მიერ კულტურულ ღირებულებათა შეფასების უნარზე და საბჭოთა ხელისუფლების მიერ კულტურის განვითარებისათვის გაკეთებული ღონისძიებების შესახებ“.

ფლების მიერ მეცნიერების დიდ სიყვარულზე და განსაკუთრებულ ზრუნვაზე“. ამასთან გერცელ ბაზოვი მიუთითებს, რომ გარდა მეცნიერების განვითარებისა უნივერსიტეტებს მეორე დანიშნულება აქვთ — ხალხთა ძმობისა და მეგობრობის განმტკიცება. ამასთან დაკავშირებით მას მოჰყავს ალბერტ აინშტაინის სიტყვა, რომელიც წარმოთქვა მან პალესტინის უნივერსიტეტის გახსნის დროს. ალბერტ აინშტაინი ამბობდა: „როგანობი, რომლებიც ემსახურებიან მეცნიერებას, უნდა ემსახურონ აგრეთვე ერებისა და ხალხების გაერთიანებასაც. ჩვენდა სამწუხაროდ ქვერობის უნივერსიტეტების უმეტესი ნაწილი დღეს — დღეობით აღვივებს ეროვნული თავხედობის გრძობას და გააღებულ მოუთმენლობას ყოველი იმის წინააღმდეგ, რაც უცხოა მათი ერისა და ტომისათვის“.

წერილში აღნიშნულია თუ რა შუღლსა და სიძულვილს, აგრეთვე ანტისემისტიზმს აღვივებენ გერმანიის და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში.

საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკა, მთელი ქვეყნის მასშტაბით შესაძლებელს ხდის აღმოფხვრას ხალხთა სიძულვილის ის ეროვნული ბაცოლა, რომლითაც ასე ძლიერადაა დაავადებული მთელი კაპიტალისტური სამყარო, „მაგრამ, — გააგრძობს გერცელ ბაზოვი, — მაინც უნდა ითქვას ქართული უნივერსიტეტის სასახლეოდ რომ მან საუკეთესოდ შეასრულა თავისი დიდი მისია. არასოდეს ქართული უნივერსიტეტის კედლებში არც ერთ ერო-

ვნული უმცირესობის წარმომადგენელს არ უგრძენია, რომ ეს არ იყო თანასწორი წევრი ღირსეული კოლექტივისა. არც ერთ შემთხვევა არ ყოფილა უნივერსიტეტის გახსნის დღიდან — ისეთი, რომელიც დაამცირებდა ქართული უნივერსიტეტის ღირსებას. ეს მომასწავებელია დიდი ინტელექტუალური დონისა და დიდი კულტუროსნობისა“.

ჩვენის მხრივ უნდა ავღნიშნოთ, რომ ქართული უნივერსიტეტის შექმნისათვის ფულად შემოწირულებათა შორის იყო შემოწირულებანი ქართველ ებრაელთა წარმომადგენლებისაგან. უნივერსიტეტში მისი გახსნიდანვე სწავლობდნენ იქ ქართველი ებრაელები. მათი რიცხვი განუწყვეტლად გაიზარდა. უნივერსიტეტმა აღზარდა ქართველ ებრაელ მეცნიერთა ცნობილი წარმომადგენლები.

თავის პატრიოტულ სტატიას გერცელ ბაზოვი ასე ამთავრებდა:

„დღეს, ქართული უნივერსიტეტის ათი წლის თავზე, ჩვენ — გუშინდელი სტუდენტები ჩვენი ძვირფასი უნივერსიტეტისა, ვერ ავუვლით გულგრილად გვერდს ამ უდიდეს მოვლენას და უადრესად გულწრფელი და თბილი გრძობებით მივგასაღებთ ათწლიან მეცნიერების ტაძარს და ვუსურვებთ მარადიულ წინსვლას ახალ — ახალი შემოქმედებისა და მეცნიერების მწვერვალებისაკენ“.

პროფ. ს. ჯორჯინაძე

ქართული სამართლის ისტორიის შესანიშნავი ძეგლი¹

ახლახან გამოქვეყნდა XVIII საუკუნის დამლევისა და XIX საუკუნის დამდეგის მეტად საინტერესო ქართველი მოღვაწის დავით ბაგრატიონის საქონმდებლო-საკოდიფიკაციო შრომა, რომელიც საქართველოს ისტორიის ძვირფას წყაროს წარმოადგენს. ეს მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი დავით ფურცელაძემ გამოსცა.

წიგნი მთლიანად 628 გვერდისაგან შედგება. აქედან 224 გვერდი დ. ფურცელაძის გამოკვლევაა, 244 თვითონ ძეგლის ტექსტია, დანარჩენი უჭირავს სამეცნიერო აპარატს, კერძოდ ლექსიკონსა და საძიებლებს.

დავით ბატონიშვილის „სამართალი“ კოდექსს წარმოადგენს. იგი შედგენილია 1800 წელს. ეს საქონმდებლო ძეგლი ძალაში არ შესულა, პროექტადვე დარჩა, მაგრამ მას მაინც განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ქართული სამართლისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიისათვის.

ბირველყოფლისა, დავითის „სამართალი“, ისევე, როგორც ყოველგვარი საკოდიფიკაციო ძეგლი, თავისი შედგენის დროს პოზიტიურ სამართალსაც შეიცავს, ყოველ შემთხვევაში, მისი ვადამუშავეებისა და განვითარების ნაყოფს წარმოადგენს, და ამდენად შესაძლებლობას იძლევა შესწავლილ იქნას ერთის მხრივ ქართლ-კახეთის სამართლებრივი სინამდვილე XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, მისი ისტორიული ფესვების გათვალისწინებით, ხოლო მეორეს მხრივ იმ დროის მართლშეგნება და იდეური და საქონმდებლო წყაროები, რომლებითაც იკვებებოდა ახალი სამართლებრივი შემოქმედება.

გამოკვლევის შესავალში დ. ფურცელაძე სწორად ახასიათებს ისტორიულ ვითარებას, რომელშიც დავით ბატონიშვილის „სამართალი“ წარმოშვა. XVIII საუკუნის დამლევის „ქართული კანონპოეტები და სარეფორმო თოსნობა ნაკარანახევია ქვეყნის ღუხუჩირი სინამდვილით“ (გვ. 07); მაშინდელი ფეოდალური საზოგადოების მესვეურები ხედავდნენ საქართველოს გაჭირვებას და ეძებდნენ გამოსავალს ჩიხიდან, რომელშიც იგი მოემწყვდა. ერთერთი დიდმნიშვნელოვანი რო-

ლი კანონმდებლობას უნდა შეესრულებინა: კანონპოეტების შედგენა მიზნად ისახავდა აუცილებელი რეფორმების შეტანას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში და ამ გზით ნიადაგის შექმნას შემდგომი პროგრესისათვის. ავტორი იხილავს ამ მოვლენას ევროპის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, ახასიათებს იმ არხებს, რომლითაც შესაბამის შეხედულებათა და ტენდენციათა გავლენა ჩვენს ქვეყანაში აღწევდა.

ევროპაში „განათლების ხანა“ წარმოშვა ფეოდალიზმის დაუნდობელი კრიტიკა, გაჩნდნენ და ძალა მოიპოვეს „გონების სამეფოს“ შექმნის იდეებმა; დაბოლოს ბურჟუაზიულმა რევოლუციამ დასავლეთ ევროპის რიგ ქვეყანაში დაანგრია ფეოდალიზმი (გვ. 07-08), ხოლო აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთ სახელმწიფოში (რუსეთი, პრუსია და სხვა), სადაც ბურჟუაზიას ჯერ ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება აკლდა, ჩამოყალიბდა ე. წ. „განათლებული აბსოლუტიზმი“. ბეკარიას და ვოლტერის თხზულებებმა თავისი საგანმანათლებლო იდეებით დიდი გავლენა მოახდინეს სახელმწიფოსა და სამართალზე (გვ. 08). საგანმანათლებლო იდეების სიორუსეთის გზით საქართველოსაც აღწევდა (გვ. 012). მათი გავლენა ეტყობა დავით ბაგრატიონის „სამართალსაც“. დ. ფურცელაძე სათანადო საბუთების მომარჯვებით დაწვრილებით არკვევს დავითის შეხედულებათა პროგრესულ ხასიათს, მკაფიოდ წარმოგვიდგენს მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ლიტერატურულ ინტერესებს, ხაზს უსვამს დავითის მთარგმნელობითს საქმიანობას, კერძოდ მის მიერ მონტესკიეს „კანონთა სულის“ თარგმნას. ამ ფონზე, ამასთანავე საქართველოს რუსეთთან შეერთების ხანებში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციისა და დავითის ბიოგრაფიული ფაქტებისა და პიროვნული თვისებების ანალიზის საფუძველზე განხილულია მისი ვოლტერაინობის საკითხიც. საესებით სწორად განვითარებულია მოსაზრება, რომ დავითი, მართალია, აქებდა „კანონთა სულს“, რომელშიც მონტესკიე აბსოლუტიზმის წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ თავისი „სამართალი“ მან ქართული სინამდვილის მიხედვით შეადგინა. „დავითს კი, წერს დ.

¹ სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო დავით ფურცელაძემ, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1964.

ფურცელაძე, — უკან ეწევა თავისი ქვეყნის ჩამორჩენილობა და სასიცოცხლო საჭიროება-ნი“, ამიტომ მის „სამართალში“ არ არის გატარებული მონტესკიეს შეხედულება სახელმწიფოზე. დ. ფურცელაძე არ იზიარებს ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებას დავითის ვოლტერიაანობის თაობაზე. დაწვრილებით იხილავს დავითის მსოფლმხედველობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებებს, მართებულად უარყოფს მათ და ასაბუთებს, რომ „დავით ბატონიშვილი, ასე ვთქვათ, „ქართული განათლებული მონარქის“ წარმომადგენელია, ხოლო „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ არის ამ მიმართულების სამართლებრივი კოდიფიკაციის ცდა; იგი „შთაგონებულია ქვეყნის საარსებო ინტერესებით“, თან განათლებულ აბსოლუტიზმის იდეებსა და პრაქტიკის ემყარება, დავითი იბრძვის ქართულ-კახეთის ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის და ამ მიზნის მისაღწევად თავისი „სამართლის“ შემუშავებისას შემოქმედებითად იყენებს რუსულ სამართალსაც (გვ. 042).

შესავალში დავით ბაგრატიონი დახასიათებულია როგორც სახელმწიფო მოღვაწე და ხაზგასმულია ის გარემოება, რომ იგი რუსეთის ორიენტაციის მტკიცე მომხრეობასთან ერთად ქართული სახელმწიფოებრიობის დამცვენი იყო. მისი აზრით, ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის რუსეთის ქვეშევრდომობას, მის ფარგლებში ყოფნას უნდა შეთავსებოდეს.

გამოკვლევის პირველ თავში ძეგლის ხელნაწერების დაწვრილებით, სერუბულოზური შესწავლის შედეგად (გვ. 045-068) ისინი დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრულობით: 1) 1800 წლის 5 ოქტომბრით დათარიღებული ნუსხა, რომელიც დავითს სამუშაო ცალად ჰქონდა და რომელშიც ამიტომ მრავალი ავტორისეული მინაწერი-შენიშვნა, შესწორება და დამატება მოპოვება; 2) 1800 წლის 27 დეკემბრით დათარიღებული ნუსხა; მასში ავტორის მინაწერები შედარებით ცოტაა; იგი გადაწერილი ჰქონდა გამოსაცემად ს. გორგაძეს; ამჟამად ეს ხელნაწერი, ო. უორდროპის მიერ საქარაველოდან გატანილი ინგლისში ინახება; 3) ხელნაწერი, რომელიც 1811—1813 წლებშია შესრულებული და 1800 წლის რედაქციის განსაგრებობ ფრაგმენტებს შეიცავს.

პუბლიკაციაში პირველად მოცემულია 1800 წლის ხელნაწერები, როგორც დავითის „სამართლის“ ძირითადი ტექსტი, ხოლო დამატების სახით — 1811—1813 წლების ფრაგმენტები.

ნაშრომის ამ ნაწილში დადგენილია ძეგლის შედგენის თარიღი და ხელნაწერების ურთიერთ-

დამოკიდებულება. დაბოლოს მოცემულია ტექსტის საფუძვლიანი ფილოლოგიური ანალიზი. მეორე თავში, როგორც ითქვა, განხილულია „სამართლის“ სისტემა (070-089).

ავტორის აზრით, დავითის „სამართალი“ აგებულია ძირითადად ბატონყმობის პრინციპებზე და მის განმტკიცებას ემსახურება“ (გვ. 075). იგი ამბობს, „ძირითადათ“-ო, რადგან დავითის „სამართალში“ „ახალი ელემენტები“ (გვ. 075), პროგრესული ელემენტებიც ეგულება. ამ მიმართულებით მართებულად აღნიშნულია, რომ დავითის „სამართლის პროგრესულობის მაჩვენებელია ბუნებითი სამართლის ანუ „ბუნებითი სჯულის“ აღიარება სახელმწიფოს საფუძვლად; კანონიერების საფუძველი, ხალხის მორჩილებისა და მართლმსაჯულების გაუმჯობესების საწინდარი „ბუნებითი სჯულია“, დავით ბაგრატიონის აზრით ამ საფუძველზე საზღვარი უნდა „დადოს ფეოდალურ ანარქიას“ და განმტკიცდეს მეფის ხელისუფლება (გვ. 077).

გამოკვლევის ავტორს განმარტებული აქვს დავითის შეხედულება თავისუფლებასა და სამართლიანობაზე. სრულ თავისუფლებას იგი ითვალისწინებს მხოლოდ გაბატონებული კლასისათვის (გვ. 078). დ. ფურცელაძე მარჯვე არგუმენტაციით ანალიზს უკეთებს დავითის „სამართლის“ იმ ადგილებს, რომლებშიც მოჩანს რუსული სამართლის გავლენა. მისი დასკვნები კონკრეტულ და მკვეთრ ფაქტებს ემყარება.

ამავე თავში მოხაზულია ძეგლის სამართლებრივი რეგლამენტაციის დიაბაზონი. იგი აწესრიგებს: სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართლის, სამოქალაქო და სისხლის სამართლის, სასამართლო წყობილებისა და პროცესის, ფინანსების, ვაჭრობა-ხელოსნობის, ეკლესიასთან ურთიერთობისა და შეიარაღებული ძალების საკითხებს. სამართლის წიგნის შინაარსის უკეთ წარმოსახვისას გამოყოფილი და ხაზგასმულია ისეთი მნიშვნელოვანი ზოგადი საკითხები, როგორც არის: უფლება-ქმედუნარიანობა, სრულწლოვანება, ხანდაზმულობა, ბრალი და შერაცხადობა, ბრალის შემამსუბუქებელი და გამაქარწყლებელი გარემოებანი, უკიდურესი ვაჭირვება და აუცილებელი მოგერიება, ცდა, თანამონაწილეობა, შემგებლობა და სხვ.

ასევე საყურადღებო დავიკრებებია გაკეთებული ქართულ სამართალში საჯაროების ელემენტის განვითარების მოვლენებზე და საპატიუხოსა და საუბატიოს ცნებათა შესახებ. წამოჭრილია სრულიად ახალი საკითხი კომპოზიციების სისტემის ერთეულის — სისხლის მრავალკეცობისა თუ წილადების გაგების თაობაზე. დაწვრილებით და ნათლად დახასიათე-



ბულია დავით ბატონიშვილის „სამართლის“ საკანონმდებლო ტექნიკა.

ნაშრომის უკანასკნელ, მესამე თავში შედარებულია დავითის „სამართალი“ იოანე ბაგრატიონის „სჯულდებისთან“ (გვ. 0124-0155) და დავითისავე „მიმოხილვისთან“ «Обозрение Грузии по части прав и законовещения» — (გვ. 0155-0224). ამომწურავადაა ნაჩვენები და განალიზებული მსგავსება და განსხვავება „სჯულმდებისა“ და „სამართალს“ შორის. განსაკუთრებით საყურადღებოა „სამართლისა“ და „მიმოხილვის“ შედარების შედეგები. დ. ფურცელაძეს შესანიშნავად აქვს დასაბუთებული და დამტკიცებული, რომ „სამართალი“ განვრცობილ-გადამუშავებული სახით «Обозрение»-ს ქართული დედანია. ეს საკითხი ყოველმხრივ და ღრმად არის შესწავლილი. მიღებული დასკვნები ისეთი ნათელი და ურყევია, რომ დავით ბატონიშვილის ამ ორი თხზულების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი სრულიად ამოწურულად უნდა ჩაითვალოს; მასში საეჭვო და სადავო აღარაფერია.

დავით ბაგრატიონის „სამართალი“ როგორც თავშივე ითქვა, მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლია. მასში უხვი მასალა მოიპოვება საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილებისა და სამართლის ისტორიისათვის; იგი შეუდარებელი წყაროა აგრეთვე საქართველოს ისტორიის სხვადასხვა დარგის შესასწავლად.

დავითი ახასიათებს თავის დროის საქართველოს როგორც ეკონომიურად „ნაკულლოვანს“, ე. ი. ღარიბს (გვ. 8, მუხ. 3). ქვეყნის უკიდურეს ეკონომიურ გაჭირვებაზე მიგვიბრუნებს დავითი, როცა აღნიშნავს: „უკანასკნელსა განწირსულსა შინა მიწვენილ არს(ს) სამეფო შემოსავლისაგან“-ო (გვ. 14). საყურადღებოა ის გარემოება, რომ იოანე ბაგრატიონსაც ასევე, ეკონომიურ „განწირულებში“ მყოფად მიჩნია ქართლ-კახეთის სამეფო XVIII საუკუნის დასასრულს.¹ მიუხედავად ამ „განწირულებისა“, დავითის „სამართალში“ მინც შეიცნობა ეკონომიური განვითარების პროგრესული ელემენტები. მასში აღნიშნულია, რომ „უკეთუ მოიყიდოს საკუთრითა ნივითა“ ვინმე მამული, ასეთი მამული თუ ქონება საკუთრივ მისია (გვ. 34, მუხ. 49) და ძეგები ასეთ ქონებაში წილს ვერ დაიდებენ. ამრიგად დავითის „სამართალი“ აღიარებს საკუთარი, ანუ ე. წ. „სათავისო“ ქონების თავისებურ რეჟიმს. ეს თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარი ანუ „სა-

თავისო“ ქონება თავისუფალია ფეოდალურმა შეზღუდვისაგან, ამდენად უფრო პროგრესულია და თავის შინაარსით ბურჟუაზიული საკუთრების ბუნებას უახლოვდება.

დავითის „სამართალი“ აწესრიგებს „ამხანაგობის“ საკითხებს (გვ. 11, მუხ. 6); ამხანაგობაში შესული ვალდებულია გაიზიაროს ამხანაგობის პასუხისმგებლობა და ანგარიში გასწორების გარეშე არ გავიდეს ამხანაგობიდან. ამ მუხლში სავაჭრო და სხვა ამგვარი ხასიათის ამხანაგობანი უნდა იგულისხმებოდეს. ასეთ ამხანაგობათა განვითარება კი, სხვა მოვლენებთან ერთად, იმის მაჩვენებელია, რომ ფეოდალიზმის წიაღში უკვე ახალი საზოგადოების საწყისები მზადდებოდა.

მეტად საყურადღებოა, რომ დავითის „სამართალით“ „ყოველია გლეხთა აქვსთ ნება ქონებად მამულისა და უმეტეს მაშინ, ოდესცა უანდერძოს“ (გვ. 42). ასეთი დებულების შეტანა სამართლის წიგნში ნიშნავს უძრავი ქონების მესაკუთრეობის აღიარებას გლეხობისათვის. მართალია, ეს ჯერ სრულიად თავისუფალი საკუთრება არ არის, მაგრამ გლეხს შეუძლია მამულის გასხვისება ბატონის ნებართვით, ანდერძით დატოვება და სხვა. ამრიგად ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან საკითხშიც, როგორც საკუთრების საკითხია, გადადგმულია ნაბიჯი ახალი საზოგადოების საწყისისაკენ.

დავითის „სამართალი“ ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე დგას ბრალის საკითხის დამუშავების მხრივაც. ბრალის ცნება უკეთ და მეტი თანამიმდევრობით არის დიფერენცირებული (გვ. 48, მუხ. 77 და სხვა) მანამდე მოღწეული ქართული სამართლის ძეგლებთან შედარებით.

დავითის „სამართალი“ ემყარება მაღალი პუმანურობის პრინციპს. აღნიშნოთ თუნდაც შემდეგი დებულება: „უფროვე უძჯობეს არს ათისა დამნაშავესა განათვისუფლებამ, ვიდრე ერთისა უბრალოსა წარწყმედიამ“ (გვ. 103, მუხ. 187).

ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ დავითის „მიმოხილვაში“ საუბარია მონაცვლე კაცზე ანუ დევოკატზეო. 1800 წელს შედგენილ „სამართალში“ მოხსენებულია „მენაცვლე კაცი“, რომელიც მონაწილეობს სასამართლო პროცესში „ავადმყოფი“ მოჩივარის ნაცვლად; ეს „მენაცვლე კაცი“ სასამართლომ ისე უნდა მიიღოს, „ვითარცა ნამდვილისა მოჩივრისად“, ე. ი. ავადმყოფი მოჩივრის მაგიერად (გვ. 26,

¹ იოანე ბაგრატიონი, სჯულდება, 1957 წ., გვ. 3.

² იხ. ამის შესახებ დაწვრილებით: ი. სურგულაძე, დავით ბაგრატიონი ბრალის შესახებ, „საბჭოთა სამართალი“, 1962, № 6.

მუხ. 31); თუმცა იმავე მუხლის ბოლოს სასამართლო წარმომადგენლობაზე უფრო ზოგადად არის ნათქვამი, მინც ცხადია, რომ 1800 წელს დავითს ადვოკატობის ინსტიტუტი მხედრობაში არ ჰქონია. 1811—1813 წლის ნუსხაში კი სათანადო ნორმებს შემდგომი განვითარება მიუღია, და აქ „მონაცვლე კაცს“ დაქირავებულ ადვოკატთან მეტი მსგავსება აქვს. ამრიგად ირკვევა, რომ ქართულ სამართალში სასამართლო წარმომადგენლობას ადვოკატურის ჩამოყალიბებამდე არ მიუღწევია,¹ ხოლო „მენაცვლე კაცის“ მონაწილეობა პროცესში ძველადაც ცნობილი უნდა ყოფილიყო.

„სამართალი ბატონისშვილის დავითისა“ შეიცავს დიდალ სხვა საყურადღებო მასალასაც ჩვენი ეროვნული სამართლის განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გასაშუქებლად. დავით ბაგრატიონის „სამართლის“ გამოცემით დავით ფურცელაძემ უეჭველად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებაში. დადებით, მაღალ შეფასებას იმსახურებს გამოკვლევაც, რომელიც მან ამ ძეგლს მიუძღვნა. გამოკვლევა მდიდარ საარქივო მასალას, და ნორმატიულ და ლიტერატურულ წყაროებზეა დამყარებული.

გამოცემისათვის დართული სამეცნიერო აპარატი სანიშნავია. პირველ ყოვლისა აღსანიშნავია „სამართლისა“ და „Обозрение-ს შედარების ცხრილი, რომელიც სავსებით არკვევს ამ ორი ძეგლის ურთიერთდამოკიდებულებას.

აპარატი შეიცავს აგრეთვე ლექსიკონსა და საძიებლებს. ლექსიკონში შესანიშნავად არის განპარტებული „სამართალი“ ნახშირი აქამდე უცნობი, ან უჩვეულო მნიშვნელობით გამოყენებული ტერმინები, სავნობრივ საძიებელში, რომელიც ანალიტიკური პრინციპითაა შედგენილი, ამოწურავადაა წარმოდგენილი ძეგლის იურიდიული ტერმინოლოგია, რაც შესაძლებლობას იძლევა გათვალისწინებულ იქნას არათუ თითოეული ტერმინის, არამედ ხშირად მთელი ინსტიტუტის შინაარსი; ამდენად ეს საძიებელი თავისი მნიშვნელობით შორს სცილდება უბრალო საცნობარო დანიშნულებას, დაბოლოს ძალიან კარგად არის დამუშავებული პირთა, თნიკურ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელიც.

საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ზოგიერთ შენიშვნაზეც ნაშრომის მიმართ:

ა) შრომაში ავტორი წერს: „ფეოდალიზმთან ბრძოლაში მეფის ხელისუფლებისათვის ხელის

შემწყობი იქნებოდა კულტურული მოძრაობის გაღვივება-გაფართოება“ (გვ. 112). ეს მოსაზრება მთლად მართებული არ უნდა იყოს. საქმე იმაშია, რომ მეფის ხელისუფლება ებრძოდა მსხვილ ფეოდალებს, რომლებიც განკერძოებულსაკენ მიისწრაფოდნენ; საერთოდ კი მეფე ფეოდალთა კლასის ინტერესების სადარაჯოზე იდგა და კი არ ებრძოდა ფეოდალიზმს, არამედ იცავდა მას.

ბ) შრომაში მოტანილია გიორგი XII-ის საუბარი პატრ ნიკოლასთან. მეფის შეკითხვაზე, თუ რას იტყვის პატრი ნიკოლა „დიდ სარდალ მონაპარტზე“, იგი უპასუხებს, ნაპოლეონი არის „დიდად მორწმუნე კათოლიკე... პატივსცემს დიდად პაპსა წმინდას“-ო. ამას მოსდევს შრომის ავტორის შემდეგი განმარტება: „ღვთისმოსავ გიორგი XII-ესთან სჯა-საუბარში ნაპოლეონს, „მორწმუნეობის“ ხაზგასმა გასაგებია, მაგრამ ისიც უეჭველია, რომ აქ გამოხატულება პოვა კათოლიკური ეკლესიის ლოიალურმა დამოკიდებულებამ ნაპოლეონისადმი, რომელიც მის მომხრეობასა და თავისი მიზნებისათვის გამოყენებას ცდილობდა“ (032).

პატრ ნიკოლას გიორგი XII-ისათვის ნაპოლეონის კათოლიციზმისადმი ერთგულების ჩაგონებით ავიტაციას უწევდა მეფეს თავისი სარწმუნეობის სასარგებლოდ: ესოდენ „დიდი სარდალი“ კათოლიკეა და შენც კათოლიკე გახდიო. მთავარი აქ ეს არის, ნაპოლეონის ასეთ დახასიათებას პატრი აღნიშნული მიზნით იყენებდა და ამდენად კათოლიციზმის ნაპოლეონისადმი ლოიალობაზე ხაზგასმა ზედმეტია.

გ) დ. ფურცელაძე წერს: „დავით ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე და უკვე გამგებელი ქვეყნისა, სასურველად და გარდაუვალადაც თვლიდა რუსეთთან კავშირს, აღიარებდა მისდამი ვასალურ დამოკიდებულებას და მარტო შინაგან, ისიც შეზღუდულ თვითმმართველობასაც ყაბულებოდა. ამავე დროს იგი ვერ თმობდა მთლიანად ქართულ სახელმწიფოებრიობას და აუცილებელ პირობად სახავდა სამეფოს შენარჩუნებას, თუნდაც ქართველი მონარქის ხელისუფლების განახევრების ფასად“ (გვ. 037).

დავითი რუსეთთან დაკავშირების მომხრეცყო, თანხმდებოდა საქართველოს ვასალურ დამოკიდებულებაზე, ოღონდ ქართული სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების პირობით, ე. ი. ვასალურ დამოკიდებულებაშიც საქართველო ამა თუ იმ სახით ცალკე სახელმწიფოდ უნდა დარჩენილიყო; დავითის და მისი მომხრეების

¹ იხ. ი. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, 1952, გვ. 14.

აზრით ეს ქართლ-კახეთის სამეფო ტახტის არსებობას და ამ ტახტზე ბაგრატიონების დატოვებას გულისხმობდა. ამგვარად, დავითს ვასალობა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ერთ მთლიანობაში ჰქონდა წარმოდგენილი, ერთი ფაქტის ორ მხარედ ესახებოდა.

დ) სარეცენზიო ნაშრომში დავითის პოლიტიკური შეხედულებანი და ბუნებითი სამართლის ანარეკლი მის „სამართალში“ მოკლედ და, შეიძლება ითქვას, სხვათა შორის არის განხილული, მაშინ, როდესაც ეს საკითხები განსაკუთრებით საინტერესოა და მათ სპეციალური თავიცი უნდა მიძღვნოდა.

სხენებულ საკითხებზე მსჯელობა შრომის იმ ნაწილშია, რომელიც დასათაურებულია: „სამართალი ბატონის შვილის დავითისას“ სისტემა, შედგენილება — შინაარსი და ფორმა. „სისტემის“ განხილვისას ავტორი წერს: „ვინა ხოთ ბარემ, როგორ აისახა დავით ბატონიშვილის „სამართალში“ თავისუფლებისა და თანასწორობის საკითხი“ (გვ. 078); და აი ამ უმნიშვნელოვანესი საკითხების სასხვათაშორისოდ მოხსენების შემდეგ მათ მხოლოდ 4 (078-081) გვერდი აქვთ დათმობილი.

ე) შრომაში განხილულია ბექა-აბღულას სამართლის მოგონისა და ვახტანგის სამართლის წიგნის ის მიხედვით, რომლებიც გადიდებულ საზღაურს ითვალისწინებს. ბექა-აბღულას სამართლის მე-12 მუხლში ორკეც სისხლზეა საუბარი; ვახტანგის სამართლის წიგნის 85-ე მუხლში — ორ სისხლზე, ხოლო 50-ე მუხლში კი სასაფლაოზე თავდასხმისათვის, გათვალისწინებულია „სამი სისხლი... ერთი საფლავისათვის, ერთი სიკვდილისათვის და ერთი მიკდომისათვის“. ნაშრომის ავტორი ვარაუდობს, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის 85-ე მუხლის ორი სისხლი „ორ სასჯელს ნიშნავს და არა ორკეცი რაოდენობის სისხლს“, ამავე დროს იგი განაგრძობს: „ჯერხანად გვიჭირს ვთქვათ, თუ რამდენია სახელდობრ ეს „ორი ნაწილი“ ან „ორი წილი“. თუ წილადად მივიჩნევთ, უცნობი რჩება მთელის მერამდენედ წილზეა ლაბარაკი, ე. ი. წილადის მნიშვნელი; ჯერ გაურკვეველია აგრეთვე საიდან წარმოდგა რუსულ თარგმანში 2/3. მეორე მხრივ, ნაწილი და წილი მართო მთელის წილადს როდი ნიშნავს, არამედ კერძა თუ ხელონისა და, მაშასადამე, კუთვნილს, ნარგებს“ (გვ. 0101). ამ მსჯელობას ესაჭიროება შესწორება იმ მხრივ, რომ ორი სასჯელი და ორკეცი საზღაური შინაარსის მიხედვით არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს. კანონმდებელი გადიდებულ სასჯელს მაშინ ითვალისწინებს, როცა დანაშაული დიდია (საფლაოზე თავდასხმა და სხვა).

ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით მკვლელობა სასახლეში თავდასხმის ვითარებაში ჩვეულებრივ მკვლელობაზე მეტია, ამიტომ საჭირო ორი სისხლია (მუხ. 51). სასახლეში თავდასხმა კანონმდებელს მაკვალიფიცირებულ მომენტად მიაჩნია; მკვლელობის კვალიფიცირის სახეობა აგრეთვე საფარიდან მკვლელობაც (მუხ. 89). ზოგჯერ კანონმდებელი დანაშაულს ცალ-ცალკე ჩამოთვლის, მაგალითად, საფლაოზე თავდასხმა, იქ მკვლელობა და მოხდომა (მუხ. 50), მაგრამ ეს მაინც ერთი მთლიანი დანაშაულია და კანონმდებელს მხოლოდ მისი კვალიფიცირი მნიშვნელობის განმარტება და ცხადყოფა უნდა.

85-ე მუხლი, მართალია, ცოტა ბუნდოვანია, მაგრამ აქაც ჩანს, საუბარია კვალიფიცირ და დანაშაულზე, რისთვისაც სასჯელად გათვალისწინებულია „ერთი მთელი სისხლი“, და ამას გარდა „კიდევ მთელის სისხლის ორი წილი“. ამიტომ ვახტანგის სამართლის წიგნის რუსულ თარგმანი ამ შემთხვევაში სწორი უნდა იყოს.

ვ) დავით ბატონიშვილის „სამართალი“ პროექტი იყო, ის კანონად არ ქცეულა და ამ შემთხვევაში მის შემდგენელს არ შეიძლება კანონმდებელი ეწოდებოდეს (გვ. 0134).

ზ) ავტორის აზრით საჭიროა დავითის „Обозрение“-სა და „სამართლის“ შედარება-შეჯერება ვახტანგის სამართლის წიგნთან, რაც „ერთადერთ გზას წარმოადგენს იმისათვის, რომ ამ ძეგლების მოქმედების ძალის საკითხი გაირკვეს“ (გვ. 0199). ჩვენ ვთქვით, რომ „სამართალი“ პროექტი იყო და მის მოქმედების ძალაზე ლაბარაკი ზედმეტია, ის კანონად არ ქცეულა. სხვა ადგენას თვითონვე ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ დავითის „სამართალი“ პროექტია და საუბარი მხოლოდ იმაზე შეიძლება, თუ რამდენად შეიცავდა იგი ვახტანგის სამართლის ნორმებს, რადგან დავითის კოდექსი მთლად ახალი ვერ იქნებოდა, მასში, რასაკვირველია, ვახტანგის სამართლის ცალკეული ნორმები და მთელი მუხლებიც შეიძლება შესულიყო.

რამდენიმე სიტყვაც შრომის ენის შესახებ. წინამორბედ დამოკცემის შესახებ ზოგან სწერია „წელან“ და არა ზემოთ თქმული, რაც მართებულად არ მიგვაჩნია.

«Экспедиция суда расправы» ნათარგმნია: „სამართლისა და განკითხვის ექსპედიცია“, უფრო მართებულად იქნებოდა „სასამართლოსა და დათრგუნვის ექსპედიცია“ (0214).

მთლად გამართული ვერ არის, ჩვენის აზრით, შემდეგი წინადადება: „უმართებულ იქნებოდა, რასაკვირველია, იმისი უარყოფა, რომ ბუნებრივია, თუ თითქმის მთელი საუკუნის

მანძილზე ვახტანგ VI-ის სამართალმა ცვლილება განიცადა“ (გვ. 0199).

მაგრამ საერთოდ ნაშრომი კარგი ენით არის დაწერილი. მეტსაც ვიტყოდით: ეს ნამდვილი სადა, დარბაისლური ქართულია; ნაშრომის ენობრივი მხარე სამაგალითოა. ხშირად ავტორი მეტად მეტყველ ხატოვან თქმებს მიმართავს.

დაბოლოს კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ დავით ფურცელაძემ დავით ბატონიშვილის „სამართლის“ და ქართული სამართლის ისტორიის ღრმად შესწავლის საფუძველზე მრავალი საყურადღებო საკითხი წამოჭრა და ბევრი მათგანი ორიგინალურად გადაჭრა კიდევ. ამასთანავე მან კრიტიკულად განიხილა სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გაშუქებული საკითხი და რიგ შემთხვევაში მათ შესახებ თავისი ორიგინალური შეხედულება წამოაყენა.

დავით ფურცელაძის გამოკვლევა წარმოად-

გენს მნიშვნელოვან ორიგინალურ მეცნიერულ ნაწარმოებს, რომელსაც ღირსეული წვლილი შეაქვს ქართული სამართლის ისტორიის მეცნიერებაში.

საქართველოს ისტორიის უაღრესად საყურადღებო წყაროს — დავით ბატონიშვილის „სამართლის“ — მეცნიერულად დადგენილი ტექსტი, მისთვის დართული შესანიშნავი სამეცნიერო აპარატისა და ძეგლისადმი მიძღვნილი მაღალხარისხიანი გამოკვლევის გამოცემით დავით ფურცელაძემ დიდი სამსახური გაუწია საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით კი ქართული სამართლის ისტორიის, მეცნიერებას. ამიერიდან სამეცნიერო ბრუნვაში შემოდის მნიშვნელოვანი ისტორიულ-სამართლებრივი ძეგლი, რომელშიც მოცემულია უხვი და მდიდარი მასალა ჩვენი ისტორიის სხვადასხვა დარგისათვის.

პროფ. ი. სურგულაძე.

მონოგრაფია მექთამეოზისათვის პასუხისმგებლობის შესახებ¹

მექთამეობა სოციალისტურ საზოგადოებასთან შეუთავსებელი მოვლენაა. ამიტომ საბჭოთა სახელმწიფო მთელი სისასტიკით ებრძვის ამ დანაშაულს.

მექთამეობის წინააღმდეგ ბრძოლამ მხოლოდ მაშინ შეიძლება გამოიღოს სასურველი ნაყოფი, როდესაც სასამართლოს, პროკურატურის და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს მუშაებს კარგად ესმით, როგორც თვით მექთამეობის ბუნება, ისე იმ კანონთა არსი, რომლებიც მიმართულნი არიან ამ დანაშაულის წინააღმდეგ. ამისათვის კი საჭიროა მექთამეობის, როგორც სისხლის სამართლის ერთ-ერთი რთული დანაშაულის დრმა თეორიული დამუშავება, მისი სოციალური არსის გარკვევა, მის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოცემული კანონების ზუსტი მეცნიერული ანალიზი და სასამართლო პრაქტიკის განზოგადება.

სწორედ ამ საკითხების გაშუქებას ისახავს მიზნად სარეცენზიო ნაშრომი.

მექთამეობა ისევე, როგორც ყოველი დანაშაული, ისტორიული კატეგორიაა. იგი დამახასიათებელია ექსპლუატატორული, განსაკუთრებით კი ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. ამ კუთხით იწყებენ მექთამეობის საკითხის კვლევას ვ. მაყაშვილი და გ. ტყეშელიაძე (გვ. 7—18). მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულებათა და ისტორიული ფაქტების მოტიანთ ნაშრომში ნათლად არის ნაჩვენები, რომ მექთამეობა კანონზომიერად არის დაკავშირებული ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან.

მექთამეობის წინააღმდეგ ბრძოლას ჩვენი სახელმწიფო ეწევა თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე. ამ საკითხს აშუქებს სარეცენზიო წიგნის პირველი თავი: — „ისტორია საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა მექთამეობის შესახებ“. ამ თავში (გვ. 18—31) თანმიმდევრულად არის გადმოცემული მექთამეობის წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს ბრძოლის ისტორია.

სარეცენზიო წიგნის მეორე თავი მიძღვნილია მექთამეობის ცნებისადმი (გვ. 32—129).

ამ თავის პირველ პარაგრაფში (გვ. 32—40)

განხილულია საკითხი ქრთამის მიცემა-აღების, როგორც ერთიანი, ორმხრივი დანაშაულის შესახებ. ავტორების აზრით, „კავშირი ქრთამის მიცემასა და ქრთამის აღებას შორის იმდენად მჭიდროა, რომ ერთის მთლიანი განხორციელება მართო იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ მეორეც განხორციელდა“ (გვ. 34). ამ თავისებურების წყალობით „მექთამეობა მთლიანად აღებული ქმნის ერთიან, რთულ ორმხრივ დანაშაულს ქრთამის მიცემა-აღებას“ (გვ. 34). ამ დებულებიდან გაკეთებულია საინტერესო და პრაქტიკულად საჭირო დასკვნები: ა) „უკეთეს იმის მოქმედება, ვინც თანამდებობის პირს გასამრჯელოს აძლევს, კანონში გათვალისწინებულ ქრთამის ნიშნებს არ შეიცავს, ეს თანამდებობის პირი, თუნდაც მას გასამრჯელო უკანონოთ მიეღოს, არ შეიძლება პასუხს აგებდეს ქრთამის აღებისათვის“ (გვ. 35); ბ) თუკი დღეინდა, რომ თანამდებობის პირმა ქრთამი აიღო, აუცილებელია ერთდროულად პასუხისმგებლობა მიეცეს ქრთამის მიმცემიც (გვ. 36).

ჩვენი აზრით, დებულება იმის შესახებ, რომ მექთამეობა წარმოადგენს ორმხრივ დანაშაულს, არ ირღვევა იმ გამოჩაქლის შემთხვევებშიც, როდესაც ქრთამის მიმცემი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან — ქრთამის მიცემის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადების, ან ქრთამის გამოძალვის დროს. აქ ჩვენ საქმე გვაქვს გარემოებებთან, რომლებიც გამორიცხავენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ქრთამის მიცემის ფაქტს ობიექტურად ადგილი არ ჰქონია. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 31 ივლისის დადგენილებაში აღნიშნული „ქრთამის მიმცემის განთავისუფლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან ქრთამის გამოძალვის ან მომხდარის შესახებ ნებაყოფლობითი განცხადების მოტივით, არ ნიშნავს ამ პირის მოქმედებაში დანაშაულის ნიშ-

¹ ვ. მაყაშვილი, გ. ტყეშელიაძე — „პასუხისმგებლობა მექთამეობისათვის“, საბჭოთა საქართველო, 1964 წ.

ნების არარსებობას, ამიტომ ქრთამის მიძეგმი არ შეიძლება ვალიაროთ დაზარალებულად...“.

მექრთამეობის ობიექტად (§ 2, გვ. 41—51), ასევე როგორც ყველა თანამდებობრივი დანაშაულის საერთო ობიექტად, ავტორებს მიაჩნიათ „საბჭოთა დაწესებულების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ნორმალური მუშაობა, რომელიც შეესაბამება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტების გაშლილი მშენებლობის ინტერესებს“ (გვ. 41), ხოლო მექრთამეობის უშუალო ობიექტად — „საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აპარატის ავტორიტეტი“ (გვ. 42). აქვე მექრთამეობის ობიექტისაგან განსხვავებულია ქრთამის საგანი. კანონის გამოთქმა „ქრთამის აღება რა სახითაც უნდა იყოს“ (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 189-ე მუხლი) ავტორების აზრით გაგებულ უნდა იქნას ვიწროდ. მათი აზრით სწორია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომლის თანხმად ქრთამის საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ქონება, ქონებრივი გამოჩენა, ან რაიმე ქონებრივი უფლება. ამავე დროს ავტორები არ იზიარებენ პროფ. ნ. დურმანოვის შეხედულებას, რომელიც საგნის მატერიალური ფასეულობის ცნებას ფართოდ განმარტავს და თვლის, რომ ქრთამის საგანი შეიძლება იყოს არა მარტო ისეთი საგანი, რომელსაც ობიექტური ღირებულება აქვს, არამედ ისეთიც, რომელიც მხოლოდ ქრთამის ამღები პირისათვის წარმოადგენს ღირებულებას.

ავტორთა აზრით ასეთი შეხედულება მეტისმეტად აფართოვებს ქრთამის საგნის ცნებას. ესა თუ ის ნივთი ქრთამის საგანად, რომ ჩვეთვალთ, საქმარისი არ არის მას მხოლოდ მატერიალური, ფიზიკური ხასიათი ჰქონდეს, მას უნდა ჰქონდეს გარკვეული საცვლელი ღირებულება.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სწორი უნდა იყოს.

სარეცენზიო წიგნის მეორე თავში საქმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი მექრთამეობის ობიექტური მხარის გარკვევას (§ 3, გვ. 51—79). ეს საკითხი განხილულია მრავალმხრივ და თითქმის ამომწურავად: მითითებულია ობიექტური მხარის ნიშნებზე, იმ გზებზე და ხერხებზე, რომლითაც ხდება ქრთამის მიცემა-აღება და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომში მკვეთრად არის გამოიხსნილი ქრთამი ჩვეულებრივი საჩუქრისაგან. ავტორთა აზრით, ქრთამთან შეიძლება საქმე გვექონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი აპირობებს თანამდებობის

პირის მოქმედებას ან მოყვება ამ მოქმედებას, სადაც ასეთი კავშირი დარღვეულია, იქ არც მექრთამეობას ექნება ადგილი. აქედან გამომდინარე ავტორები არ თვლიან ქრთამად შემთხვევას, როდესაც საჩუქარი თანამდებობის პირს გადაეცემა ვთქვათ მეგობრულად, მდლობის ნიშნად გაწეული სტუმართმოყვარეობისათვის და ა. შ. (გვ. 57). აქვე გაკრიტიკებულია პროფ. ვ. მენშავინის აზრი, რომლის თანახმად ქრთამად არ უნდა ჩაითვალოს თანამდებობის პირის მიერ მატერიალური სიკეთის მიღება მხოლოდ ზოგადი, ქრთამის მიძეგმისათვის მომავალში ხელსაყრელი საქციელისათვის. ავტორები ემხრობიან საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმულ შეხედულებას, რომელიც საწინააღმდეგო აზრს ადგას და თავისი დებულების ნათელსაყოფად მოაქვთ მაგალითები, როდესაც თანამდებობის პირისათვის საჩუქრის გადაცემა ხდება მასზე სამსახურებრივად დამოკიდებული პირისაგან.

ეჭვს ვარგეშა რომ ზემდგომი თანამდებობის პირისათვის საჩუქრის მიცემა იმ ვარაუდითა, რომ მისკენ გადმოიბიროს უფროსი და ამით თავი დაიცვას მოსალოდნელი სამსახურებრივი უსიამოვნებისაგან, ან იმ მიზნით, რომ გაიუმჯობესოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, უნდა განიხილებოდეს მექრთამეობად. ასეთ მოქმედება საზოგადოებრივად საშიშია, ვინაიდან მას შეიძლება დაწესებულებაში ან ორგანიზაციაში შექმნას პრივილეგიებული წრე თანაშრომლებისა, რომლებმაც ასეთ მდგომარეობას დაუქმსახურებლად მიადწიეს. ამან კი თავისთავად არ შეიძლება უარყოფითად არ იმოქმედოს საბჭოთა აპარატის ნორმალურ მუშაობაზე და არ შელახოს მისი ავტორიტეტი. მაგრამ ნაშრომში არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებ თუ როგორ უნდა განიხილებოდეს შემთხვევა, როდესაც თანამდებობის პირს საჩუქარი მიერთმევა სამსახურებრივად მასზე არადაამოკიდებული პირისაგან იმ მიზნით, რომ დაიხალხოვოს იგი და შესაბამის შემთხვევაში გამოიყენოს მფარველად. ჩვენის აზრით ასეთ შემთხვევაში მექრთამეობას ადგილი არ ექნება. კარგი იქნებოდა, რომ ავტორებს პირდაპირ მიეთითებინათ ამაზე.

მე-4 პარაგრაფი ეხება მექრთამეობის სუბიექტების საკითხს, მითითებულია, თუ ვინ შეიძლება იყოს ქრთამის მიცემის და აღების სუბიექტი. ხაზგასმულია, რომ ქრთამის აღების სუბიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ თანამდებობის პირი. აქვე განმარტებულია თანამდებო-



ბის პირის ცნება. ავტორები საგანგებოდ ეხებოდნენ საკითხს, შეიძლება თუ არა თანამდებობის პირად ჩავთვალოთ სკოლის ან უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებელი, აგრეთვე, საავადმყოფოს, პოლიკლინიკის ექიმი და ა. შ. უხდოთ იქნება რომ ეს პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი და თეორიულად საკმაოდ რთული საკითხი სარეცენზიო წიგნში გადაჭრილია ნათლად და ჩვენის აზრით სწორად.

ავტორთა აზრით თუ მასწავლებელი, ან ექიმი უკანონო გასამრჯელოს ღებულობს მოქმედებათა კომპლექსის შესრულებისათვის, რასაც სხვა პირებისათვის განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი მოაქვს (ატესტატის, ან ბიულეტენის გაცემა, პენსიის დანიშვნა და სხვ.), მაშინ ისინი ჩათვლებიან თანამდებობის პირებად და პასუხი უნდა აგონ ქრთამის აღებისათვის. ქრთამის აღებად არ ჩათვლება ისეთი შემთხვევები, როდესაც საჩუქარი დაკავშირებულია მხოლოდ წმინდა პროფესიულ საქმიანობასთან (სკოლადამთავრებული თავისი გრძნობების გამოსახატავად საჩუქარს აძლევს მასწავლებელს, ან ყოფილი ავადმყოფი საჩუქარს აძლევს ქირურგს წარმატებით დამთავრებული ოპერაციისათვის) რასაკვირველია, ასეთი მოქმედებაც არ არის მისასაღმებელი და ამიტომ არ სცდება ავტორები, როდესაც საჭიროდ თვლიან ამგვარი საჩუქრების წინააღმდეგ ბრძოლას დისციპლინური ღონისძიებით და საზოგადოებრივი ზემოქმედების საშუალებით.

მექრთამეობის სუბიექტური მხარის გარკვევისას (§ 5, გვ. 94—104) ავტორები მიუთითებენ ერთ-ერთ ფრიად მნიშვნელოვან მომენტზე. გამოდიან, რა მექრთამეობის, როგორც ორმხრივი დანაშაულის ბუნებიდან, თვლიან რომ ამ დანაშაულის სუბიექტებს განზრახვას ერთგვარი ერთიანობა და საერთო მიმართულება უნდა ახასიათებდეს. მათი აზრით საჭიროა, რომ ქრთამის ამღებებს შეეცნობილი ჰქონდეს მეორე პირის განზრახვა — მისცეს ქრთამი, ასევე ქრთამის მიმცემს შეგნებული უნდა ჰქონდეს მეორე მხარის განზრახვა მიიღოს ქრთამი. თითოეულ მხარეს შეგნებული უნდა ჰქონდეს არა მარტო ის, თუ რა სურს მეორეს, არამედ ისიც, რომ ეს ცნობილია მეორე მხარისათვის. ასეთი დანაშაულებრივი ურთიერთგაგება გამოიხატება ქრთამის მიცემა-აღებას შესახებ აშკარა ან მტუშარე შეთანხმებაში. მხარეთა შორის ასეთი შეთანხმების გარეშე, ავტორთა აზრით, დამთავრებული მექრთამეობა არ არსებობს.

მე-6 პარაგრაფში ავტორები ეხებიან მექრთამეობის მცდელობის საკითხს. აღგნენ, თუ როდის შეიძლება ჩაითვალოს ქრთამის მიცემა-აღება დამთავრებულად. მიუთითებენ, რომ „თუ დამთავრებული მექრთამეობის შემთხვევაში პასუხს ჩვეულებრივად ორივე ავტორს, როგორც ქრთამის მიმცემი ისე ქრთამის ამღები, დაუთავრებელი მექრთამეობის დროს შესაძლებელია პასუხი აგოს მხოლოდ ერთმა, სახელდობრ იმან, ვინც დანაშაულის გზას დააღვა“ (გვ. 107).

აქვე განხილულია მექრთამეობაზე ნებაყოფლობით ხელის ადების შემთხვევები.

მე-7 პარაგრაფი (გვ. 112—129) ეხება თანამონაწილეობას და კერძოდ, შუამავლობას მექრთამეობაში. განხილულია მექრთამეობაში თანაბრალეულობის შემთხვევები; აგრეთვე მოცემულია მექრთამეობის ორგანიზატორის, წამქმნელის და დამხმარის ცნება.

განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება მექრთამეობაში შუამავლობისადმი. განხილულია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი კისრულობს შუამავლის როლს იმ მიზნით, რომ გამოტყუოს ფასეულობა, „ქრთამის მიმცემს“ და მიითვისოს იგი. აქ ავტორების მიერ განიარაღებულია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილება, რომლის თანახმად „ისეთ შემთხვევებში, როდესაც პირი აქეზებს ქრთამის მიმცემს და მისგან ღებულობს ფულს ან სხვა ფასეულობის ვითომდა ქრთამის სახით თანამდებობის პირისათვის გადასაცემად, მაგრამ მას ფაქტიურად ითვისებს, ეს დანაშაული იმ პირთა მიმართ, რომლებიც იყოლებენ ქრთამის მიცემაზე, საჭიროა დაკავალიფიცირდეს, როგორც ქრთამის მიცემის წამქმნებლობა, ხოლო ქრთამის მიმცემის მიმართ — როგორც ქრთამის მიცემის მცდელობა“¹. დადგენილების ეს ადგილი ბადებს მთელ რიგ თეორიულად და პრაქტიკულად საინტერესო საკითხებს, რომლებზეც შეჩერება საჩუქრული წიგნის ნაშრომში აუცილებელი იყო: ა) უზიარველეს ყოვლისა განხილულ უნდა ყოფილიყო საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ უნდა ითვლებოდეს ამგვარი „შუამავლის“ მოქმედება თაღლითობად. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 153-ე მუხლის თანახმად თაღლითობად ითვლება „მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლებები ან ქონებრივი გამორჩენის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით. განა ზემოთ აღწერილი „შუამავლის“ მოქმედება დანაშაულის ამ შემადგენლობას არ ემთხვევა?

ბ) როგორც უკვე აღვნიშნეთ, პლენუმი თაღ-

¹ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963, М., 1964, стр. 262.

ლით „შუამავალს“ თვლის ქრთამის აღების წამქმნებლად. საქართველოს სსრ სს კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით წამქმნებლად ითვლება ის, „ვინც დანაშაულის ჩასადენად სხვას დაიყოლებს“. როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის თეორია გვაწვავს, წამქმნებლობა ეს განზრახი მოქმედებაა. წამქმნებლის განზრახვა უნდა მოიცავდეს უპირველეს ყოვლისა ყველა იმ ფაქტიურ გარემოებას, რომელიც ქმნის მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ ნიშნებს, და აგრეთვე მიზეზობრივი კავშირის საერთო განვითარებას მოქმედებასა და დამდგარ დანაშაულებრივ შედეგს შორის.¹

შეიძლება ზემოთ აღწერილ შემთხვევაში იმის მტკიცება, რომ თაღლითი „შუამავლის“ განზრახვა თანამდებობის პირისათვის ქრთამის გადაცემაზეა მიმართული? ანდა შეიძლება აქ საერთოდ დაისვას საკითხი ქრთამის აღებაში თანამონაწილეობაზე?

გ) ზემოთ აღწერილ შემთხვევაში „ქრთამის მიმცემი“ უმალესი სასამართლოს პლენუმის აზრით უნდა დაისჯოს ქრთამის მიცემის მცდელობისათვის.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მიხედვით „დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახ მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად...“ უდავოა, რომ მცდელობის დროს მოქმედება უშუალოდ მიმართულია დანაშაულებრივი შედეგისაკენ არა მარტო სუბიექტურად, არამედ ობიექტურადაც, რადგან „მცდელობა მდგომარეობს ისეთი მოქმედების ჩადენაში, რომელიც ჰქმნის დანაშაულის შემადგენლობით გათვალისწინებულ ზიანის განზოცოების უშუალო საფრთხეს“.² შეიძლება იმის მტკიცება, რომ ზემოთ აღწერილ შემთხვევაში ობიექტურად შექმნილია ქრთამის მიცემა-აღების უშუალო საკითხი?

შემგებლობასთან დაკავშირებული საკითხების განხილვის დროს ავტორები აღნიშნავენ, რომ მექრთამეობის შესახებ განუცხადებლობა საერთო წესით არ იწვევს სისხლისამართლებრივ

პასუხისმგებლობას (გვ. 129). გამოჩალის წარმოდგენს ისეთი შემთხვევა, როდესაც თანამდებობრივ პირს აწევს სპეციალური მოვალეობა აცნობოს ჩადენილი მექრთამეობის, ანდა ამ დანაშაულის მომზადების შესახებ. ასეთ შემთხვევაში თანამდებობის პირის მიერ დანაშაულის სამხილებლად ან მისი თავიდან ასაცილებლად საჭირო ზომების მიუღებლობა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსრ სსკ 186-ე მუხლით. მაგრამ, თუ მექრთამეს ასეთი თანამდებობის პირი წინასწარ შეჰპირდა, რომ იგი არ განაცხადებს მომზადების შესახებ, მაშინ, თანამდებობის პირი, რომელმაც წინასწარ შეცნობით თავისი ასეთი მოქმედებით განუმტკიცა სხვას დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილება, ჩაითვლება დამხმარედ და პასუხს აგებს, როგორც მექრთამეობის თანამონაწილე (გვ. 129). საკითხის ამგვარი გადაწყვეტა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ერთხმად არის აღიარებული და ეს საკითხი გასაგებია.³ თანამდებობის პირი, ან შემთხვევაში არღვევს სპეციალურ სამსახურებრივ მოვალეობას — წინ აღუდგეს დანაშაულის ჩადენას. თანამდებობის პირს მისგან მოსალოდნელი ამ მოქმედების შესრულებით შეუძლია აიცილოს საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომა. გარდა ამისა, დაბრუნება, რომ ხელი არ შეეშლება დანაშაულის ჩადენას, პირს განუმტკიცებს დანაშაულის ჩადენის გადაწყვეტილებას. ყოველივე ეს ლაპარაკობს იმაზე, რომ ასეთი თანამდებობის პირის ქცევა იმყოფება მიზეზობრივ კავშირში დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგთან. არ იწვევს ეჭვს არც ქმედობის შინაგანი მხარე. ხელის შეუშულობის შეპირება ფაქტიურად მოიცავს დანაშაულის ჩადენაში დახმარების აღქმასაც.

სარეცენზიო წიგნის მე-3 თავი (გვ. 130-157) ეხება მექრთამეობის კვალიფიციურ სახეებს. აქ თანამიმდევრულადაა განხილული ისეთი დამამძიმებელი გარემოებები, როგორცაა: ნასამართლობა მექრთამეობისათვის; არაერთგვარადი

¹ იხ. А. А. Пионтковский, Учение о преступлении по советскому уголовному праву, М., 1961, стр. 673.

² თ. ფერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 102.

³ სხვათაშორის, ზოგიერთი კრიმინალისტი უფრო შორს მიდის და სთვლის, რომ წინასწარ შეპირებული განუცხადებლობა, განუჩვენებლობა იმისა, თუ ვინ იძლევა ასეთ პირობას, უნდა განიხილებოდეს თანამონაწილეობად დანაშაულში. ასე მაგალითად, ცნობილი საბჭოთა ოფრისტი პროფ. ა. პიონტოვსკი წერს: „იმ შემთხვევაში“, როდესაც აღმსრულებელს წინასწარ მიეცა შეპირება დანაშაულის განუცხადებლობის შესახებ, იგი იმყოფება ჩადენილ დანაშაულთან მიზეზობრივ კავშირში და ამიტომ ასეთი პირობის მიცემა უნდა განიხილებოდეს ჩადენილ დანაშაულში ინტელექტუალური დახმარების ფორმით თანამონაწილეობად. (А. А. Пионтковский, Учение и преступление, М., 1961, стр. 600).



ქრთამის აღება, მექრთამეობაში შუამავლობა ან ქრთამის მიცემა. აქვე განხილულია ქრთამის აღების ისეთი დამამძიმებელი გარემოება, როგორც არის ქრთამის ამღები თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობა. ეს საკითხი პრაქტიკულად მეტად მნიშვნელოვანი და არასათანადოდ გარკვეული საკითხია, რადგან კანონმდებელი არ იძლევა მითითებას, თუ ვინ შეიძლება ჩინთავლოს პასუხსაგები მდგომარეობის მქონე თანამდებობის პირად. წიგნში სავსებით დამაჯერებლად არის დასაბუთებული იმ შეხედულებათა არასიზუსტე, რომლებიც ამ საკითხის ირგვლივ გამოთქმულია სხვათა სისხლის სამართლის თეორიაში პროფ. ი. ჟიქოლენკოს, პროფ. ა. ტრაინინის, პროფ. ვ. მენშაინის და სხვათა მიერ. ავტორები იზიარებენ იმ კრიმინალისტთა შეხედულებას (ნ. კუჩერიავი, ს. ზაკუტსკი, ვ. კირიჩენკო და სხვ.), რომელთა აზრით თანამდებობის პირის პასუხსაგები მდგომარეობის წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია და ეს ფაქტის საკითხად უნდა იქნეს ცნობილი.

ამავე დროს ნაშრომში გატარებულია აზრი, რომ მოსამართლეებმა ამ საკითხის გადაწყვეტისას ყურადღება უნდა გაამახვილონ არა მარტო იმაზე, თუ რა თანამდებობა უჭირავს პირს საერთოდ, არამედ იმაზეც, თუ რამდენად მნიშვნელოვან დავალებას ასრულებდა თანამდებობის პირი ქრთამის აღების მომენტში. აქედან გამომდინარე ავტორებს არასწორად მიაჩნიათ, საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებული შემთხვევები, როდესაც სასამართლომ არ სცნო პასუხსაგები მდგომარეობის მქონე თანამდებობის პირად ექიმი. რომელიც მონაწილეობდა სახელდრო კომისიატთან შექმნილ კომისიაში, და მილიციის მუშაკი, რომელსაც ევალებოდა შეემოწმებინა და არ დაეშვა დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულებამდე მანდარინით დატვირთული მანქანების გასვლა საქართველოდან რუსეთში.

ჩვენის აზრით, ამ შემთხვევაში საქართველოს სსრ სასამართლო პრაქტიკა სწორ გზაზე დგას. თავისთავად სამსახურებრივი დავალების მნიშვნელობამ და მისი შეუსრულებლობასთან დაკავშირებული შედეგების სიმძიმემ არ შეიძლება ადამიანი აქციოს პასუხსაგები მდგომარეობის თანამდებობის პირად. ამასთან ერთად ის მკაცრი სასჯელი, რომელიც ამჟამად დაწესებულია არაკვალიფიციური მექრთამეობისთვისაც კი, ჩვენის აზრით, არ გვაძლევს საფუძველს, გავაფართოვოთ პასუხსაგები მდგომარეობის მქონე „თანამდებობის პირის“ ცნება.

ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული პასუხისმგებლობის ისეთ დამამძიმებელ გარემოებაზე, როგორც არის ქრთამის გამოძალვა. კარგად არის გამოჩენილი ერთმანეთისაგან ქრთამის გამოძალგის და ქონების გამოძალგის დანაშაულის

შემადგენლობანი. ყურადღებას იპყრობს საკითხის ლოგიკური და ჩვენი აზრით, სავსებით სწორი გადაწყვეტა, როდესაც შრომაში განხილულია გამოძალგის ისეთი შემთხვევები როცა თანამდებობის პირი იმუქრება კანონიერი მოქმედების შესრულებით. არ იზიარებენ რა ვ. კირიჩენკოს შეხედულებას, ავტორები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებაზე დაყრდნობით არ თვლიან ასეთ მოქმედებას გამოძალგად და არ ათავისუფლებენ პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიმცემს.

სარეცენზოო წიგნის მეოთხე თავი (გვ. 158-179) მიძღვნილია მექრთამეობისათვის სასჯელის დანიშვნისადმი. ნაჩვენებია თუ კონკრეტულად რა სახის ძირითადი და დამატებითი სასჯელი ეფარდება დამნაშავეებს. ჩამოთვლილია, როგორც დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებანი, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ მექრთამეობისათვის კონკრეტული სასჯელის შეფარდების დროს. აქვე განხილულია საკითხი იმის შესახებ თუ რა ბედი ეწვევა ქრთამის საგანს.

წიგნის მე-5 თავში (გვ. 180-215) განხილულია მექრთამეობის სპეციალური საკითხები. კერძოდ: ა) პასუხისმგებლობა მექრთამეობასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულისათვის; ბ) გარემოებანი, რომლებიც ათავისუფლებენ პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიმცემს და გ) ქრთამის პროვოკაცია.

ავტორები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას გარემოებებზე, რომლებიც ათავისუფლებენ პასუხისმგებლობისაგან ქრთამის მიმცემს. კარგად არის დასაბუთებული, თუ რატომ ათავისუფლებდა ქრთამის მიმცემი ამის შესახებ ნებაყოფლობით განცხადების შემთხვევაში და რატომ არ ათავისუფლებდა ასეთივე მოქმედებისათვის ქრთამის ამღები ან შუამავალი. ნათლად არის განმარტებული თუ რა შემთხვევაში გამოირიცხავს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას მომხდარის შესახებ განცხადება და როგორ უნდა იქნას გაგებული კანონის მოთხოვნა განცხადების ნებაყოფლობით შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ავტორთა მიჯნობა დამაჯერებელი და ძირითადად სწორია, თუმცა აქ დამწებულია ერთი უზუსტობა.

ნაშრომში გატარებული აზრის თანახმად თუ ახლობელი ან სხვა პირი ქრთამის მიმცემს წინადადებას აძლევს განაცხადოს ჩადენილი დანაშაულის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თვითონვე დაუყოვნებლივ შეატყობინებს ხელისუფლებას, და ასეთი მუქარის გამო აკეთებს განცხადებას, მაშინ იგი არ უნდა განათავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან.

საქმის ასეთი გადაწყვეტა არ უნდა გამოძლი-

ნარეობდეს კანონიდან. იძლევა რა კანონის განმარტებას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში, 1962 წლის 31 ივლისის დადგენილებაში პირდაპირ მიუთითებს მოსამართლეებს, რომ ქრთამის მიცემის ნებაყოფლობით განცხადებაში იგულისხმება ამგვარი განცხადებით მიმართვა მილიციაში, პროკურატურაში, სასამართლოში და აგრეთვე სხვა საბჭოთა ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, რომელიც გაკეთებულია ქრთამის მიმცემის მიერ მიუხედავად მოტივებისა (ხაზგასმა ჩვენია — თ. შ.), მაგრამ არა იმასთან დაკავშირებით, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული უკვე ცნობილი გახდა ხელისუფლების ორგანოებისათვის.¹ აქედან გამომდინარე, ჩვენის აზრით, სასამართლომ არც კი უნდა იმსჯელოს იმის შესახებ თუ რა მოტივით განაცხადა ქრთამის მიმცემმა მომხდარის შესახებ და მის გასათავისუფლებლად საქმარისი უნდა იყოს იმ ფაქტის დადგენა, რომ განცხადება მოხდა უფრო ადრე ვიდრე ქრთამის მიცემის შესახებ გაიგებდა ხელისუფლების ესა თუ ის ორგანო.

თუმცა მექრთამეობის მიზეზების შესწავლა და ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხერხების შემუშავება არ არის სარეცენზოო წიგნის

მიზანი, რადგან იგი, როგორც სათაურიდან სჩანს ეხება მხოლოდ მექრთამეობისათვის პასუხისმგებლობის საკითხს, მაგრამ მისასაღმებელია, რომ წიგნში შეტანილია სპეციალური თავი (მე-6, გვ. 216—237), რომელიც ეხება ქრთამის მიცემადების ფაქტის დადგენის საკითხს და საზოგადოებრიობის მონაწილეობას მექრთამეობასთან ბრძოლაში. აქ ზოგადად არის გაშუქებული მთელი რიგი საჭირობო საკითხი, რომელიც ინტერესს არ არის მოკლებული და გარკვეულ სამსახურს გაუწევს იმ ორგანოთა მუშაობას, რომლებიც მოწოდებული არიან ებრძოლონ მექრთამეობას.

ვ. მაყაშვილის და გ. ტყეშელიაძის ნაშრომი „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის“ არის სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა სისხლის სამართლის ერთ-ერთი რთული და პრაქტიკულად მეტად საჭირო საკითხისა. აღნიშნული მონოგრაფია კარგი შენაძენია ქართველ პრაქტიკოს და მეცნიერ იურისტებისათვის. სასურველია, რომ იგი ითარგმნოს რუსულ ენაზე რათა ხელმისაწვდომი გახდეს მკითხველთა უფრო ფართო წრისათვის.

თ. შავჭულიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

¹ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР, 1924—1963, М., 1964, стр. 262.

საინფორმაციო გამოკვლევა

გამომცემლობა „მეცნიერება“ ახლახან გამოსცა თ. ცაგურის ნაშრომი „სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის დაშვების ან სიკვდილისათვის“. ეს არის ამ თემაზე ქართულად დაწერილი პირველი ორიგინალური წიგნი. ავტორმა ლიტერატურის, საკანონმდებლო მასალისა და სასამართლო პრაქტიკის საფუძვლიანი დამუშავებით დაძლია თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით მეტად რთული და აქტუალური თემა.

წიგნი შედგება 6 თავისაგან.

წიგნის მეორე თავში ავტორი ღრმა მეცნიერულ ანალიზს უკეთებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის ისეთ აუცილებელ პირობებს როგორცაა, რეალური ქონებრივი ზიანი და მიზეზობრივი კავშირი. ავტორი არ იფარგლება ამა თუ იმ სადავო საკითხზე სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებების მარტოდენ აღნიშვნით და ამ მოსაზრებათა სათანადო ანალიზის საფუძველზე იძლევა სწორ რეკომენდაციებს ან ასაბუთებს თავის შეხედულებებს.

თითქმის ყველა მნიშვნელოვანი დებულების და მოსაზრების დასასაბუთებლად ავტორს მოტანილი აქვს მეტად დამაჯერებელი მაგალითები სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს, საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო პრაქტიკიდან. წიგნში გადმოცემულია თუ როგორ იყო განმარტებული თემასთან დაკავშირებული საკითხები 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსით და როგორ განმარტავს მათ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საფუძვლები და ახალი სამოქალაქო სამართლის კოდექსი.

წიგნის ბოლო თავში განხილულია საკითხი

რეგრესული მოთხოვნის უფლებაზე. ავტორი სწორად აღნიშნავს, რომ რეგრესული მოთხოვნის დროს მუშაკის მატერიალური პასუხისმგებლობა ორგანიზაციის წინაშე შრომის კანონმდებლობით წესრიგდება. არაერთგვაროვანია სასამართლო პრაქტიკა რეგრესული სარჩელების გადაწყვეტის საკითხში, რაც ძირითადად გაპირობებულია სამოქალაქო და შრომის კანონმდებლობის უფლებრივი რეგულირების ზღვარის დადგენის სირთულით.

სასურველი იყო ავტორს ეს საკითხი უფრო ვრცლად გადმოეცა, რითაც კარგ სამსახურს გაუწევდა სასამართლოებს ამ საკითხზე სწორი, ერთიანი პრაქტიკის დადგენის საქმეში.

წიგნში ავტორი ხმარობს ტერმინს — მუშაკის „დაშვება“ როგორც ეს აღნიშნული იყო 1923 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსში (415¹ მუხლი). ახალი კოდექსით ეს ტერმინი არ იხმარება. იგი შეცვლილია ტერმინით — „ჯანმრთელობის დაზიანება“ ან „ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება“.

თ. ცაგურის შრომა „სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის დაშვების ან სიკვდილისათვის“ ხელს შეუწყობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკის დადგენას, დაეხმარება სასამართლო-პროკურატურის მუშაკებს დაზარალებულის წინაშე დამზღვევის პასუხისმგებლობის საკითხების სწორად გადაწყვეტაში. იგი სასარგებლოა აგრეთვე სტუდენტებისათვის, მეცნიერ-მუშაკებისათვის და ამ საკითხების შესწავლით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

ბ. დევდარიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

მეჩის ორგანოების ზრუნობა

**1. რაიონულ და საქალაქო, აგრეთვე, ქალაქის რაიონების მშრომელთა დებუ-
ტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ განსაკუთრებულ
შემთხვევებში ქალისათვის შეამცირონ საქორწინო ასაკი ერთ წლამდე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში შემოვიდა მოქალაქე ხ-ს განცხადება იმის შესახებ, რომ მამის ბიურო არ ატარებს მას ქორწინების რეგისტრაციაში კ-თან, რადგან ქალი 17 წლი-საა და საქორწინო ასაკად კი როგორც ვაჟი-სათვის, ისე ქალისათვის დაწესებულია 18 წე-ლი. განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მათ აქვთ საერთო ოჯახი და ელიან ბავშვს.

არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარ-ტა მოქალაქე ხ-ს, რომ, მართალია, საქორწინო ასაკად ჩვენი კანონმდებლობით დაწესებუ-ლია 18 წელი, მაგრამ გამონაკლის შემთხვევებ-ში რაიონული და საქალაქო, აგრეთვე, ქალა-ქის რაიონების მშრომელთა დებუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძ-ლიათ ცალკეული შუამდგომლობებით შეამ-ცირონ ქალებისათვის დაწესებული საქორწი-ნო ასაკი არა უმეტესი ვიდრე ერთი წლისა.

**2. საბჭოთა მოქალაქის უცხოელთან ქორწინების რეგისტრაციის დროს სა-
ჭიროა გათვალისწინებულ იქნას ის პირობები, რომლებიც დაწესებულია იმ სა-
ხელმწიფოს კანონმდებლობით, რომელსაც ეს უცხოელი ეკუთვნის.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არ-სებულ იურიდიულ კომისიაში განცხადებით შემოვიდა მოქალაქე პ-ა, იმის შესახებ, რომ სურს გატარდეს ქორწინების რეგისტრაცია-ში ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბ-ლიკის მოქალაქესთან, მაგრამ მამის ბიურო არ ატარებს რეგისტრაციაში იქამდე, ვიდრე არ მიიღებენ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლებისაგან ნებართვას ამ ქორწინების რეგისტრაციაზე.

კიის სოციალისტური რესპუბლიკის შინა-გან საქმეთა სამინისტროდან; წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია ასეთი ქორწინება ბათილად იქნეს ცნობილი ჩეხოსლოვაკიაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მოქალაქე პ-ას, რომ მამის ბიუროს მოქმედე-ბა სწორია.

მიმართავენ რა კონკრეტულ შემთხვევაში მექორწინებები მამის ბიუროს, ეს უკანასკნელი ნიშნავს ქორწინების რეგისტრაციის დღეს იმ ვარაუდით, რომ მოესწროს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკიდან ნებართვის მიღება; თუ დანიშნულ დღისათვის ნე-ბართვა არ იქნება მიღებული მექორწინე მხა-რეთა შეთანხმებით შესაძლებელია ასეთი ქორ-წინება იქნეს რეგისტრირებული, მაგრამ მამის ბიურო ქორწინების სააქტო ჩანა-წერის „განსაკუთრებული აღნიშვნების“ გრა-ფაში აკეთებს შენიშვნას, რომ მექორწინებები გაფრთხილებული არიან ჩეხოსლოვაკიის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შედეგებ-ზე.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბ-ლიკის კანონმდებლობის მიხედვით ჩეხმა მოქალაქემ, რომელსაც სურს უცხოელ-თან ქორწინების რეგისტრაცია, უნდა მიი-ღოს ამ ქორწინებაზე ნებართვა ჩეხოსლოვა-

**3. სასამართლოს გადაწყვეტილება ქორწინების შეწყვეტის შესახებ არ ნიშ-
ნავს, რომ მეუღლეთა შორის ქორწინების აქტი შეწყვეტილია; ქორწინების
აქტის შეწყვეტისათვის საჭიროა ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მამის ბიუ-
როში ჩაიწეროს ქორწინების შეწყვეტის აქტი.**

ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის მამის ბიუროს ქორწინების რეგისტრაციისათვის მიმართა მოქალაქე ბ-მა და განცხადებაში ქორ-წინების შესახებ უჩვენა, რომ შედის მეორე ქორწინებაში. პირველი ქორწინების შეწყვე-ტის საფუძველად წარადგინა საქართველოს

სსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილება განქორწინების შესახებ. მამის ბიურომ უარი უთხრა მოქალაქე ბ-ს ქორწინების რეგისტრა-ციაზე იმ მოტივით, რომ სასამართლოს გადა-წყვეტილება ქორწინების შეწყვეტაზე ჯერ კი-დეც არ ნიშნავს იმას, რომ მოქალაქე ბ-ს მი-



მართ წინა ქორწინების აქტი შეწყვეტილია და, რომ მეორედ ქორწინების რეგისტრაციისათვის საჭიროა მოქალაქემ მმაჩის ბიუროში წარადგინოს პირველი ქორწინების შეწყვეტის მოწმობა (გარდაცვალების ან განქორწინების).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მოქალაქე ბ-ს, რომ ქორწინების შეწყვეტისათვის საჭიროა: გადაიხადოს სასამართლოს გადაწყვეტილებით მისჯილი სახბაჟი 50 მანეთი,

თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მმაჩის ბიუროში წარადგინოს წერილობითი განცხადება ქორწინების შეწყვეტის შესახებ, სასამართლოს გადაწყვეტილება და სახბაჟის გადახდის შესახებ ქვითარი. ხსენებული საბუთების საფუძველზე მმაჩის ბიურო ჩასწერს ქორწინების შეწყვეტის აქტს და გასცემს ქორწინების შეწყვეტის მოწმობას; მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მოქალაქე ბ-ს შევიდეს მეორე ქორწინებაში.

4. დაბადების სააქტო ჩანაწერი პირველადი საბუთთა, რომლის საფუძველზეც ივსება სხვა დანარჩენი საბუთები პიროვნების მიმართ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში განცხადებით შემოვიდა მოქალაქე ს-ლი, რომელიც თხოვლობდა თავის დაბადების სააქტო ჩანაწერში სახელი „მარიამის“ შესწორებას „მერი“. თავის თხოვნის მოტივად მოჰყავდა ის გარემოება, რომ მას პასპორტში, ქორწინებისა და ბავშვების დაბადების სააქტო ჩანაწერებში სახელი უწერია არა „მარიამი“, არამედ „მერი“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მოქალაქე ს-ს, რომ დაბადების სააქტო ჩანაწერი და მის საფუძველზე გაცემული და-

ბადების მოწმობა პირველადი საბუთებია, რომელთა მიხედვითაც უნდა იქნას შევსებული სხვა დანარჩენი საბუთები პიროვნების მიმართ, იქნება ეს პასპორტი, განათლების მოწმობა, ქორწინების სააქტო ჩანაწერი თუ სხვა. იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელს სურს შესაბამისობაში მოიყვანოს თავისი პირადი საბუთები დაბადების ჩანაწერის საფუძველზე უნდა იქნას მათში შეტანილი შესწორება, ხოლო თუ სურს თვით დაბადების სააქტო ჩანაწერში შეტანილი სახელის შესწორება სხვა საბუთების საფუძველზე, ეს უნდა მოხდეს სახელის გამოცვლის საერთო წესის მიხედვით.

5. გვარის და სახელის გამოცვლა წარმოებს 18 წლის ასაკიდან. არასრულწლოვანთა სახელისა და გვარის გამოცვლა დაიშვება განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა გამოცვლა გამომდინარეობს არასრულწლოვანის ინტერესებიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში განცხადებით შემოვიდა მოქალაქე გ-ა, რომელიც მოითხოვდა მის მცირეწლოვან შვილს დაბადების სააქტო ჩანაწერში სახელი „არჩილი“ გამოსცვლოდა „გოთრავით“. თავისი თხოვნის მოტივად მოჰყავდა პირადი სურვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მოქალაქე გ-ს, რომ გვარისა და სახელის გამოცვლა დაიშვება 18 წლის ასაკიდან, მით უმეტეს, კონკრეტულ შემთხვევაში, მცირეწლოვანს ჰქვია დამკვიდრებული, სრული სახელი „არჩილი“ და ამ სახელით ბავშვის ინტერესები არ ილახება.

მმაჩის ბიუროს განცხადებით მიმართა მოქალაქე დ-მა, რათა მის მცირეწლოვან შვილს შეეთხოვებინა და არასრული სახელი „გელოდე“ გამოსცვლიდა სრული სახელით „პაატა“. მმა-

ჩის ბიურომ უარი უთხრა განმცხადებელს იმ მოტივით, რომ სახელის ან გვარის გამოცვლა 18 წლამდე არ დაიშვება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მმაჩის ბიუროსა და მოქალაქე დ-ს, რომ, მართალია, სახელის ან გვარის გამოცვლა სწარმოებს სრულწლოვანების მიღწევიდან, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანს აქვს შეთხოვლი, დამახინჯებული, ანდა გამაზღვრებელი სახელი, რითაც ბავშვის ინტერესები იბღალბება, ასეთ შემთხვევაში ორივე მშობლის განცხადების საფუძველზე შესაძლებელია ბავშვს გამოეცვალოს სახელი, თუმც ამ დროს არასრულწლოვანის მშობლებს სახბაჟი (15 მან) არ გადახდებოდა, არ ჩაიწერება სახელის ან გვარის გამოცვლის აქტი და არ გაიცემა სახელის ან გვარის გამოცვლის მოწმობა.

6. მოქალაქეთა ეროვნების გამოცვლა კანონით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში განცხადებით შემოვიდა მოქალაქე ჯ-ლი, რომელიც მოითხოვდა ეროვნების გამოცვლას და აღნიშნავდა, რომ გამოიცვალა გვარი და სურს მის შესაბამისად გამოიცვალოს ეროვნებაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მოქალაქე ჯ-ს, რომ მოქალაქეთა ეროვნების

საკითხი სწყდება პირველი პასპორტის მიღების დროს (თუ მშობლები ერთი ეროვნების არიან, შვილიც ღებულობს მშობლების ეროვნებას, ხოლო თუ მშობლები სხვადასხვა ეროვნებისანი არიან შვილი ირჩევს ერთ-ერთ მათგანს ეროვნებას) და ამის შემდეგ ეროვნების გამოცვლა კანონით გათვალისწინებული არ არის.

7. მოქალაქეობრივი მდგომარეობის სააქტო ჩანაწერების გაუქმება წარმოებს სასამართლოს წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში შემოვიდა მოქალაქე ქ-ძის განცხადება იმის შესახებ, რომ მისმა ქმარმა მოქალაქე ქ-ძემ წყალტუბოს რაიონის მმაჩის ბიუროში გააფორმა მცირეწლოვან ბ-ის შვილად აყვანა ისე, რომ არ ჰქონდა განმცხადებლის თანხმობა შვილად აყვანაზე, მაშინ, როცა ისინი რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან, რის გამოც მოითხოვა შვილად აყვანის აქტის გაუქმება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მოქალაქე ქ-ძეს, რომ შვილად აყვანის საკითხს სწავლობენ და სწყვეტენ სამეურვეო და

სამზრუნველო ორგანოები, რომელთა დადგენილების საფუძველზე სწარმოებს მმაჩის ბიუროში შვილად აყვანის აქტის ჩაწერა და შვილად აყვანის მოწმობის გაცემა. თუ შვილად აყვანის გაფორმებისას საქმეში არ არსებობს მოქალაქე ქ-ძის თანხმობა მისი ქმრის მიერ ბავშვის შვილად აყვანის შესახებ, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს სამეურვეო ორგანოს მიერ დაშვებულ კანონის დარღვევასთან. რაც შეეხება შვილად აყვანის აქტის გაუქმებას, ეს შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს წესით, რადგან მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების გაუქმება სწარმოებს სასამართლოს მიერ.

8. მშობლის მიერ გვარის გამოცვლა იწვევს მისი არასრულწლოვანი შვილების გვარის გამოცვლასაც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიაში განცხადებით შემოვიდა მოქალაქე მ-ლი, რომელიც აღნიშნავდა, რომ ვინაიდან ბავშვის მამასთან არ იყო ქორწინების რეგისტრაციაში მისი შვილი დაბადების რეგისტრაციაში გატარებული იქნა, როგორც მარტოხელა დედის შვილი. მაშინ განმცხადებელი ოფიციალურად არ იყო განქორწინებული თავის პირველ ქმართან და ატარებდა მის გვარს ბ-ლს, ბავშვიც დაბადების რეგისტრაციაში გატარდა ამ გვარზე, მაგრამ, როცა გააფორმა ქორწინების შეწყვეტის აქტო პირველ ქმართან, დაიბრუნა თავისი ქალიშვილობის გვარი და მიმართა თხოვნით მმაჩის ბიუროს, რომ შესწორება შეეტანათ ბავშვის

დაბადების ჩანაწერში და ბავშვის გვარის ნაცვლად ბ-სა, ჩაეწერათ მ-ლი, რაზეც მმაჩის ბიურომ უარი უთხრა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა იურიდიულმა კომისიამ განუმარტა მმაჩის ბიუროს, რომ მარტოხელა დედის მიერ გვარის გამოცვლა იწვევს მისი არასრულწლოვანი შვილის გვარის გამოცვლასაც, რისთვისაც საჭიროა მმაჩის ბიურომ მოქალაქე მ-ლს მოსთხოვოს საჭირო საბუთები და მასალები დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების განყოფილებას.

საბჭოთა საინჟინერო-ტექნიკური საზოგადოება

1. სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციაში არ შედის დავების განხილვა გაწეული მომსახურებისათვის ტარიფების დაწესების შესახებ

კრასნოდარის რკინიგზის გავრთიანებულმა მეურნეობამ „სოიუზტელეფონმშენის“ ამიერკავკასიის სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს გადასცა ერთი ბულდოზერი დროებითი სარგებლობისათვის.

საფასური წინასწარ შეთანხმებული არ ყოფილა.

მხარეებს შორის წამოიჭრა დავა ბულდოზერით ჩატარებული სამუშაოს საფასურის განაღდებაზე.

საქმის გარჩევის პროცესში გამოიჩინა, რომ ასეთი ხასიათის სამუშაოებზე დადგენილი ფასები არ არსებობს. სასარჩელო თანხის განსაზღვრის დროს მოსარჩელე გამოიმდინარებდა კრასნოდარის სახალხო მეურნეობის საბჭოს

ორგანიზაციებისათვის სატვირთო სამუშაოებზე დამტიციებული ფასებიდან, ხოლო მობასუხე მიუთითებდა, რომ ასეთი მისთვის, როგორც სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანიზაციისათვის, სავალდებულო არ არის მიუთმეტეს, რომ დავის საგანი არა სატვირთო სამუშაო.

არბიტრაჟს ამ დავის განხილვა არ ექვემდებარება, ვინაიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, დებულების მე-15 მუხლის „ე“—პუნქტის თანახმად, დავა გაწეული მომსახურებისათვის ტარიფების დაწესების შესახებ არ უნდა იქნას გადაჭრილი სახელმწიფო არბიტრაჟში.

2. განრიგი, ვერ შეცვლის ხელშეკრულებას თუ მასში არ არის ნაჩვენები, რომ ასეთი გაეგზავნა მიმწოდებელს და მყიდველს უშუალოდ

ქ. სოჭის სასურსათო საქონლის შემსყიდველმა ბაზამ აღძრა სარჩელი თბილისის კონიაკის ქარხნისაგან 1964 წლის III კვარტალში კონიაკის უკმარმიწოდებისათვის ჯარიმის გადახდევინებაზე.

მოპასუხემ სარჩელი არ იცნო და განაცხადა, რომ მისი ვალდებულება მოსარჩელეს წინაშე შეადგენდა 500 დკლ. კვარტალში რაც მთლიანად შესრულებულია, რის დასამტკიცებლად წარმოადგინა მიწოდებულ კონიაკზე გამოწერილი ანგარიშების რეესტრი. ბაზას სარჩელი უარი ეთქვა. ზედამხედველობის წესით საჩივრის დროს მოსარჩელემ განაცხადა, რომ მოპასუხე არასწორად ანგარიშობს სადავო პერიოდში მისაწოდებელი კონიაკის ოდენობას, რომელიც დაზუსტებული იყო ქ. სოჭის ვაჭრობის სამმართველოს მიერ და საბოლოოდ შეადგინა — 1760 დკლ. ამის

დასამტკიცებლად მოსარჩელემ წარადგინა ქ. სოჭის ვაჭრობის სამმართველოს მხოლოდ მისი მისამართით გამოგზავნილი წერილი, რომელშიც ნაჩვენები იყო, რომ თბილისის კონიაკის ქარხანას გასული წლის III კვარტალში უნდა მიეწოდებინა მისთვის 1760 დკლ. კონიაკი. ზედამხედველობის წესით შეტანილ საჩივარზე მოსარჩელეს ეთქვა უარი იმიტომ, რომ ქ. სოჭის სავაჭრო სამმართველოს წერილში არ იყო ნაჩვენები, რომ ასეთი იგზავნება მიმწოდებლისა და მყიდველის მისამართით უშუალოდ, ხოლო ასეთ შემთხვევაში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1964 წლის 14 ნოემბრის № 0-1-48 ინსტრუქციული მითითების თანახმად, განრიგი ვერ ჩაითვლება ხელშეკრულების შემცველ საბუთად.

3. ორგანიზაცია პასუხს აგებს წარმომადგენლის მხოლოდ ისეთი მოქმედებისათვის, რომელიც გამოიმდინარეობს მისი უფლებამოსილებიდან

სამოქალაქო ავიაციის საქართველოს სამმართველომ აღძრა სარჩელი ცეკავშირის სამხატვრო-სარეკლამო წარმოებისაგან 3861 მან. და 60 კაბ. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა განადგებული შეკვეთის შეუსრულებელ ნაწილს. ხელშეკრულების თანახმად მოპასუხეს უნდა დაემზადებინა მხატვრული ნაწარმი, მათ შორის აბრეშუმის ფარდა. მოპასუხე სარჩელს არ შე-

ედავა, ხოლო სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ ზედწესით შეიტანა საჩივარი, რომელშიც აცხადებდა, რომ შეკვეთა შესრულებულია, ხოლო მხანაწარმი ჩაბარდა მანქანის მძღოლს, რომელმაც მოსარჩელის დავალებით ჩამოიტანა ქ. სოხუმიდან თბილისში შეკვეთის შესრულებისათვის საჭირო მასალა. ზედწესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ,

ვინაიდან დადგინდა, რომ ფაქტიურად სადავო ფარდა ავტომანქანის მძღოლმა ქ. სოხუმში არ ჩაიტანა, ხოლო მოსარჩელეს არ მიუზღვია მისთვის მზანაწარმის მიღება და მასასადამე,

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველებს მე-15 მუხლის ძალით, მოსარჩელეს ვერ დაეკისრება პასუხისმგებლობა ავტომანქანის მძღოლის მოქმედებისათვის.

4. მანქანების და დანადგარების მიწოდებაზე ხელშეკრულების დადების იძულება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ შემკვეთს აქვს გამოყოფილი სათანადო დაფინანსება ამ სახის პროდუქციის შექმნისათვის

თბილისის ჩარხმშენებელმა ქარხანამ მოითხოვა არბიტრაჟის მეშვეობით, რათა იძულებული გაეხადათ გაერთიანება „აღმოსავლეთი“ დაედო ხელშეკრულება 1964 წელს უნივერსალური მრავალი სახეხი ჩარხის მიწოდებაზე და მისთვისე დაეკისრებინათ ჯარიმა ხელშეკრულების დადებაზე თავის არიდებისათვის.

საქმის არბიტრაჟში აღძვრამდე შემკვეთმა აცნობა მიმწოდებელს, რომ მას არ გამოუყვეს სათანადო დაფინანსება და ამიტომ იგი მოკლებულია საშუალებას გააფორმოს ხელშეკრულება, მიუხედავად ამისა, თბილისის ჩარხმშენებელმა ქარხანამ მაინც აღძრა საქმე სახელმწიფო არბიტრაჟში და ისიც 1964 წლის დამლევს, ე. ი. მიწოდების ვადის განვლის შემდეგ. არბიტრაჟმა უარი უთხრა მოსარჩელის ორივე მოთხოვნის დაკმაყოფილე-

ბაზე იმიტომ, რომ გასული იყო მიწოდების ვადა, ხოლო ჯარიმის მოთხოვნაზე მან გაუშვა სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა. მოსარჩელემ გაასაჩივრა არბიტრაჟის გადაწყვეტილება ჯარიმის გადახდევინების ნაწილში.

ზედწესით საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ; მომჩივანს მიეთითა მისი მოთხოვნის აშკარა უსაფუძვლობაზე, ვინაიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1962 წლის 6 ოქტომბრის ი-1-32-ის ინსტრუქციული მითითების მე-12 პუნქტის თანახმად, სათანადო დაფინანსების უქონლობის შემთხვევაში არბიტრაჟი ვერ იძულებს შემკვეთს გააფორმოს ხელშეკრულება კაპიტალური დაბანდების დაფინანსების სახსრებიდან გასანაღდებელი პროდუქციის მიწოდებაზე.

5. თუ მყიდველი განრიგის მიღებიდან ათი დღის ვადაში უარს განაცხადებს გამოყოფილი პროდუქციის მიღებაზე, მიმწოდებელს არა აქვს საფუძველი მაიწოდოს ასეთი პროდუქცია და მოითხოვოს მისი საფასურის გადახდა

ხარკოვის ტყავის ქარხანამ მოითხოვა თბილისის ფეხსაცმელების გაერთიანება „ისანი“-საგან ჯარიმა თანხით 1641 მან. და 85 კაბ. ანგარიშის განაღდებაზე უსაფუძვლოდ უარის თქმისათვის. სარჩელი დაკმაყოფილებული იქნა. ზედამხედველობის წესით შემოტანილი საჩივრის განხილვის დროს გამოირკვა, რომ „უკრგლავლეგისტრიოს“ 1964 წლის 14 მაისის — განრიგით და საქართველოს მსუბუქი-მრეწველობის მომარაგება-გასაღების სამმართველოს 1964 წლის 20 მაისის განწესით გაერთიანება „ისანი“-ს გამოეყო ხარკოვის ტყავის ქარხნიდან 30-ტონა საძირე ტყავი. ეს რაოდენობა ტყავი ხარკოვის ტყავის ქარხანამ გამოგზავნა თბილისის გაერთიანება „ისანი“-ის მისამართით გასული წლის 29 მაისს — ხოლო იმავე დღეს „ისანი“-მა დეპეშით აცნობა მიმწოდებელს და განრიგის დამშვებ ორგანიზაციას, რომ იგი უარს აცხადებს გამოყოფილ ტყავის მიღებაზე მოთხოვნის უქონლობის გამო. დეპეშა მიღებული იქნა ხარკოვში 30-მაისს ე. ი. ტვირთის გაგზავნის შემდეგ. მიმწოდებლის ანგარიშის განაღდება-
 6. „საბჭოთა სამართალი“ №1

ზე გაერთიანება „ისანი“-მა უარი განაცხადა, ხოლო ტყავი მიიღო შესანახად. შემდეგში განრიგის დამშვების, მიმწოდებლისა და მისი ზემდგომი ორგანოს თხოვნის საფუძველზე, რათა აეცდინა ერთი და იგივე ტვირთის სხვადასხვა რესპუბლიკებში გადაგზავნა, გაერთიანება „ისანი“ — დათანხმდა ტყავის მიღებაზე და გადაიხადა მისი ღირებულება უმნიშვნელო თანხის შემცირებით.

ხარკოვის ტყავის ქარხანამ მოითხოვა ჯარიმა ანგარიშის მთელი იმ თანხიდან, რომლის განცხადებაზე პირველად უარი ეთქვა და დაკლებული ძირითადი ღირებულების ნაწილი. არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში შეტანილი იქნა ცვლილება. დადგენილი იქნა, რომ გაერთიანება „ისანი“-მა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 30 ივნისის — № 648 დადგენილების მე-4 მუხლის შესაბამისად, განრიგის მიღებიდან 10-დღის ვადაში განაცხადა უარი მისთვის გამოყოფილი საძირე ტყავის მიღებაზე; მასასადამე, განრიგს არ მიეცა ხელშეკ-

რულების ძალა; ამიტომ, ტყავის მიმწოდებელ ქარხანას არ ჰქონდა საფუძველი ამ 10-დღის გასვლამდე მოეხდინა პროდუქციის განტვირთვა. ყველა ის შედეგი რაც მოყვება პროდუქციის

ციის მიწოდებას, შეკვეთისა და ხელშეკრულების გარეშე უნდა დაეკისროს მიმწოდებელ მხარეს, აქედან გამომდინარე მოსარჩელეს უარი ეთქვა ჯარიმის თანხის ნაწილში.

6. თუ სახელმწიფო არბიტრაჟი განიზილავს მიმწოდებლის სარჩელს ანგარიშის გაუნადღებლობის შესახებ და ასეთს დააკმაყოფილებს, მყიდველს უფლება აქვს აღძრას დამოუკიდებელი სარჩელი ამავე საქონლის არასათანადო სარისხის დანაკლისის შესახებ.

კურორტვაჭრობის ესენტუქის კანტორამ აღძრა სარჩელი დრანდის შემფუთავ ქარხანასთან 138 მან. და 38 კაბ. გადახდევინებაზე, რაც შეადგენდა მოპასუხისაგან მიღებული მანდარინების დანაკლისის ღირებულებას. საქმეში არსებული მასალების მიხედვით სარჩელი დაკმაყოფილებული იქნა.

დრანდის შემფუთავმა ქარხანამ შეიტანა საჩივარი ზედამხედველობის წესით, რომელიც უთითებდა, რომ ეს დავა უკვე განხილულია სტავროპოლის საოლქო აღმასკომთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ და ამიტომ საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟს ეს დავა არ უნდა განეხილა, როგორც განმეორებით აღძრული ერთ და იგივე საგანზე.

წარმოდგენილი მასალების განხილვით დადგინდა, რომ სტავროპოლის საოლქო აღმასკომთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟ-

ში გაირჩა და დაკმაყოფილდა დრანდის შემფუთავი ქარხნის სარჩელი მიწოდებული მანდარინების საფასურის განაღდებაზე ე. ი. დავა ეხებოდა მხარეებს შორის არსებულ ანგარიშსწორებას. ანგარიშის ნაწილობრივი აქცეპტი საქონლის დანაკლისის საფუძველზე საბანკო ანგარიშსწორების წესებით გათვალისწინებული არ არის. სტავროპოლის ოლქის სახელმწიფო არბიტრაჟს საქონლის დანაკლისის შესახებ არ უმსჯელია და მაშასადამე, მოცემული დავა წარმოადგენს სხვა დამოუკიდებელ სარჩელს, რომელიც სწორად იყო მიღებული წარმოებაში და განხილული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ.

ვინაიდან მიმწოდებელი არბიტრაჟის გადაწყვეტილების სისწორეს არსებითად არ ედავებოდა, მისი საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ.



სვლიდაბანი შრომის კანონმდებლობაში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „პროფესიული კავშირების საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ“ მე-10 მუხლის თანახმად ადმინისტრაციის განკარგულებით მუშაკის სამუშაოდან (თანამდებობიდან) გათავისუფლება შეიძლება მხოლოდ პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობით.

ადგილკომის გადაწყვეტილება მუშაკის გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ საბოლოოა და ადმინისტრაციას არ შეუძლია მისი გასაჩივრება ზემდგომ პროფესიულ ორგანოებში ან სასამართლოში.

მუშაკი, რომელიც სამუშაოდან გათავისუფლებულია ადგილკომის თანხმობის მიუცემლად, დაუყოვნებლივ უნდა იქნას აღდგენილი სამუშაოზე გათავისუფლების საფუძვლების სისწორის საკითხის არსებითად განხილვის გარეშე და ამასთან ერთად აუნაზღაურდეს განაცდური დროის ხელფასი.

მუშათა და მოსამსახურეთა შრომის უფლების მაქსიმალურად დაცვის უზრუნველსაყოფად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 30 სექტემბრის დადგენილებით განმარტებულია, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციის განკარგულებით მუშებისა და მოსამსახურეების გათავისუფლება საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის თანხმობის გარეშე. ამასთან ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ზოგიერთი კატეგორიის მუშაკის გათავისუფლება ადგილკომის თანხმობას არ საჭიროებს. კერძოდ, ადმინისტრაციას შეუძლია ადგილკომის თანხმობის გარეშე გაათავისუფლოს:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 31 იანვრის ბრძანებულებით დამტკიცებული შრომითი დავის განხილვის წესების დებულების № 1 დანართში აღნიშნული პასუხისმგებელი თანამდებობის პირები;

2. პირები, რომელთაც კონკურსის წესით დაკავებული აქვთ თანამდებობანი, თუ ეს პირნი სამუშაოდან თავისუფლდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ვადით არ აირჩიეს ან დადგენილი წესით იცნეს ისინი, რომ დაკავებულ თანამდებობას არ შეესაბამებიან, მიუხედავად იმისა კონკურსით არიან ისინი მიღებული, თუ დროებით კონკურსის გაუვლელად უკავიათ თანამდებობა;

3. პირები, რომელთაც ათავისუფლებენ სადისციპლინო წესდებებით, თუ წესდებით გათვალისწინებულ არ არის გათავისუფლების შეთანხმება პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტთან;

4. მუშაკები, რომლებიც შეთავსებით მუშაობენ (შეთავსებითი სამუშაოდან);

5. მუშაკები, რომელთაც მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, გამასწორებელი სა-

მუშაოები არასამუშაო ადგილზე ან სხვა სასჯელი, რომლის მოხდა გამორიცხავს ამ მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობას.

6. მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ვადიანი შრომითი ხელშეკრულებით, აგრეთვე იმ მუშაკებისა, რომლებიც ასრულებენ დროებით ან სეზონურ სამუშაოს (სამუშაოს ან სეზონის დამთავრებისას);

7. მუშაკები, რომლებიც მიღებული არიან სამუშაოდ საგამოცდო ვადით, მაგრამ ამ ვადაში ვერ დაიმსახურეს დადებითი შეფასება.

ადგილკომის თანხმობას არ საჭიროებს აგრეთვე იმ პირთა გათავისუფლება, რომლებსაც სასამართლოს განაჩენით შეფარდებული აქვთ სამუშაოდან გათავისუფლება, როგორც სასჯელი.

იმ მუშაკებს, რომელთა გათავისუფლება ადგილკომის თანხმობას არ საჭიროებს დათხოვნა შეუძლიათ გაასაჩივრონ ქვემდებარეობის წესით ზემდგომ ორგანოში.



ბ რ ძ ე ნ ე ბ უ რ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.

2. ძალდაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 28 ოქტომბრის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის თაობაზე დებულების დამტკიცების შესახებ“. (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1960 წ. № 18, მუხ. 180).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — ბ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვამჩაძე

თბილისი

1966 წლის 26 იანვარი

დ ე ბ უ რ ე ბ ე

საქართველოს სსრ სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ

1. საბჭოთა სასამართლოს დაკისრებული აქვს საპასუხისმგებლო ამოცანები — განანხორციელოს მართლმსაჯულება, განამტკიცოს სოციალისტური კანონიერება, აღზარდოს მოქალაქეები სამშობლოსა და კომუნისმის საქმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, საბჭოთა კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულების, სოციალისტური საკუთრებისადმი მზრუნველობით მოპყრობის, შრომის დისციპლინის დაცვის, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობისადმი პატიოსანი დამოკიდებულების, მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსებისადმი, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. მართლმსაჯულების განხორციელებისას მოსამართლეები და-

მოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ კანონს.

ხალხის მიერ არჩეული საბჭოთა მოსამართლე უნდა აფასებდეს ხალხის ნდობას და იყოს სამშობლოს პატიოსანი სამსახურის, საბჭოთა კანონების მკაცრად დაცვის, მორალური სიწმინდისა და უმწიკვლო ყოფაქცევის მაგალითი, რათა ჰქონდეს მორალური უფლება გაასამართლოს და აღზარდოს სხვები.

მოსამართლეთა სამსახურებრივი დაუდევრობა და უღირსი საქციელი არყვეს სასამართლოს ავტორიტეტს, ზიანს აყენებს მართლმსაჯულების საქმეს, სახელმწიფოს ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს და ამიტომ უნდა იწვევდეს მკაცრ პასუხისმგებლობას.

2. სახალხო მოსამართლეები, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეები,



ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა თავმჯდომარეები, თავმჯდომარეთა მოადგილეები და წევრები, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრები შეიძლება მიცემულ იქნენ დისციპლინური პასუხისგებაში:

ა) შრომის და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისათვის;

ბ) მოსამართლის დაუდევრობით ან უდისციპლინობით სასამართლოს მუშაობაში დაშვებული დარღვევისათვის;

გ) საბჭოთა მოსამართლისათვის შეუფერებელი საქციელისათვის.

3. საქმებს მოსამართლეთა მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ განიხილავენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი, ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები.

4. ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმები განიხილავენ საქმებს ამ სასამართლოთა წევრების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების თავმჯდომარეების, სახალხო მოსამართლეების დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი განიხილავს საქმებს ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეებისა და თავმჯდომარეთა მოადგილეების, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრების, აგრეთვე საქართველოს სსრ სასამართლოთა ყველა სხვა მისაღარტის დისციპლინურ გადაცდომათა შესახებ.

5. დისციპლინური საქმეების აღძვრის უფლება აქვთ:

ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლესი სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეებს ამ სასამართლოთა წევრების, რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეებისა და სახალხო მოსამართლეების მიმართ;

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს საქართველოს სსრ სასამართლოს ყველა მოსამართლის მიმართ.

6. ამ დებულების მეხუთე პუნქტში აღნიშნული პირები ამოწმებენ დისციპლინური გადაცდომის გარემოებებს, გამოითხოვენ დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის წერილობით ახსნა-განმარტებას და ამ მასალათა საფუძველზე გამოაქვთ დადგენილება დისციპლინური საქმის აღძვრის შესახებ.

7. მოსამართლეს შეიძლება დაედოს დისციპლი-

ნური სასჯელი არა უგვიანეს ერთი თვისა გადაცდომის ჩადენის ფაქტის დადგენის დღიდან.

8. დისციპლინური საქმე განიხილება პრეზიდიუმის ღია სხდომაზე დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული მოსამართლის თანდასწრებით. დისციპლინური სასჯელის დადების შესახებ გამოიტანება სპეციალური დადგენილება.

9. პრეზიდიუმს შეუძლია დაადოს შემდეგი დისციპლინური სასჯელი:

- ა) შენიშვნა,
- ბ) საყვედური,

გ) მკაცრი საყვედური.

თუ საქმის განხილვის შედეგად პრეზიდიუმი არ დაინახავს საფუძველს დისციპლინური სასჯელის დადებისათვის, იგი შეწყვეტს დისციპლინურ საქმეს.

10. თუ პრეზიდიუმი ცნობს, რომ მოსამართლე არ შეეფერება დაკავებულ თანამდებობას, იგი კანონით დადგენილი წესით სვამს საკითხს დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე გაწვევის შესახებ.

თუ მოსამართლის მოქმედებაში არის დანაშაულის ნიშნები, პრეზიდიუმი აყენებს საკითხს მოსამართლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ კანონით დადგენილი წესით.

დაკავებული თანამდებობიდან მოსამართლის ვადამდე გაწვევის ან სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ საკითხის დასმას ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმს ატკობინებს საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

11. პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინურ საქმეზე გამოიტანება დისციპლინური საქმის განხილვაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით.

12. პრეზიდიუმის დადგენილებაში დისციპლინურ საქმეზე უნდა აღინიშნოს: საქმის განხილვის თარიღი, დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემული პირის გვარი, სახელი, მამის სახელი და თანამდებობა, ვის მიერ არის აღძრული საქმე, დისციპლინური გადაცდომის გარემოებანი, პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტება, დისციპლინური სასჯელის ზომა ან საქმის შეწყვეტის მოტივები.

13. დისციპლინურ საქმეზე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებს პირი სამი დღის ვადაში ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს და საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს.

დისციპლინურ საქმეზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების პირი ეგზავნება დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემულ მოსამართლეს და სათანადო ავტონომიური

რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს.

14. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინურ საქმეზე შეიძლება გადაინჯოს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მიერ დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიცემული მოსამართლის საჩივრით, აგრეთვე სათანადო სასამართლოს თავმჯდომარის ან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების წარდგინებით.


წარდგინება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილების გადაინჯვის შესახებ შეიძლება შეტანილ იქნეს ამ სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ორი კვირის ვადაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილება დისციპლინურ საქმეზე საბოლოოა.


15. დისციპლინური სასჯელი ჩაითვლება მოხსნილად, თუ მისი დადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში მოსამართლეს სხვა სასჯელი არ დაედება.

ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების წარდგინებით, დისციპლინური სასჯელის დამდებ პრეზიდიუმს შეუძლია ვადამდე მოხსნას სასჯელი, თუ მოსამართლემ დაამტკიცა თავისი გამოსწორება უმწიკვლო ყოფაქცევითა და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვავაძე



გაგოჩაენიძე გივანია და საზოგადო მოღვაწე



ცნობილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს პაატა ბესარიონის ძე გუგუშვილს დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა.

სტუდენტობის წლებშივე პაატა გუგუშვილმა მეცნიერული კვლევის ღრმა უნარი გამოამჟღავნა. ამ დროს დაწერა მან 380 გვერდიანი ნაშრომი — „ქართული წიგნი 1629—1929 წ.წ.“, რომელიც 1929 წელს გამოქვეყნდა.

პაატა გუგუშვილმა დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიური ფაკულტეტი ფინანსების სპეციალობით. იგი დიდს გულმოდგინებით სწავლობდა აგრეთვე სამართლებრივ დისციპლინებს. 1930 წელს მას დოცენტის წოდება მიენიჭა. 1940 წელს სრულიად ასალგაზრდამ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ეკონომიური მეცნიერების დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

პროფესორი პაატა გუგუშვილი დაარსებიდანვე —

1944 წლიდან უცვლელად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს. იგი არის ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის“ მთავარი რედაქტორი.

პროფესორი პაატა გუგუშვილი ორასამდე გამოკვლევის ავტორია, რომელთაგან 40-ზე მეტი ცალკე წიგნად არის გამოცემული. საზოგადოებრივი მეცნიერების მრავალ დარგს ეხება მისი გამოკვლევანი, რომლებიც ყოველთვის სასიათღებო საკითხების დაყენების სიღრმითა და სიმწვავეთ. შემთხვევითი როდია, რომ პროფესორ პაატა გუგუშვილის ნაშრომები მრავალი ქვეყნის მეცნიერებში პოპულარულ გამომხატურებას.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ პროფ. პაატა გუგუშვილის ფართო მეცნიერული ინტერესი სამართლებრივი პრობლემებისადმი.

მის ფუნდამენტალურ ნაშრომებში „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს.“ (ხუთ ტომად), „საქართველოსა და ამიერკავკასიის კოლონიზაცია XIX საუკუნეში“, „კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ და სხვ. მრავალი სოციალური მოვლენის იურიდიული ასპექტი მდიდრად არის წარმოდგენილი.

პ. გუგუშვილის მიერ გამოქვეყნებულია დიდადი საარქივო მასალა საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოფლის მეურნეობისა და აგრარულ ურთიერთობათა შესახებ «Сельское хозяйство и аграрные отношения в Грузии и Закавказье». (ტ. I, 1938 წ. ტ. II, 1950 წ. ტ. IV 1955 წ. სულ დაახლოებით 200 თაბასამდე მოცულობით).

აქ წარმოდგენილია უმთავრესად ბატონყმური ურთიერთობის, საადგილმამულო საკუთრების, მიწათსარგებლობის, სოფლის (თემის) მმართველობის და სხვ. შესახებ, XIX—XX სს. იურიდიული მასალები. ბევრი მათგანის შედგენაში მონაწილეობდნენ იმ დროის გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები, პუბლიცისტები, მწერლები, ისეთები, როგორც იყვნენ, მაგალითად, დიმიტრი ყიფიანი, გრიგოლ ორბელიანი, ივ. მუხრან-ბატონი (ბაგრატიონ-მუხრანსკი), ილია ჭავჭავაძე და სხვ. ეს

დოკუმენტები დიდმნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენენ ქართული სამართლებრივი აზრისა და საერთოდ იმ პერიოდის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისტორიისათვის.

აქვე წარმოდგენილია მრავალი მიმოხილვითი და სტატისტიკური პირველ წყარო სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგთა და კულტურათა მდგომარეობისა და განვითარების შესახებ.

პ. გუგუშვილმა არა მხოლოდ პირველად გამოაქვეყნა ეს დოკუმენტები, არამედ, ამასთანავე ერთად მოგვცა მათი შედგენის პირობების, ზოგადი მიმართულებისა და საერთოდ მათ შესახებ აქამდე არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და შეფასება.

პროფესორმა პაატა გუგუშვილმა 1939 წელს აღმოაჩინა ხელნაწერი და პირველად გამოაქვეყნა ადათობრივი სამართლის შესანიშნავი ძეგლი — „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ

მეფეთა დროთა შემოდებულნი სჯულნი“. ეს ქართველოლოგიის დიდი შენაძენი იყო.

პროფ. პაატა გუგუშვილმა 1938 წელს გამოაქვეყნა საარქივო კვლევის შესანიშნავი შედეგი — „ილია ჭავჭავაძის მკვლევლობა. საგამომძიებლო მასალები“, რომელსაც დაურთო დრმა ნარკვევი ილია ჭავჭავაძის მკვლევლობის საქმეზე.

მეტად მნიშვნელოვანია პროფ. პაატა გუგუშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევანი.

პროფესორი პაატა გუგუშვილი დირსეულად წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერებას საერთაშორისო კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე, კონფერენციებზე. პროფესორი პაატა გუგუშვილი თავისი შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის ხანაშია. ქართველი იურისტები გულით ულოცავენ პატრიოტ-მეცნიერს სახელოვან იუბილეს და უსურვებენ ხანგრძლივ ჯანმრთელობას, ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ნათი მოუზიქაბელი წაილის გამო

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ 1965 წლის 14 დეკემბრის (№ 149) ნომერში (პირველ გვერდზე) სახალხო მოსამართლეთა კანდიდატების დასახელებასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა გ. ჩიკვაიძის წერილი „საყვარელი საქმის ერთგული“.

წერილში ლაპარაკია სახალხო მოსამართლის კანდიდატის პ. ქორიძის შრომითი საქმიანობის შესახებ. ახასიათებს რა პ. ქორიძის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ განვლილ შრომით პერიოდს, წერილის ავტორი წერს: „სანამ რესპუბლიკის მილიციის სამმართველოში დაიწყებდა მუშაობას კოტე იურის კონსულტად (წერილს ავტორმა ალბათ არ იცის, რომ ეს ერთი სიტყვაა და ცალკე-ცალკე არ იწერება) გაანაწილეს. ობიექტელისათვის ეს ადგილი იდეალური იქნებოდა: წყნარი სამუშაო, მყარი ხელფასი, ბევრი თავისუფალი დრო. ახალგაზრდა კაცის ბუნება ვერ შეეგუა ამ წყნარ, ერთფეროვან ცხოვრებას. იგი მთელი თავისი არსებით მიიწვევდა უფრო რთული, დაძაბული მუშაობისაკენ, გრძნობდა, რომ სხვაგან უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს საზოგადოებრიობას, უფრო მეტად გამოიყენებდა უნივერსიტეტში მიღებულ ცოდნას“ და ა. შ.

ცხადია, ჩვენ არაფერი გვაქვს სათქმელი პ. ქორიძის შრომითი საქმიანობის წინააღმდეგ და წერილის ავტორზე ნაკლებად არ ვაფასებთ სახალხო მოსამართლის, პროკურორისა თუ გამოძიებლის ან მილიციის მუშაკის მეტად სასარგებლო და საპატიო შრომას, მაგრამ იურისკონსულტის საქმიანობის ასეთმა შეფასებამ არ

შეიძლება სამართლიანი გაკვირვება არ გამოიწვიოს.

თურმე ნუ იტყვი, გ. ჩიკვაიძის თვალსაზრისით, იურისკონსულტის ადგილი ობიექტელისათვის ზედამოჭრილია.

ამასაც რომ თავი დაგანებოთ, ეს სამუშაო წყნარი, ერთფეროვანი ყოფილა და სხვაგან მეტი სარგებლობის მოტანა შესძლებია სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ახალგაზრდას. ასეთი „მარგალიტებით“ კაზმავეს გ. ჩიკვაიძე თავის სტატიის ნაწილს იურისკონსულტის შესახებ.

იქნებ გ. ჩიკვაიძეს კარგად არც კი ესმის, რომ ობიექტელი რუსული სიტყვაა და იგი შესატყვისია ვიწრო საზოგადოებრივი თვალთახედვის, წვრილმანი, პირადი ინტერესების მქონე ადამიანისა, რომელსაც აგრეთვე საყოფაცხოვრებო ჩამორჩენილობაც ახასიათებს.


ახლა, როდესაც მთელი საბჭოთა ხალხი პრაქტიკულად ახორციელებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილებით დასახულ ამოცანებს წარმოების სრულყოფის საქმეში, იურიდიულ სამსახურს კიდევ უფრო დიდი როლი განეკუთვნება საწარმოთა ეკონომიკის განმტკიცებაში სამართლებრივ საშუალებათა უკეთ გამოყენების უზრუნველყოფად და გ. ჩიკვაიძის ზემოხსენებული „ინტერპრეტაცია“ გარდა იმისა, რომ მის ავტორს ახასიათებს მართლაც და ვიწრო საზოგადოებრივი თვალთახედვის მქონედ, თავისთავად აყენებს საკითხს — ასე უკონტროლოდ რატომ უნდა ეთმობოდეს საბჭოთა პრესაში ადგილი ამგვარ „შემოქმედებას“.

ნ. წაჩაბაძე,

იურისკონსულტთა საბჭოს თავმჯდომარე

ინფორმაცია

შახვერია ლვანდომოსი იუკისვთან



ამას წინათ აფხაზეთის პროფკავშირთა საქალაქო საბჭოს სსდომათა დარბაზში საქართველოს სსრ იურისკონსულტთა საბჭომ შეხვედრა მოუწყო აფხაზეთის მრეწველობის იურიდიული სამსახურის ერთ-ერთ ღვაწლმოსილ მუშაკს დიმიტრი სამსონისძე ჩხარტიშვილს.

18 წლიდან დაიწყო შრომითი საქმიანობა დიმიტრიმ. 1920—1930 წლამდე იგი მუშაობდა ქ. სოხუმის თამბაქოს ქარხანაში მუშად, ითვლებოდა რა ამასთანავე საოლქო გაზეთის „საბჭოთა აფხაზეთის“ მუშა-კორესპონდენტად. 1928 წელს იგი მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა სრულიად საქავშირო ყრილობის დელეგატია. 1930 წლიდან დაწინაურებულ იქნა საოლქო გაზეთის ჯერ მასიური, ხოლო შემდეგ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგედ.

1945 წლიდან 1948 წლის ჩათვლით დ. ჩხარ-

ტიშვილი მუშაობდა აფხაზეთის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილედ. 1949 წლიდან კი დღემდე — აფხაზეთის მრეწველობის მთელ რიგ საწარმოთა იურისკონსულტად.

დ. ჩხარტიშვილი კომუნისტური პარტიის წევრია 1940 წლიდან. იგი აქტიურ მუშაობას ეწეოდა, როგორც საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პრობაგანდისტი პარტიული განათლების ქსელში.

იურიდიულ სამსახურთან ერთად დ. ჩხარტიშვილი განაგრძობდა ლიტერატურულ შემოქმედებასაც. აფხაზეთის ასსრ ხალხური შემოქმედების სახლმა დ. ჩხარტიშვილისაგან არა ერთი და ორი პიესა მიიღო და წარმატებით განხორციელდა დადგმა კულტურის სხვადასხვა სახლში, მათ შორის აღსანიშნავია: „შემთხვევა ხაჯარატა გუმბას ოჯახში“, „მეტოქენი“, „სიკვდილის მაძიებელი“ და სხვა.

მუდამ ენერგიული, საქმის ღრმა მცოდნე და შემოქმედებითი ენთუზიაზმით სავსე — ასეთია დიმიტრი სამსონის ძე ჩხარტიშვილის ადამიანური და მოქალაქეობრივი თვისებები. იგი კვლავ ჩვეული ენერგიით იბრძვის მრეწველობის ყველა უბანზე სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, დაუღალავად ეხმარება საზოგადოებრივ საქმიანობას, არის იურისკონსულტთა აფხაზეთის ბიუროს თავმჯდომარე და საზოგადოებრივი არბიტრი.

ამიტომ შეხვდა მას ასე გულთბილად ჩვენი რესპუბლიკის იურიდიული სამსახური და კერძოდ სოხუმის საზოგადოებრიობა. დ. ს. ჩხარტიშვილის საქმიანობა და ღვაწლი მაგალითს წარმოადგენს. გულწრფელად ვუსურვებთ ჩვენს დიმიტრის კვლავ დიდი ხნის სიცოცხლეს და შემდგომ წარმატებას მის საინტერესო და სასარგებლო საქმიანობაში.

შ. ზაბუპიანი,

პროფკავშირის აფხაზეთის საოლქო საბჭოს იურისკონსულტი

საზოგადოება „ცოდნას“ ჯგუფი—იუკრიდიუდ კონსულტაციავი

საბჭოთა კანონების პროპაგანდა მოსახლეობაში ყოველი იურიდიული საბატიო მოვალეობაა. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქ. თბილისის პირველი მისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატთა კოლექტივი. 1963 წლის ოქტომბერში კონსულტაციასთან შეიქმნა საზოგადოება „ცოდნას“ წევრთა ჯგუფი 15 კაცის შემადგენლობით. მასში გაერთიანებული არიან კვალიფიციური, გამოცდილი ადვოკატები — გ. უგრეხელიძე, ა. გელოვანი, პ. შაორშაძე, ა. კოტირაძე, რ. ამაშუკელი, თ. ასათიანი, ს. კობახიძე, მ. ჭაფიძე, თ. ლასხიშვილი ე. ბაბაჯანოვა, კ. პირავეი, თ. გიორგობიანი, თ. როსტიანი მ. სხვიტარიძე და ამ წერილის ავტორი.

ჯგუფის წევრებს მომზადებული აქვთ და კითხულობენ ლექციებს აქტუალურ თემებზე: 1. „კომუნისმის მშენებლის მორალური კოდექსი“, 2. „შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვა კომუნისმის მშენებლობის ერთერთი ძირითადი ამოცანა“, 3. „საზოგადოებრიობის როლი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლაში“, 4. „სოციალისტური საქუთრების დაცვა თითოეული მოქალაქის მოვალეობა“, 5. „საბჭოთა კანონმდებლობა ქორწინებისა და ოჯახის შესახებ“, 6. ამხანაგური სასამართლოების ამოცანები. 7. „მუშაის სამუშაოზე მიღება, სხვა სამუშაოზე გადაყვანა და დათხოვნა შრომის კანონმდებლობის მიხედვით“.

8. „საზოგადოებრიობის როლი არასრულწლოვანთა დანაშაულებასთან ბრძოლაში“ და სხვა. როგორც წესი ლექციები იკითხება უფასოდ რაიონის საწარმოებში, დაწესებულებებში და მოსახლეობაში. საზოგადოება „ცოდნას“ წევრთა ჯგუფის ძალებით მარტო 1965 წლის 1 იანვრიდან 1966 წლის 1 იანვრამდე წაკითხულია 156 ლექცია, რომელთაც დაესწრო 8213 კაცი.

ჯგუფის წევრები ფართოდ იყენებენ პროპაგანდის ისეთ ფორმას, როგორც არის კითხვა — პასუხის საღამოები. 1965 წელს მოეწყო კითხვა — პასუხის 7 საღამო, გაცემულ იქნა პასუხები 212 შეკითხვაზე.

კითხვა — პასუხის საღამო მოეწყო თბილისის №1 თამბაქოს ფაბრიკაში, რძის კომბინატში,

მაუდის კომბინატში, პროფესიულ-ტექნიკურ სკოლაში და სხვა ორგანიზაციებში.

საღამოში ადვოკატებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რაიბროკუპრატურისა და მილიციის მუშაკებმა.

დიდი ყურადღება ექცევა ლექციური პროპაგანდის ხარისხს, ამ მიზნით წარმოებს ლექტორის მიერ წაკითხული ლექციის შემოწმება და შედეგების განხილვა საზოგადოება „ცოდნას“ წევრთა ჯგუფის სხდომაზე.

მშრომელთა დეპუტატების პირველი მისის რაიონულ სსბჭოს აღმასკომის დეპუტატთა ოთხში მორიგეობისათვის გამოყოფილია 4 ადვოკატი: მ. წერეთელი, ბ. რუხაძე, თ. ევანია და თ. გიორგობიანი. წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ისინი მორიგეობენ დეპუტატის ოთხში და მოსულ მოქალაქეებს უწევენ იურიდიულ დახმარებას.

რაიონის სამ საწარმოში (თბილისის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველო, მაუდის კომბინატი და რძის კომბინატი) შექმნილია ელემენტარული საკონსულტაციო საგუშაგო.

ამ ორგანიზაციებში მიმდგრებულია ორ-ორი ადვოკატი, რომლებიც თვეში სამჯერ მუშა-მოსამსახურებს უწევენ იურიდიულ დახმარებას. მუშა მოსამსახურებს საშუალება ეძლევათ ადგილზე, დროის დაუქარავად, მიიღონ რჩევა საჭირო საკითხებზე.

ადვოკატები კ. პირავეი, თ. როსტიანი, ქ. ანთაძე, მ. მარგიშვილი, მ. რუხაძე და თ. გიორგობიანი მორიგეობენ რაიონის კინოთეატრებში — „ოქტომბერში“, „ამირანში“, „კომკავშირელში“. მორიგეები ყოველ ორშაბათ საღამოს 7 საათიდან 8 საათამდე სენსის დაწყების წინ იურიდიულ კონსულტაციას უწევენ მოქალაქეებს.

აუცილებელია საზოგადოება „ცოდნას“ წევრთა ჯგუფმა, მისმა გამგეობამ, კონსულტაციის მთელმა კოლექტივმა ვადაართოვოს საბჭოთა კანონების პროპაგანდა, უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ იგი კომუნისტური მშენებლობის კონკრეტულ ამოცანებს.

საზოგადოება „ცოდნას“ წევრთა ჯგუფის ხელმძღვანელი — მ. შალღლაშვილი.

ქითხვა-პასუხის საღამო მესალურგოთა ქალაქში

მეტალურგთა ქალაქ რუსთავში 15 თებერვალს პარტიის საქალაქო კომიტეტმა, რუსთავის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომმა და საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ ჩაატარეს ერთობლივი ღონისძიება — იურიდიული კითხვა-პასუხის საღამო. „მოგვეცით შეკითხვები თქვენთვის საინტერესო იურიდიულ საკითხებზე“, იუწყებოდა ქალაქის საწარმოებში ორი კვირით ადრე გაკრული განცხადებები.

საღამოს 5 საათზე დარბაზში თავი მოიყარა 500-ზე მეტმა კაცმა. აქ მოვიდნენ ქ. რუსთავის მეტალურგიული, სარემონტო-მექანიკური, ცემენტის, სინთეზური ბოჭკოს, ქიმიური, სამშენებლო მასალების, რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის, მეტალურგმშენის ტრესტისა და სხვა საწარმოთა მოწინავე ადამიანები, მუშები, ინჟინრები, კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები.

პრეზიდენტის მაგიდას უსხედან საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი — თ. მენთეშაშვილი, ქ. რუსთავის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომის თავმჯდომარე, ნ. ებრაელიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე გ. იოსავა და სხვ.

კითხვა-პასუხის საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივანმა თ. წვერაძემ, რომელმაც სიტყვა მისცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ვ. ი. მაისურაძეს.

ვიდრე შემოსულ შეკითხვებზე უპასუხებდა აზხ. ვ. მაისურაძე შეკრებილთ ესაუბრა სოციალისტური კანონმდებლობის განმტკიცების საკითხებზე.

შემდეგ მან პასუხი გასცა ქიმიური კომბინატის ინსპექტორის ლ. გომელაურის, მეტალურგიული ქარხნის მოწინავე მუშას გ. კაკაბაძის და სხვათა შეკითხვებს.

შრომის კანონმდებლობის საკითხებზე შემოსულ შეკითხვებზე ილაპარაკეს საქართველოს

სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ გ. იოსავამ, აგრეთვე ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ს. ქველიძემ.

წერილობით შემოსულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა რომ დამთავრდა დარბაზიდან კვლავ მრავალი ზეპირი შეკითხვა შემოვიდა.

— რა უფლებებით სარგებლობს საზოგადოებრივი დამცველი?

— შეიძლება თუ არა შვებულების ნაწილ-ნაწილ მიცემა?

— რამდენი წლიდან ეკისრებათ პასუხისმგებლობა არასრულწლოვანებს?

— როგორ საქმეებს განიხილავს ამხანაგური სასამართლო?

თუ შეიძლება აღიშენების საქმის განხილვა მოპასუხის დაუსწრებლად და სხვ.

აზხ. ვ. მაისურაძე და გ. იოსავა ამომწურავ პასუხებს იძლევიან ამ კითხვებზე.

შემდეგ ადგილზე მოეწყო მთხოვნელთა მიღება. მეტალურგიული ქარხნის მუშამ ს. გელაშვილმა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ვ. მაისურაძეს გადასცა განცხადება, რომლითაც იგი თხოულობს დაქვარდეს მისი საქმის განხილვა სასამართლოში ზიანით მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე.

გმირი დედა ს. კვაშინა ზედამხედველობითა წესით საჩივარში ითხოვს შემოწმდეს განაჩენის კანონიერება მისი შვილის მსჯავრდებულ ვიქტორ კვაშინის სისხლის სამართლის საქმეზე. ზედამხედველობითი წესით საჩივრები თავმჯდომარეს გადასცეს პენსიონერებმა ასია ნოზაძემ, მუშა სონია ჯაფაროვამ, გ. ხუმარაძემ და სხვებმა. ყველა განცხადება ადგილზევე იქნა განხილული და მათ მიეცათ სათანადო მსგელოლობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილი აქვს ანალოგიური კითხვა-პასუხის საღამოები მოაწყოს რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

ზ. მესანჯიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი.

**გარდაამატალი დროშა სანიმუშო
წესრიგისათვის**

ცაგერის რაიონის პროკურორმა, პირველი კლასის იურისტმა ალექსანდრე ივანესძე წულუკიძემ შეისწავლა და განაზოგადა რაიონში ათი წლის მანძილზე მომხრადი დანაშაული.

რაიონის 48 დასახლებული პუნქტიდან აღნიშნული დროის განმავლობაში 10 სოფელში ადგილი არ ჰქონია სისხლის სამართლის დანაშაულის და მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევას.

დამნაშავეობისა და კანონიერების დარღვევთა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართო მასების მიზიდვის მიზნით რაიონის პროკურორი განზოგადობული მასალების საფუძველზე კონკრეტული წინადადებებით შევიდა პარტიის რაიონული კომიტეტის წინაშე.

პროკურორის წინადადებები მიღებულ იქნა. დაისახა ღონისძიებანი კანონიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, დაწესდა გარდამავალი წითელი დროშა — სანიმუშო წესრიგისათვის.

ყოველი წლის იანვრის თვეში პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის მუშაკების მიერ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად წარმოებს დანაშაულის მდგომარეობის შესწავლა, მასალების განზოგადება.

წარმოდგენილი რეკომენდაციების შემდეგ პარტიის რაიონულ კომიტეტსა და რაისაბჭოს აღმასკომს გამოაქვს ერთობლივი გადაწყვეტილება, იმ სასოფლო საბჭოს აღმასკომისათვის დროშის მინიჭების შესახებ, სადაც ნაყოფიერი მუშაობა ტარდება კანონიერების განმტკიცებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის.

ასეთი დროშა პირველად დაიმსახურა უსახელოს სასოფლო საბჭოს აღმასკომმა.

საბჭოს ტერიტორიაზე უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. მოპოვებულ წარმატებაში სათანადო როლი შეასრულა სოფლის საზოგადოებრივ ორგანიზაციასთან ადმინისტრაციული ორგანოების კონტაქტმა, მათ ადგილზე ჩაატარეს საქმიანი პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო მოსახლეობის პასუხისმგებლობის ამადლებას, მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვას სანიმუშო წესრიგისათვის.

რესპუბლიკის პროკურორმა მხედველობაში მიიღო ცაგერის რაიონის პროკურორის ა. ი. წულუკიძის ინიციატივა დამნაშავეობასთან ბრძოლაში და მას ბრძანებით მადლობა გამოუცხადა.

სამინარის მუშაობა გამოცოცხლდა

წინა წლებში ლენტეხის რაიონში შემინილი მუდმივმოქმედი იურიდიული სემინარი არ პასუხობდა პროკურატურის, სასამართლოს, მილიციისა და ადვოკატურის ორგანოების მუშაკების კვალიფიკაციის ამადლების, მათი დაოსტატებისა და დახელოვნების ამოცანებს.

ეს ნაკლი გათვალისწინებული იქნა მიმდინარე სასწავლო წელს. სემინარმა ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა. პირველი მეცადინეობა მიეძღვნა ორგანიზაციულ საკითხებს, გამოიყო ბინა, დაინიშნა სამეცადინო დღეები, მსმენელები გაეცნენ საქართველოს სსრ პროკურატურის, უმაღლესი სასამართლოსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს წერილს იურიდიული სემინარის მუშაობის შესახებ, მსმენელებს შორის განაწილდა თემები რეკომენდებულ საკითხებზე.

მეორე მეცადინეობაზე სემინარმა მთის ბინა იურიდიული კონსულტაციის გამგის

გ. ლიპარტელიანის მოხსენება თემაზე — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დონისძიებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში.

მოხსენების განხილვაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს დამსწრე პირებმა. მეცადინეობა შეაჯამა სემინარის ხელმძღვანელმა ლენტეხის რაიონის პროკურორმა, პირველი კლასის იურისტმა გ. ვაჭარაძემ.

პროკურატურის მოწინავე მდივანი

ამბროლაურის სარაიონთაშორისო პროკურატურის მდივნად 30 წელია მუშაობს კირილე ფარსადანის-ძე წერეთელი, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას ასრულებს კეთილსინდისიერად.

იგი დიდ ყურადღებას აქცევს მუშაობის კულტურის სტილის გაუმჯობესება-ამაღლებას. სანიმუშო წესრიგში აქვს საქმეების, საჩივრების წარმოება, თავაზიანად იღებს პროკურატურაში მოსულ მოქალაქეებს, დროულად პასუხობს მათ წამოჭრილ საკითხებზე.

კ. წერეთელი დიდი ავტორიტეტითა და პატივისცემით სარგებლობს არა მარტო პროკურატურის, არამედ რაიონის მოსახლეობას შორის. იგი აქტიურად მონაწილეობს პროკურატურის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასრულებს საზოგადოებრივ დავალებებს.

კ. წერეთელს, პროკურატურაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი და უმწიკვლო მუშაობისათვის, საქმის წარმოების კარგად დაყენებისათვის, რესპუბლიკის პროკურორმა გამოუცხადა მადლობა და დააჯილდოვა მაჯის საათით.

პროკურორი მოქალაქეებს იღვას უშუალოდ წარმოება-დაწესებულებაში

საპროკურორო მუშაობის ერთ-ერთ სერიოზულ უბანს წარმოადგენს მოქალაქეთა მიღების სწორი ორგანიზაცია როგორც

პროკურატურაში, ისე უშუალოდ წარმოება-დაწესებულებებში.

რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქისა და რაიონის პროკურორი დიდი ყურადღებით ეკიდება ამ საქმეს. ამ მხრივ აღსანიშნავია ქალაქ ტყიბულის პროკურორის გ. რაზმაძის მუშაობა.

იგი რეგულარულად იღებს მოქალაქეებს მშენებლობასა და შახტებში, გულისხმიერად უსმენს მათ პრეტენზიებს, იღებს ზომებს მათი კანონიერი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

გალის რაიონის პროკურორი — რ. სიჭინავა პერიოდულად ატარებს მოქალაქეთა მიღებას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, აწყობს კითხვა-პასუხის სადამოებს სოციალისტური კანონიერების აქტუალურ საკითხებზე.

ხაშურის რაიონის პროკურორი გ. ბერძენიშვილი და თელავის რაიონის პროკურორის თანაშემწე ი. ბურდული ანალიზს უკეთებენ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მიღებაზე მოსულ მოქალაქეთა პრეტენზიებს, ზეპირ საჩივრებს. შემდეგ მას იყენებენ საერთო ზედამხედველობის მუშაობის ხაზით იმ წარმოება-დაწესებულებების შესამოწმებლად სადაც ირღვევა კანონი, მოქალაქეთა გარანტირებული უფლებები.

სოფლის ყრილობა იხილავს კანონიერების საპირობას

უკანასკნელ ხანებში ცხაკაიას რაიონის პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოები მნიშვნელოვან დონისძიებებს ატარებენ კანონიერებისა და მართლწესრიგის დაცვისათვის.

ეს საკითხი იხილება მშრომელთა დეპუტატების რაიონული, სასოფლო საბჭოს სესიებზე, ხოლო ამ ბოლო დროს მასზე მსჯელობა დაიწყო სოფლის ყრილობებზეც.

ორგანიზაციულად, მაღალ დონეზე ჩატარდა ახალსოფლის მშრომელთა პირველი ყრილობა, რომელმაც მოისმინა რაიონის პროკურორის ე. საჯაიას მოხსენება — საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერების დაცვისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა — კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კ. გვასალიამ, საბჭოთა მეურნეობის დირექტორებმა ვ. შამათავამ, ვ. ლომიამ, მილიციის რაიონული განყოფილების უფროსის მოადგილემ თ. ჩიქობავამ სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. ჩოჩიამ, აგრონომმა ი. კოკაიამ, ბრიგადირმა ა. ჭვანიამ და სხვებმა ილაპარაკეს ახალსოფელში მშრომელების შრომითს წარმატებებ-

ზე. აღნიშნეს ნაკლოვანებანიც, მკაცრად გააკრიტიკეს მართლწესრიგის დამრღვევნი, უსაქმურები, რომლებიც გაურბიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და სხვა.

ყრილობამ მიიღო საქმიანი ღონისძიება სოფლად კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ მოწყობის, კანონიერების შემდგომი განმტკიცების შესახებ.

სოფლის ყრილობის მუშაობა შეაჯამა ცხაკაიას რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ხოფერიამ.

ასეთი ყრილობები გაიმართა სოფლებში — თეკლათი, ნოსირი, ფოცხო, ეკი, მენჯი და უმაფათი.

3. გოგუაძე,

საქართველოს სსრ პროკურორის თანა-
შემწე აღსრულებელზე კონტროლის დარგში

68.3/22.



3360 50 333.

ИНДЕКС 76185

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической комиссии при Совете Министров
Грузинской ССР